პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№117(12796) 21 მაისი ხუთშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თასი შახტაში



უეფას თასის ფინალი »16



## ნოდარ ახალკაცი

# ვინც არ მუშაობს, ის შეცდომებსაც არ უშვებს

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ახლახან დაბრუნდა საქართველოში და „ლელოს" არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე ესაუბრა. ცხადია, ეს ინტერესმოკლებული უნდა იყოს საფეხბურთო სამყაროსთვის. ამიტომ, თავს არ შეგაწყენთ და პირდაპირ ინტერვიუზე გადავალთ...

- ბატონო ნოდარ, კარგა ხანს არ ჩანდით საქართველოში. რა იყო თქვენი „გაუჩინარების" მიზეზი? თქვენს არყოფნაში ქართულ ფეხბურთში არაერთი მნიშვნელოვანი რამ მოხდა, მოვლენები ერთობ დინამიკურად ვითარდებოდა...

- ბოლოს ბუქარესტში გახლდით, სადაც რუმინეთის ფეხბურთის ფედერაცია დაარსების 100 წლისთავს აღნიშნავდა. ამ ღონისძიებას უეფას წევრი ძალიან ბევრი ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო. იქვე იყო უეფას ხელმძღვანელობაც. მიმაჩნია, რომ ასეთ ღონისძიებაზე დასწრებაზე უარი არასდროს უნდა ვთქვათ. ეს არის ელემენტარულად შენი კოლეგების დაფასება და ურთიერთობის კარგი საშუალება სხვა ქვეყნის საფეხბურთო წრეებთან. ასეთ შეხვედრებზე არაერთ საჭირბოროტო თემაზე მიმდინარეობს საუბარი. სხვათა შორის, გაისად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც აპირებს მრგვალი თარილის აღნიშვნას - გვსურს, ქართული ფეხბურთის იუბილე აღვნიშნოთ. არაერთ წყაროზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ ფეხბურთს 110 წელი უსრულდება. ჩვენი თხოვნა იქნება, რომ ვისაც რა ისტორიული მასალა აქვს ამასთან დაკავშირებით, წარმოადგინოს და ყველაფერს ამას აქტიური ფორმა მიეცეს. უკვე შექმნილია ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელიც ფედერაციის საპატიო ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე გახლავთ. ბუქარესტამდე გახლდით უეფაში, სადაც ჩატარდა აღმასკომის სხდომა, რომელმაც განიხილა უკრაინა-პოლონეთის მიერ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის საკითხი. გვქონდა არაერთი შეხვედრა უეფას წარმომადგენლებთან და მეტწილად ვისაუბრეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რეგიონულ როლზე, ანუ კავკასიის რეგიონში ჩვენს მნიშვნელობაზე. გვქონდა ლაპარაკი იმაზეც, რომ უეფაში კიდევ უფრო მეტი ქართველი იყოს დასაქმებული.

» 2

## ოთარ კორღალიძე

# დინამომ ფული შემოგვთავაზა...

» 3



# მოურინიოს მადრიდიდან დაურეკეს?

» 7



ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ

## ნოდარ ახალკაცი

# ვინც არ მუშაობს, ის შეცდომებსაც არ უშვებს

« პირველი გვერდიდან

**- თქვენს არყოფნაში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი და თასის გათამაშება ფინიშს მიუახლოვდა და ძალზე აქტუალური გახდა გარიგებული თამაშების თემა. წარმოიშვა არაერთი დაპირისპირება კლუბებს შორის, კლუბებსა და პროფლიგას შორის, კლუბსა და მსაჯებს შორის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართული ფეხბურთი უთავოდ არის დარჩენილი და პროცესები თითქოს თვითდინებაზეა მიშვებული. რა კომენტარს გაუკეთებდით ყველაფერ ამას?**

- კორუფცია ფეხბურთში - ეს პრობლემა მარტო ჩვენს ქვეყანას არ ეხება, ხომ გახსოვთ, რა დაემართა „მილანსა" და „იუვენტუსს" სულ ახლო წარსულში. არა მგონია, შეიძლებოდეს პასუხის გაცემა იმაზე, თუ რატომ არსებობს ე.წ. გარიგებული თამაშები. ის კი უნდა ვთქვა, რომ არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ასეთ რამეს აკეთებენ და უბრალოდ, აზრად მოსდით ასეთი მანკიერებანი. ასეთი ფაქტები მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ და პრევენციული ზომები გავატაროთ. ის, რომ სეზონის ბოლოს მომრავლდა საეჭვო თამაშები, ამაში ალბათ გაუგებარი არაფერია. ცხადია, ჩვენ ამ პრობლემაზე სერიოზულად ვმსჯელობთ და შესაბამის ზომებსაც მივიღებთ. უკვე აქტიურად მიმდინარეობს კონსულტაციები ალმასკომის წევრებთან და მალე ალმასკომი კონკრეტულ გადაწყვეტილებასაც მიიღებს. ალბათ გახსოვთ, წინა ალმასკომის სხდომაზე განვიხილეთ საკითხი საეჭვო თამაშების პროკურატურისთვის გადაცემის თაობაზე. მიმდინარე და წინა სეზონის რამდენიმე თამაში უკვე გადაცემულია სამართალდამცავებისთვის.

**- შევიტყვეთ, რომ ფედერაციის და პროფლიგის ხელმძღვანელებმა უკვე მიაღწიეს წინასწარ შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ შეიქმნას საგანგებო კომისია, რომელიც იმუშავებს საეჭვო თამაშებზე. არ მიგაჩნიათ, რომ ეს, ცოტა არ იყოს, დაგვიანებული გადაწყვეტილებაა?**

- სხვათა შორის, ალმასკომის წინა სხდომაზეც იყო შეთავაზება ასეთი კომისიის შექმნაზე. როცა საქმე გადაწყვეტილების მიღებამდე მივა, ამას დროულად შეიტყობთ. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი პროცესია - თუ რა სისტემით და რა ფორმით იმუშავებს ასეთი კომისია, ყოველივე ამაზე ალმასკომის შემდეგ სხდომაზე მივიღებთ გადაწყვეტილებას. იმედი მაქვს, ასეთი კომისიის შექმნით საკმაოდ ძლიერი პრევენციული ინსტიტუტი ჩამოყალიბდება. ჯანსაღი გარემოს შექმნა ერთი ხელის მოსმით არ მოხერხდება, რადგან არიან ადამიანები, რომლებიც სულ სხვანაირად არიან მომართულები.

**- თქვენს არყოფნაში ქართულ საფეხბურთო მილეთში დაიწყო დისკუსია ელიტური ლიგის შექმნის იდეაზე. ალბათ, საქმის კურსში ხართ... პირადად თქვენთვის, როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისთვის, რამდენად საინტერესოა ეს იდეა?**

- იდეა საინტერესო როგორ არ არის, მაგრამ ასეთ პროექტს სერიოზული გათვლა-გაანგარიშება სჭირდება, რაც საკმაოდ შრომატევადი პროცესია. სწორედ ამის შემდეგ გამოჩნდება, რა დადებითი მხარეები ექნება ამ პროექტს და აგრეთვე უარყოფითიც - იმ შემთხვევაში, თუ წინაპირობები ვერ შესრულდება. ელიტური ლიგის შექმნის იდეას თავისი ლოგიკა აქვს, მაგრამ მეორეს მხრივ, ძნელია, ასეთი პროექტის ზუსტად გაანგარიშება. ამ იდეაზე ხელი არ ჩაგვიქნევია. ვაპირებთ, სერიოზულად ვიმუშაოთ ამ მიმართულებით და ვნახოთ, რამდენად რეალურია საქართველოში ამ იდეის განხორციელება. ამ მოდელით არა ერთი წარმატებული ლიგა შეიქმნა: NHL, NBA, MLS, ზე14 რაგბიში... თუ ჩვენ ელიტურ ლიგას შევქმნით, საფეხბურთო ევროპაში ეს პირველი პროექტი იქნება. ასეთი ლიგა იმასაც მოიცავს, რომ არ უნდა იყოს რელეგაცია. ანუ ზემოდან ქვედა ლიგებში გავარდნა. უეფას რეგულაციები არ კრძალავს ისეთი ლიგის შექმნას, საიდანაც აუცილებელი პირობა არ იქნება ქვედა ლიგაში გავარდნა, მაგრამ ეს მაინც სამუშაო საკითხია უეფასთან.



ნოდარ ახალკაცი

**- როგორც უნდა იყოს, ქართული საფეხბურთო ბაზარი ფაქტობრივად არ არსებობს. არის რაღაც ფინანსური თუ მატერიალური რესურსები, რომლებიც არა - აკუმულირებული, არამედ დაქსაქსულია. ელიტური ლიგა ანუ ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან ლიცენზირების გაცემა მხოლოდ მცირე რაოდენობის კლუბებზე ამ რესურსების თავმოყრას გამოიწვევს. ასეთია ამ ლიგის შექმნის დედააზრი. თქვენ ხედავთ სხვა ალტერნატივას, რითაც მნიშვნელოვნად მოხდება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის და თასის გათამაშების გამოკეთება?**

> მეორედ რომ მომიხდა კანდიდატურის წამოყენება, ამით ბედნიერი ნამდვილად არ ვყოფილვარ

- წინასწარ რომ ვიცოდეთ, რომ ელიტური ლიგის შექმნა სწორედ ის ალტერნატივაა, რაც აუცილებლად მოგვიტანს შედეგს, ამას დღესვე გავაკეთებდით. მაგრამ ჩვენ ყველაფერი რეალობას უნდა მივუსადაგოთ, ანუ ვიყოთ ძიებაში.

**- შევიტყვეთ, რომ უეფას პროგრამა ჰეთ-ტრიკით საქართველოში სამი უმაღლესი დონის ხელოვნურსაფრიანი მოედანი დაიგება: რუსთავის სტადიონზე, „ვიტ ჯორჯიას" სტადიონზე მცხეთასა და და ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში". ეს პროგრამა მხოლოდ ამ სამი მოედნის მოწყობას მოიცავს?**

- ჰეთ-ტრიკის პროგრამა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შემდეგ ხორციელდება - ამ ტურნირის შემოსავლებიდან უეფას ყველა წევრ ასოციაციას ერთი და იგივე თანხა ხვდება - 2,5 მილიონი ევრო. ეროვნული ასოციაციები ჯერ გზავნიან პროექტს უეფაში და ითხოვენ მის დამტკიცებას, რათა თანხა მიზნობრივად იყოს გამოყენებული. უეფამ ჩვენ ამ სამი მოედნის მოწყობა დაგვიმტკიცა და ალბათ ეს მოედნები სექტემბრისთვის უკვე მზად იქნება. მანამდე გამოვაცხადებთ ტენდერს, რათა საუკეთესო ვარიანტი შევარჩიოთ - იყოს მაღალი ხარისხი და თანხები ყაირათიანად იყოს დახარჯული. 2,5 მილიონი ევრო ცხადია არ ხმარდება მხოლოდ ამ სამ სტადიონს. სწორედ ჰეთ-ტრიკის პროგრამით ფედერაციამ 800 ათასი ევრო გადაიხადა ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციისთვის, ფედერაციის წილი ამ სტადიონში 5%-ია და ასეთი თანაფარდობის გათვალისწინებით ნაკლები თანხა ნამდვილად არ გაგვილია, რამეთუ ძალიან მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქცია. ფედერაცია აპირებს, რომ „ლოკომოტივის" მიხეილ მესხის სახელობის სტადიონსაც მიხედოს, მაგრამ ამ არენის საკუთრების და მართვის საკითხი ბოლომდე არ არის გარკვეული და მანამდე ჩვენ ამ სტადიონზე ვერანაირ სამუშაოს ვერ ჩავატარებთ, არადა, ძალიან გვინდა, რომ ამ სტადიონს კარგი მინდორი ჰქონდეს. თუნდაც ამის გამოც, ჩვენ ჯერ ბოლომდე არ დავხარჯავთ ჰეთ-ტრიკის რესურსს.

**- ფეხბურთის ფედერაციის ამ ხელმძღვანელობას და უშუალოდ თქვენ მწვავედ გიპირისპირდებიან. თითქოს არ ჩანს ის პრიორიტეტული მიმართულებები, რაზეც თქვენ საუბრობდით მაშინ, როცა ფედერაციის სათავეში მოხვედით...**

- ოთხი წლის წინ რომ მოვედით ფედერაციის სათავეში, მაშინ ვთქვით, რომ ჩვენი სამუშაო ბევრი მიმართულებით წარიმართებოდა. პირველ რიგში, წესრიგი იყო დასამყარებელი და მერე დაიწყებოდა პრიორიტეტების ათვისება, მთელი მეურნეობის სისტემაში მოყვანა. ბავშვთა ფეხბურთს გავუუმჯობესეთ პირობები, ხელისუფლებასთან ერთად 70 მინი მოედანი გაკეთდა. წარმატებული აღმოჩნდა სკოლბურთის პროექტიც, რაც დღეს უკვე 15 ათას ბავშვს მოიცავს. იყო ასაკის გადაკეთების პრობლემა, მაგრამ ჩვენ შემოვიღეთ პასპორტიზაციის ახალი სისტემა, და გარდა ამისა, შევქმენით მონაცემთა ბაზა, სადაც აღრიცხულია ყველა ბავშვი 10 წლის ასაკიდან.

**- ბავშვთა ფეხბურთი კი ერთიან სისტემაში არ არის მოყვანილი. ამ ცოტა ხნის წინ ბელგიაში სემინარზე იყო მივლენილი რამდენიმე ქართველი მწვრთნელი. იქ ისინი კარგად გაარკვიეს, თუ რა სისტემით მუშაობენ ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელები ევროპაში. ეს სისტემა მოიცავს ასეთ პრინციპს: ქვეყანა დაყოფილია რეგიონებად, თითო რეგიონში არის ტოპსკოლა, რომელიც კონსულტაციას უწევს და აკონტროლებს დანარჩენ სკოლებს, ყველაფერ ამას კი ფეხბურთის ეროვნული ასოციაცია ხელმძღვანელობს. რა უშლის ხელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომ განახორციელოს მსგავსი პროექტი? ცხადია, ამას შესაბამისი ფინანსები და კადრები სჭირდება - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არ გააჩნია შესაბამისი რესურსი?**

- ასეთი პროექტის განხორციელებისთვის დიდი ინვესტიციაა საჭირო. გერმანიის საფეხბურთო კავშირი ამისთვის წელიწადში 10 მილიონ ევროს ხარჯავს და შედეგიც აქვს. გერმანიის 19 და 17-წლამდელთა ნაკრებებმა ბოლო დროს დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ამ ყველაფერს სჭირდება კარგი მოედნები და კვალიფიცირებული, ლიცენზირებული მწვრთნელები. საამისოდ საკმარისი რესურსი კი მართლაც არ გაგვაჩნია. მწვრთნელთა კურსები და ლიცენზირება ჩვენთან წელიწადში ორჯერ ხდება. ერთ კურსზე 30 მსურველზე მეტს ვერ ვიღებთ და წელიწადში საშუალოდ 50-60 ლიცენზია გაიცემა. ფეხბურთზე კი საშუალოდ ჩვენთან 20 ათასი ბავშვი დადის და ცხადია, ლიცენზირებული მწვრთნელები მათთვის ჯერ არ გვყოფნის. ამას რომ მივაღწიოთ, დაახლოებით 10 წელია საჭირო. რომ იყოს კადრების და ინვესტიციების მოზიდვის სხვა, ალტერნატიული წყარო, რა თქმა უნდა, ასეთი პროექტის განხორციელებას ახლავე შევუდგებოდით.

**- ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე არჩევნები - ვინძლო, ეს არ იყოს საყოველთაო მოთხოვნა, მაგრამ ფაქტია, ქართული საფეხბურთო სამყაროს გარკვეული ნაწილი ამას დაჟინებით მოითხოვს. თუ დარწმუნებული ხართ საკუთარ უპირატესობაში, რატომ არ გსურთ რიგგარეშე არჩევნების ჩატარება? ამით ხომ მთელი ეს ალიაქოთი დასრულდებოდა...**

> ვისაც რაიმე იდეა აქვს ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ, მზად ვართ, თანამშრომლობისთვის

- უკვე გამარჯვებული რომ ხარ, აღარ სვამ კითხვას - გაიმარჯვებ? ვინც არ მუშაობს, ის არ უშვებს შეცდომებს, ხოლო თუ ვინმეს აქვს რამე აზრი და იდეა ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ და აქტიურად სურს ამაში მონაწილეობა, მზად ვართ, მოვუსმინოთ მათ და ვითანამშრომლოთ.

**- აქ მხოლოდ რიგგარეშე არჩევნებში არ არის საქმე. ნოდარ ახალკაცი ფედერაციის პრეზიდენტად ხელისუფლებამ დანიშნა - როცა ასე დგება საკითხი, ვფიქრობ, ამ ყველაფერს არგუმენტების მოყვანა არ სჭირდება. რატომ არის შეუძლებელი, რომ ჩაატაროთ ქართული საფეხბურთო სამყაროს საყოველთაო ყრილობა და ამ ყველაფერზე ყველამ ღიად ისაუბროს? ასეთ შეხვედრაზე ალბათ კარგად გამოჩნდება რა ნაბიჯის გადადგმა იქნება მართებული თქვენთვის და საერთოდ, ქართული საფეხბურთო სამყაროსთვის...**

- ამასთან დაკავშირებით, ერთხელ და სამუდამოდ დავაფიქსირებ ჩემს პოზიციას - ფეხბურთის ფედერაციის წინა არჩევნებში, როცა ხელმეორედ მომიხდა საკუთარი კანდიდატურის წამოყენება, ბედნიერი ნამდვილად არ ვყოფილვარ. ასეთი გადაწყვეტილების მიღება მორალურად ძალიან რთული იყო, მაგრამ იყო დაწყებული საქმე და ჩემი პირადი ინტერესები ასეთ დროს უადგილოდ ჩავთვალე. დღეს ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. იმ მომენტში კი ეს გადაწყვეტილება არ იყო ჩემთვის მოსაწონი და მხოლოდ საკუთარი თავისთვის რომ გამეწია ანგარიში, შესაძლოა, არ მიმეღო ასეთი გადაწყვეტილება...

დავით თავართქილაძე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ

## ოთარ კორღალიძე

# ამას არც ვმალავ, დინამომ ფული შემოგვთავაზა...

**ისევ „სიონი“-„ვიტ ჯორჯიას“ სკანდალური მატჩი და სხვა საეჭვო თამაშები, გარიგებების წინააღმდეგ ბრძოლა, რატომ დამარცხდა „სიონი“ შინ „ვეტერინარებთან“, როგორ შესთავაზეს ფული ბოლნისელებს... ამ და სხვა თემებზე „სიონის“ მთავარ მწვრთნელ ოთარ კორღალიძეს გავესაუბრეთ...**


ოთარ კორღალიძე — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

- ბატონო ოთარ, საინტერესოა, რით ახსნის „სიონის“ მთავარი მწვრთნელი იმას, რაც კვირას ბოლნისში მოხდა - „ვიტ ჯორჯიასთან“ 3:1 დაწინაურების შემდეგ 3:4 წააგეთ. მართალია, საქმე ჩემპიონატის ლიდერთან გქონდათ, მაგრამ მაინც... თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ ეს მატჩი გარიგებული იყო...

- სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არანაირი გარიგება არ ყოფილა! ჩვენი გუნდი არასტაბილურობით გამოირჩევა და მიუხედავად იმისა, რომ ორბურთიანი სხვაობით დავწინაურდით, თამაში მაინც წავაგეთ. თუმცა ჩვენი მარცხი ობიექტური მიზეზებითაც იყო განპირობებული...

**- მაინც რამ იმოქმედა თქვენს გუნდზე?**

- ჩვენ რომ 3:1-ს ვიგებდით, „დინამო“ ზუგდიდში 0:1-ს აგებდა. ეს ცნობა სტადიონზე გამოაცხადეს. დღემდე ვერ ამიხსნია, რატომ, მაგრამ ფაქტია - როგორც კი 3:1 წავიყვანეთ, ჩვენი ფეხბურთელების მიმართ ტრიბუნებიდან შეურაცხყოფის ტალღა წამოვიდა. იცით, ფეხბურთელებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და რა გასაკვირია, რომ ამან ფსიქოლოგიურად მოშალა გუნდი. ამიტომაც წავაგეთ, თორემ ჩვენზე მეტად იმ მატჩის მოგება ვის უნდოდა? მით უმეტეს, დაინტერესებაც იყო ერთი გუნდისგან, რომ ეს თამაში მოგვეგო...

**- რა აზრი აქვს დამალვას, ის „ერთი გუნდი“ ხომ „დინამოა“?**

- დიახ, გარკვეულ ფინანსურ დაინტერესებაზეც იყო ლაპარაკი - თუ „ვიტ ჯორჯიას“ მოვუგებდით, პრემიალურის სახით გარკვეულ თანხას მივიღებდით...

**- ...თან წინადღეს „ლელოსთან“ ინტერვიუში ხომ თქვით კიდეც - დიდი ხანია, ხელფასები არ აგვიღიაო. მაინც რა თანხაზე იყო ლაპარაკი?**

- ამას რა მნიშვნელობა აქვს, ფაქტია, დაინტერესება იყო...

**- ეს გასაგებია, მაგრამ წაგებას და თქვენი ფეხბურთელების გარჯას ბევრი საეჭვოდ მიიჩნევს. იქნებ, მეტოქე თქვენს რამდენიმე მოთამაშეზე „გავიდა“?**

- არა, ეს გამორიცხულია. „სიონი“ მეგობრული გუნდია, ფეხბურთელებთან ისეთი კარგი დამოკიდებულება მაქვს, ამას არათუ გაბედავდა ვინმე, არც კი გაიფიქრებდა. ასე რომ ყოფილიყო, აუცილებლად გავიგებდი... ხომ იცით, არაფერი იმალება, მაინც ყველა ყველაფერს იგებს... გარდა ამისა, სეზონი მთავრდება, გუნდში ძირითადად ასაკოვანი ფეხბურთელები არიან, მათ კონტრაქტები უმთავრდებათ და ყველა მათგანი ამ ხელშეკრულების გაგრძელებაზე ზრუნავს. ისინი ისეთ ასაკში არიან, სხვა გუნდებში მათი გადასვლა საეჭვოა. კიდევ ერთხელ ვამბობ - ამას გაბედავდნენ კი არა, არც გაიფიქრებდნენ. ისე, რა გასაკვირი იყო, რომ წავაგეთ? ის რატომ არ უკვირთ, „ზესტაფონმა“ „სპარტაკთან“ რომ წააგო?

**- „ზესტაფონისა“ და „სპარტაკის“ მატჩი საეჭვოდ მიგაჩნიათ?**

- ფაქტია, რომ შედეგი მოულოდნელია. რა, არ არის ასე? თუნდაც ჩვენი წინა მატჩები ავილოთ - ბევრი ფიქრობდა, რომ „სიონი“ „გაგრასთან“ წააგებდა, მაგრამ საჭირო შეცვლები გავაკეთე და ის თამაში მოვიგეთ. კარგად მახსოვს, სათადარიგოთა სკამზე რომ ქირქილებდნენ - ნახე, ნახე „სიონი“ „გაგრას“ „უწვება“ და მერე იტყვიან, სუფთად ვთამაშობდითო... ის მატჩი რომ მოვიგეთ, მერე უნდა გენახათ მათი სახეები, გაკვირვებულები იყვნენ... იმავე „სპარტაკს“ შინ ფრედ ვეთამაშეთ მეორე წრეში და სტუმრად 2:1 წავაგეთ. ეს რატომაა მოულოდნელი? ისიც ვერაფრით ამიხსნია, ჩვენი მეკარე გია ჭანტურია რატომ შეურაცხყვეს. ერთი მითხარით, გაშვებული გოლებიდან რომელი შეიძლება მეკარეს დაჰბრალდეს?

**- როგორ ფიქრობთ, გარიგებული მატჩების წინააღმდეგ რომელი გზაა ეფექტური?**

- ჩვენ, მწვრთნელები და კლუბების პრეზიდენტები უნდა შევიკრიბოთ და ამაზე ვიმსჯელოთ. ყველა ჩვენგანის შეგნებამდე უნდა დავიდეს, რომ ეს გარიგებული მატჩები თავის მოტყუებაა. სანამ ეს არ მოხდება, მანამდე არაფერი გამოვა. ვისაც უნდა, მაინც შეეცდება გარიგებას... ადრე არასდროს მითქვამს, მაგრამ ახლა უკვე სერიოზულად ვფიქრობ, რომ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ტოტალიზატორში ფსონების დადებამაც ალბათ ნოყიერი ნიადაგი შექმნა გარიგებული მატჩებისთვის. იმას ნამდვილად არ ვამტკიცებ, თუ ტოტალიზატორი ჩვენი პირველობის თამაშებზე ფსონებს აღარ მიიღებს, ჩაწყობები აღარ იქნება-მეთქი... აი, დასრულდება სეზონი და უმაღლესი ლიგის კლუბების პრეზიდენტები და მწვრთნელები უნდა შევიკრიბოთ, გულახდილად ვილაპარაკოთ, რაღაცაზე შევთანხმდეთ, რაიმე მემორანდუმის მაგვარ დოკუმენტზე მოვაწეროთ ხელი... ამ სენს ყველა ერთად უნდა ვებრძოლოთ. ქართულ ფეხბურთში მეც მაქვს გარკვეული დამსახურება და ამ საქმეშიც მინდა, ერთი აგური მაინც დავდო. დამთავრდება ჩემპიონატი, შევხვდები პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილსა და ფედერაციის ხელმძღვანელობას, გენერალურ მდივან რევაზ არველაძეს... სწორედ გარიგებული მატჩების წინააღმდეგ ბრძოლაზე მექნება მათთან ლაპარაკი.

**- „სიონში“ დავალიანება რომ არის, ხომ არ დაფარეს? გუნდიდან წასვლაზე ვიფიქრებო, ამას წინათ თქვით...**

- მქონდა შეხვედრები და დაგვპირდნენ, დავალიანება მალე დაიფარებაო. იმედი მაქვს, ეს პრობლემა მალე მოგვარდება.

**დავით ცაბაძე**

ფეხბურთიდან დიპლომატიაში

# მგლების პრეზიდენტი კონსულად

## მწვრთნელი კი პროფესიონალის ლიცენზიას უმიზნებს

ზუგდიდის „მგლების“ პრეზიდენტი **ლაშა დარასელია** უკრაინაში საქართველოს კონსული გახდა. ამიერიდან ის ოდესაში განთავსებულ საკონსულოში იმუშავებს. ახალი სამსახურიდან გამომდინარე, დარასელია კლუბში ვეღარ იმუშავებს, რაც თავადაც დაგვიდასტურა. თუ ვინ გახდება „მგლების“ ახალი პრეზიდენტი, ეს ჯერ უცნობია.

უკრაინაში გამგზავრებას აპირებს გუნდის მთავარი მწვრთნელი **ბესიკ შეროზიაც** - როგორც თავად გვითხრა, სეზონის დასრულებისთანავე სწავლის გაგრძელებას აპირებს.

*„ვფიქრობ, გუნდის წლევანდელი გამოსვლა წარმატებულად უნდა შევაფასოთ. რამდენიმე შთამბეჭდავი თამაში ჩავატარეთ და „მგლების“ უდავოდ დიდი პერსპექტივაც დავინახე. დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში გაცილებით ძლიერი გუნდი გვეყოლება და გულშემატკივარს კიდევ უფრო გავახარებთ. მეც მსურს, გუნდთან ერთად „გავიზარდო“. რა დასამალია და, მწვრთნელობის უკეთ დაუფლების სურვილი და აზარტი გამიჩნდა. თბილისში A კატეგორიის მწვრთნელის ლიცენზია უკვე ავიღე, ახლა კი პროლიცენზიას ვუმიზნებ. მინდა, ცოდნა გავიღრმავო და ამ მიზნით, ვაპირებ, საბუთები შევიტანო კიევის მწვრთნელთა სკოლაში, სადაც პროლიცენზია უკვე მიიღეს გია გეგუჩაძემ, ვლადიმერ ხაჩიძემ და რევაზ ძოძუაშვილმა“*, - გვითხრა შეროზიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქე

# ალბანეთი ხორვატი მწვრთნელით გველოდება

როგორც იცით, 6 და 10 ივნისს საქართველოს ეროვნული ნაკრები ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს - ჯერ მოლდოვას ვუმასპინძლებთ, მერე კი ალბანეთს გავეჯიბრებით. ტირანაში მეტოქე ახალი მწვრთნელით დაგვხვდება - ალბანეთის ნაკრები **იოსიპ კუცეს** ჩააბარეს. 56 წლის ხორვატმა სპეციალისტმა, რომელიც რუანდის ნაკრებსა და იაპონურ „ჯეფ იუნაიტედში“ მუშაობდა, ალბანეთის ეროვნული გუნდის ვაკანტურ სამწვრთნელო პოსტზე ჰოლანდიელი **არი ჰაანი** შეცვალა. ეს უკანასკნელი 28 მარტს უნგრეთთან საშინაო მარცხისა (0:1) და 1-ელ აპრილს დანიაში წაგების (0:3) შემდეგ მოხსნეს.

იოსიპ კუცე ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **არმანდ დუკამ** გუშინ წარადგინა. ხორვატთან 18-თვიანი კონტრაქტი გაფორმდა, მისი გაგრძელების პერსპექტივით. საქართველომდე, კუცეს პირველი გამოცდა 6 ივნისს, პორტუგალიასთან საშინაო მატჩში ელის.

**დავით ცაბაძე**


იოსიპ კუცე

მოსალოდნელი ტრანსფერი

# იაშვილი აუგსბურგს უნდაო...

## სავარაუდო ნავსაყუდელი ფრაიბურგი და ნიურნბერგიც შეიძლება იყოს



ალექსანდრე იაშვილი

ბუნდესლიგაში ერთი ტურილა დარჩა ჩასატარებელი. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუეს“ გერმანიის მთავარ ლიგაში დარჩენის შანსი ჯერ კიდევ აქვს. თუკი ბადენვიურტემბერგელები მეორე ლიგაში მაინც დაქვეითდნენ, ქართველ ფორვარდსა და კლუბს შორის კონტრაქტი ავტომატურად გაწყდება. ასე რომ, იაშვილს კიდევ ერთხელ მოუწევს მისამართის შეცვლა, თუმცაღა ტრანსფერის საკითხი ჯერ ბუნდოვანია. ამ თემაზე პოპულარულმა გერმანულმა გამოცემა „ბილდმა“ გუშინ ჩვენთვის საყურადღებო ინფორმაცია გაავრცელა. როგორც ირკვევა, იაშვილის გადაბირება „აუგსბურგს“ ნდომებია. თუმცა ამ კლუბის ოფიციალური ვებგვერდი ამ ინტერესის შესახებ ჯერჯერობით არაფერს წერს.

*„აუგსბურგის“ მენეჯერ ანდრეას რეტიგს „კარლსრუეს“ ქართველ თავდამსხმელ ალექსანდრე იაშვილის დაყოლიება სურს. აუგსბურგელებმა ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დაიწყეს ამ ტრანსფერზე ზრუნვა. უფრო მეტიც, იაშვილთან კონტაქტიც ჰქონდათ, მაგრამ ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება. რეტიგი, რომელიც 1998-2002 წლებში „ფრაიბურგის“ მენეჯერი იყო, კარგად იცნობს იაშვილის შესაძლებლობებს. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა მიმდინარე ჩემპიონატში 22 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა. საგულისხმოა ისიც, რომ ანდრეას რეტიგმა „ფრაიბურგიდან“ „აუგსბურგში“ იაშვილის თანამემამულე ოთარ ხიზანეიშვილის გარდა, სხვა ფეხბურთელებიც გადაიყვანა“*, - წერს „ბილდი“.

ბუნებრივია, გერმანიაში იაშვილსა და **ოთარ ხიზანეიშვილთან** დაკავშირება გადავწყვიტეთ, მაგრამ გუშინ ეს არ მოხერხდა. იაშვილთან დაახლოებულმა წყარომ დაგვიდასტურა, რომ „აუგსბურგს“ რეალურად სურს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელის გადაბირება, მაგრამ თავად იაშვილს ეს ვარიანტი მაინცდამაინც არ ხიბლავს. პრინციპში, ეს ბუნებრივიცაა, რადგან „აუგსბურგი“ მეორე ლიგაში 40 ქულით მე-11 ადგილზეა და ფინიშამდე ერთი ტურით ადრე ლიგაში დარჩენა გაინაღდა.

გარდა ამისა, შევიტყვეთ, რომ იაშვილის აყვანა მის ყოფილ კლუბ „ფრაიბურგსაც“ სურს. ამ გუნდმა ბუნდესლიგის საგზური უკვე გაინაღდა. „ფრაიბურგის“ სახელთან კიდევ ერთ ქართველს, **ლევან ცქიტიშვილსაც** აკავშირებენ, მაგრამ ამ სამიოდე დღის წინ თავად ცქიტიშვილმა „ლელოსთან“ საუბარში განაცხადა, რომ „ფრაიბურგიდან“ მას არავინ დაჰკავშირებია.

ასევე ჩვენი ინფორმაციით, იაშვილის მიმართ გარკვეულ ინტერესს იჩენს „ნიურნბერგი“, რომელიც 57 ქულით მესამე ადგილზეა და ბუნდესლიგაში გადასასვლელად პლეი ოფის გავლა მოუწევს. იაშვილთან დაახლოებულმა წყარომ „ფრაიბურგისა“ და „ნიურნბერგის“ ინტერესი არც დაგვიდასტურა და არც უარყო, მხოლოდ ის აღნიშნა, რომ საქართველოს ნაკრების ფორვარდი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს და ელოდება ივნისს, როცა უფრო მეტი ვარიანტი შეიძლება გაუჩნდეს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური ფეხბურთი

# სიბრიყვეს საზღვარი მართლაც არ აქვს...

## კოკოითის ჩანაფიქრი: აბრამოვიჩის მილიონები და ცხინვალის სპარტაკი ევროპაში

მცირე ხნის წინათ ქართულ მედიაში ასეთი ინფორმაცია გავრცელდა: სამაჩაბლოში არსებული რუსეთის აგენტურა (ანუ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება), კერძოდ **ედუარდ კოკოითი** საკუთარი ჩემპიონატის ჩატარებას, ამ ვითომ ქვეყნის ნაკრების ჩამოყალიბებასა და ფიფა-უეფაში გაწევრებას აპირებს.

რუსული სააგენტო „რია ნოვოსტის" ცნობით, ლონდონის „ჩელსის" მეპატრონე, ბიზნესმენი **რომან აბრამოვიჩი** „სამხრეთ ოსეთის" სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 10 მილიონ გირვანქას გაიღებს. წინასწარი სამუშაოების ჩასატარებლად ოლიგარქმა ცხინვალში რაღაც ჯგუფი უკვე გაგზავნა. საინტერესო ინფორმაციას გვიმხელს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესლიგელი ცხინვალის „სპარტაკის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

„მცირე ხნის წინ, „ლელოში" დიმიტრი სანაკოევის ინტერვიუ გამოქვეყნდა. სანაკოევი ცხინვალის „სპარტაკის" პერსპექტივაზე საუბრობდა, რომ სამომავლოდ კლუბის სერიოზული დაფინანსება იგეგმება და ისეთი „სპარტაკის" ჩამოყალიბება სურს, რომელიც ევროთასებზე ითამაშებს. ეს ამბავი ცხინვალშიც შეიტყვეს და სწორედ სანაკოევის განცხადების შემდეგ გადაწყვიტეს საკუთარი ჩემპიონატის ჩატარება და ცხინვალის „სპარტაკის" ჩამოყალიბება. კოკოითი გამწარდა იმ პერსპექტივით, რომ შესაძლოა, ცხინვალი ევროპაში საქართველოს სახელით გავიდეს. უთქვამს კიდეც, თუ ქვეყანა ვართ, სამხრეთ ოსეთის ჩემპიონატიც უნდა გავმართოთო. მოკლედ, პროცესს მიმართულება მიეცა და ცხინვალის „სპარტაკის" დაარსებაც გადაწყდა. კოკოითის იმედი აქვს, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირის დახმარებით, „სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაცია" ფიფასა და უეფაში გაწევრდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ცხინვალის „სპარტაკი" უკვე არსებობს, უეფაში კი ამ სახელით მეორე კლუბს არ დაარეგისტრირებენ. რა თქმა უნდა, კოკოითიმ ამდენი არც იცის. ის დაფაცურდა და რომან აბრამოვიჩს წერილი ჯერ თავისი სახელით გაუგზავნა, თუმცა მხოლოდ ამას არ დასჯერდა - მოსკოვში ერთ-ერთი ვიზიტის დროს, რუსეთის პოლიტიკურ ელიტას აბრამოვიჩთან შუამავლობა სთხოვა, რათა მილიარდერისთვის მისი თხოვნა უფრო „გასაგები" ყოფილიყო - თითქოსდა, ლაპარაკია არა სპორტზე, არამედ, რუსეთისთვის პოლიტიკურად მიზანშეწონილ საფეხბურთო პროექტზე. აბრამოვიჩი ყველაფერს კარგად მიხვდა და 10 მილიონი გირვანქის გამოყოფას დათანხმდა, თან თავისი ხალხიც მიავლინა ცხინვალში, რათა გაეგო, რამდენად შეესაბამებოდა პროექტის ხარჯთაღრიცხვა რეალობას. თანხის ნაწილი სტადიონის რეაბილიტაციას მოხმარდება, ნაწილი კი ცხინვალის „სპარტაკსა" და კიდევ რამდენიმე კლუბს. ეს ამბავი რამდენიმე ხნის წინ მითხრეს. თავიდან არ ვიჯერებდი, მაგრამ „რია-ნოვოსტით" და ქართული მედიით გავრცელებულმა ინფორმაციამ დამარწმუნა, რომ ცხინვალში მოძრაობა უკვე დაწყებული აქვთ. ძნელი წარმოსადგენია, რომ ფიფამ და უეფამ „სამხრეთ ოსეთი" ამ ორ-



რომან აბრამოვიჩი



ედუარდ კოკოითი

განიზაციებში გააწევრონ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ჯიბრზე კლუბს აყალიბებენ. სხვათა შორის, ჩვენი „სპარტაკის" რამდენიმე შეხვედრას ცხინვალელი ოსები დაესწრნენ, რაც საკმაოდ გაგვიკვირდა. თურმე, ზოგიერთი ჩვენი ფეხბურთელის გადაბირება სურთ, მაგრამ არ ვიცი, კონკრეტულად ვინმეს თუ შესთავაზეს გადასვლა. მსგავსი ლაპარაკი ადრეც იყო, როცა სეპარატისტების გუნდი ჩრდილოეთ ოსეთის პირველობაზე მონაწილეობდა. ფეხბურთელების გადაბირებაც პოლიტიკური ქვეტექსტის შემცველი იქნება, აქაოდა, მათ რუსეთში ურჩევნიათო", - გვითხრა ცხინვალის „სპარტაკის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

„სპარტაკის" ნახევარმცველს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრ **თემურ შონიას** ამის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ.

„მე არავინ დამკავშირებია და მსგავსი რამ არც თანაგუნდელებისგან მსმენია. ასეც რომ მოხდეს და მილიონები შემომთავაზონ, იქ არ ვითამაშებ. დარწმუნებული ვარ, ასე ფიქრობს თითოეული ჩვენი მოთამაშე. მე ჯერ ქვეყნისთვის ვთამაშობ და მხოლოდ ამის მერე მაინტერესებს ფული", - გვითხრა შონიამ.

საინტერესოა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად სამაჩაბლოში მთლიანად განადგურდა სპორტული ინფრასტრუქტურა: „სპარტაკის" სტადიონი და საწვრთნელი ბაზა, ფაქტობრივად, საწყობებად აქციეს. აგვისტოს ომის დროს, რუსებმა მიწასთან გაასწორეს სამაჩაბლოს ქართული სოფლების მინისტადიონები, საჭიდაო დარბაზი და საცურაო აუზიც კი - ანუ ყველაფერი, რაც მათ „ოკუპანტ" ქართველებთან აკავშირებდათ.

სიბრიყვეს საზღვარი მართლაც არ აქვს. რუსის ჯარი ყოველთვის ერთგვაროვანია, მისი გენერალი გინდა ურმით გადაადგილდებოდეს და გინდა - უახლესი მოდელის „ჯიპით". ჩვენ რა გვიკვირს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე გერმანიაში მასობრივი ძარცვა მოაწყვეს - მთელი 20 წელი საბჭოთა კავშირის ფაბრიკა-ქარხნები გერმანიიდან მოპარული ტექნიკით მუშაობდა. რომ არა პოლიტიკური ზეწოლა, ძნელი წარმოსადგენია, „ჩელსის" მეპატრონეს ფული 20-ათასიან, სეპარატისტულ რეგიონში დაებანდებინა, საიდანაც არანაირი მოგება არ ექნება. წარმოგიდგენიათ, „ლივერპულის" ან „მანჩესტერ იუნაიტედის" მეპატრონე ასე რომ მოიქცეს? მადლობა ღმერთს, კრემლს ამ კლუბებზე მაინც არ აქვს გავლენა...

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი

### უმაღლესი ლიგა

ალმოსავლეთი

გადადებული მატჩი

**სიონი 2-ჩიხურა 2:3**

1:0 ლ. ჯოხაძე (21), 1:1 დოლონაძე (65), 1:2 ქამუშაძე (67), 1:3 ტყებუჩავა (80), 2:3 ბუბუტეიშვილი (90)

სიონი 2: მესხი, ლ. ჩხეტიანი, გიორბელიძე, პატარქალაშვილი, არღვლიანი, გაბრიჭიძე, უგრეხელიძე (73. გოგიბერიშვილი), კახნიაშვილი, ბუბუტეიშვილი, ლ. ჯოხაძე (79. ქობულაძე), ოქროპირიძე.

სათადარიგოები: გურგენიძე, ბრეგვაძე, გოგოლიძე, უგულავა, გიგინეიშვილი

მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

ჩიხურა: დოლაძე, დოლონაძე, ბარაბაძე, ზივზივაძე, ტყებუჩავა, ზაბახიძე, ნოზაძე, ქამუშაძე (74. ჩიკვაიძე), პეტრიაშვილი (78. ენუქიძე), მიქაძე, კობახიძე.

სათადარიგოები: მწყერაშვილი, ხვედელიძე, როგავა, მაჭარაშვილი, ცარციძე

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: არღვლიანი, ლ. ჩხეტიანი, ნოზაძე

გაძევება: არღვლიანი

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

XXXII ტური

**გაგრა 2-ჩიხურა 0:1**

0:1 ენუქიძე (79)

გაგრა 2: ნაჭყებია, სეფიაშვილი (46. გელენიძე), ლ. კალანდაძე, ძაგანია, გედენიძე, მარგიანი, მოსიაშვილი, თუხარელი, ოქრიაშვილი, ბაგალიშვილი (56. ჭაავა), დ. ჩხაიძე (61. დემეტრაშვილი).

სათადარიგო: ახობაძე

მწვრთნელი: თეიმურაზ ჩხაიძე

ჩიხურა: დოლაძე, დოლონაძე, ბარაბაძე, ზივზივაძე, ტყებუჩავა, ზაბახიძე, ჭილლაძე, ქამუშაძე (72. ჩიკვაიძე), პეტრიაშვილი (59. ენუქიძე), მიქაძე, კობახიძე (84. დეკანოიძე).

სათადარიგოები: მწყერაშვილი, ხვედელიძე, ცარციძე, ა. ივანიშვილი

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: დოლაძე, მარგიანი, კობახიძე

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

**თბილისი-დილა 2:2**

0:1 ანდღულაძე (7), 0:2 ანდღულაძე (8), 1:1 შუშიაშვილი (35), 2:2 შუშიაშვილი (58)

თბილისი: გიორგობიანი, გუჯარაიძე, ამისულაშვილი, ჭაფოძე, სებისკვერაძე, კბილცეცხლაშვილი (72. მ. ტორონჯაძე), გურეშიძე, გოგოხია, ხოხონიშვილი, ჯაში (55. ზვიადაძე), შუშიაშვილი (84. კორიფაძე).

სათადარიგოები: გედენიძე, ბროლაძე, დევდარიანი

მწვრთნელი: გელა გომელაური

დილა: დგებუაძე, ცოცხალაშვილი (62. კანდელაკი), სორდია (57. ტიელიძე), გ. თარგამაძე, ი. თოდუა, მინდიაშვილი, ქარდავა, მაჭავარიანი, ანდღულაძე, ფაილოძე (84. ფოცხვერია), ბეგლარაშვილი.

სათადარიგოები: მაისურაძე, დაჩანიძე, სურმავა, გ. მეტრეველი

მწვრთნელი: პაატა მეტრეველი

გაფრთხილება: ტორონჯაძე, სორდია, ფაილოძე

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

**დინამო 2-ნ/დინამო 4:0**

1:0 ზვ. ქანთარია (29), 2:0 ზვ. ქანთარია (44), 3:0 ზვ. ლობჟანიძე (69), 4:0 სიხარულძე (82)

დინამო 2: ლოსაბერიძე, მინდორაშვილი, გეთიაშვილი, ჩადუნელი, ჯიშკარიანი, მამუჩიშვილი (46. ვ. ბოლქვაძე), კაკუბავა, ნემსაძე, გ. ჯოხაძე, ზვ. ქანთარია (46. ზვ. ლობჟანიძე), ლომია (20. სიხარულიძე).

სათადარიგოები: ნადირაძე, კეკელია, გ. ქავთარაძე, მამრაში

მწვრთნელი: დავით კეელიშვილი

ნ. დინამო: გაბრიჩიძე (46. თურმანიძე), გურაბანიძე (46. აფხაზავა), ჩიხლაძე (65. მამულაშვილი), ტოსტიაშვილი, თანიაშვილი, კაპანაძე, მერეჩკო, ი. ქავთარაძე, ლაპარტყავა, ხვთისავრიშვილი.

მწვრთნელი: რეზო ბარამიძე

გაფრთხილება: ჩადუნელი, ხვთისავრიშვილი, გ. ჯოხაძე

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

**კახეთი-ჰერეთი 1:2**

0:1 ბ. ფოფხაძე (12), 0:2 ი. ტაბატაძე (32), 1:2 გიგაური (85-პენ)

კახეთი: კობრიაშვილი (ბორჩაშვილი 59), ნინიკელაშვილი, მეგუთნიშვილი, გერგიშვილი, ხუროშვილი (46. ლებანიძე), გენგაშვილი, ხუციშვილი, გიგაური, ტეტიაშვილი, ბიძინაშვილი, ძამუკაშვილი.

სათადარიგო: ტარუღაშვილი

მწვრთნელი: გივი კობაიძე

ჰერეთი: ჯალიაშვილი, ზ. ფოფხაძე, მაჭარაშვილი, ტაკაშვილი, ხარაიშვილი, ყორღანაშვილი, ი. ტაბატაძე (46. რეხვიაშვილი), თანდაშვილი, ყაველაშვილი (72. ვ. კურტანიძე), ნვერავა, ბ. ფოფხაძე (66. ოქრუაშვილი).

სათადარიგოები: კ. კურტანიძე, თაბუკაშვილი, ა. აბაშიძე

მწვრთნელი: კარლო წვერავა

გაფრთხილება: ნინიკელაშვილი, გენგაშვილი, ზ. ფოფხაძე, ხარაიშვილი, ჯალიაშვილი

არბიტრი: ჯ. ხორავა

**ვიტ ჯორჯია 2-სიონი 2 2:1**

1:0 ზაქრაძე (13), 1:1 ბუბუტეიშვილი (35), 2:1 ზაქრაძე (70)

ვიტ ჯორჯია 2: ღურბელეიშვილი, ადამაძე, გოგიაშვილი, ვეკუა, იოსელიანი, მაისაშვილი (73. ფურცელაძე), ვასაძე, ჯანელიძე, ხოკერაშვილი (46. როსტიაშვილი), წაქრაძე, ცხოვრებაძე (46. ლანიაშვილი).

სათადარიგოები: ეზიეშვილი, გამრეკლიძე, სვანიძე, დათუნაშვილი

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

სიონი 2: გურგენიძე, პატარქალაშვილი, უგულავა, გოგიბერიშვილი, კახნიაშვილი, ბუბუტეიშვილი (79. ქობულაძე), გაბრიჭიძე, უგრეხელიძე (85. გიორბელიძე), ალფაიძე, ოქროპირიძე, ლ. ჯოხაძე.

სათადარიგოები: მესხი, გიგინეიშვილი, ბრეგვაძე, გოგოლაძე, ასათიანი

მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

გაფრთხილება: ადამაძე

არბიტრი: ვ. გუმბერიძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 29 | 21 | 5 | 3 | 57-15 | 68 |
| 2. ჩიხურა | 29 | 18 | 7 | 4 | 55-21 | 61 |
| 3. დინამო 2 | 29 | 17 | 8 | 4 | 58-24 | 59 |
| 4. ვიტ ჯორჯია 2 | 29 | 17 | 6 | 6 | 45-18 | 57 |
| 5. დილა | 29 | 11 | 9 | 9 | 41-30 | 42 |
| 6. თბილისი | 29 | 12 | 5 | 12 | 54-45 | 41 |
| 7. სიონი 2 | 29 | 8 | 6 | 15 | 35-63 | 30 |
| 8. ჰერეთი | 29 | 7 | 8 | 14 | 33-55 | 29 |
| 9. გაგრა 2 | 30 | 8 | 3 | 19 | 38-58 | 27 |
| 10. ნ/დინამო | 29 | 3 | 7 | 19 | 27-65 | 16 |
| 11. კახეთი | 29 | 3 | 6 | 20 | 20-69 | 15 |

XXIII ტური

24 მაისი, კვირა

სიონი 2-ჰერეთი
კახეთი-ვიტ ჯორჯია 2
დილა-ნორჩი დინამო
დინამო 2-თბილისი
ჩიხურა-ამერი

*გაგრა 2 ისვენებს*

დასავლეთი

XXXII ტური

**ჭიათურა-ბათუმი 2:2**

0:1 სამსეიშვილი (24), 0:2 თედორაძე (53), 1:2 გაფრინდაშვილი (56-პენ), 2:2 სამხარაძე (90)

ჭიათურა: ბადურაშვილი, გაფრინდაშვილი (78. პაპიძე), სამხარაძე, ბრეგვაძე, ცუცქირიძე, აბესაძე (60. სარალიძე), ნ. ტყემალაძე, შეყილაძე, თემირ მიშველიძე, სევასტოპულო (35. თემურ მიშველიძე), ლაშხი.

სათადარიგოები: ბარათაშვილი, რობაქიძე, ვაშაძე, დარბაიძე

მწვრთნელი: დავით იობაშვილი

ბათუმი: მამინაშვილი, სამსეიშვილი, ფარტენაძე, გოგიტაური, რამიშვილი, გ. გოგიტიძე, ზვ. ლობჟანიძე, მ. ჯორბენაძე (63. ზოიძე), დემურაძე (81. მამეიშვილი), თედორაძე, ტულუში (69. ბ. მახარაძე).

სათადარიგოები: გრიგალაშვილი, ლ. კალანდაძე, მერაბიშვილი, მალაზონია

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: გ. გოგიტიძე, თემირ მიშველიძე, ცუცქირიძე, ზოიძე, ბრეგვაძე

არბიტრი: ი. ურუშაძე

**კოლხეთი (ფ)-მარტვილი 2:1**

0:1 ციცხვაია (38), 1:1 გოგონაია (76), 2:1 ნიქარიშვილი (87)

კოლხეთი: გ. შენგელია, თურქია, ცხვიტარია, ლუსტა, გელაჭეიშვილი, გვიჩია, გოგონაია, აბურჯანია (55. გეგელია), გოგნაძე (69. ლემონჯავა), ნიქარიშვილი, გულუა (88. გაბუნია).

სათადარიგოები: ჩემია, ვახანია, კუკულაძე, სინაურიძე

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

მარტვილი: ქვილითაია, ჩხიკვაძე, ლომიძე (26. ფარცვანია), კვიტატიანი, იობაშვილი, ნონორია, ილურიძე (35. ლ. ტორაძე), ჩომახიძე, ო. ტორაძე (63. სილაგავა), ჩალაძე, ციცხვაია.

სათადარიგოები: დ. თოდუა, შეროზია

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: გულუა, გოგნაძე, ლემონჯავა, გ. შენგელია, ილურიძე, ქვილითაია

არბიტრი: ო. ხეცაძე

**ზესტაფონი 2-გურია 2:1**

1:0 ჭანკოტაძე (30), 2:0 ჭანკოტაძე (49), 2:1 ფირცხალაიშვილი (65)

ზესტაფონი 2: ძაძამია, ტაბატაძე, ხაჩიძე, კვესიეშვილი (71. ც. ბუკია), ნ. კირკიტაძე, ლიბრაძე, პრიხოდკო (82. არეშიძე), ბერიძე, კაკალაძე, ჭანკოტაძე (66. კვიკვინია), კეჭოშვილი.

სათადარიგოები: მუმლაძე, ი. ხვადაგიანი, ბერუაშვილი, ლაბაძე.

მწვრთნელი: მალხაზ ლონლაძე

გურია: გოგუაძე, ქურიძე (60. ფირცხალაიშვილი), ბრეგაძე (90. თოდაძე), გოგიბერიძე, წილოსანი, იმნაიშვილი, შენირული, ჯაყელი, მგელაძე, ლ. ციკოლია (46. უგულავა), კვერენჩხილაძე.

სათადარიგოები: კეკელიძე, ლ. ჯორბენაძე

მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

გაფრთხილება: ხაჩიძე, ჯაყელი, გოგიბერიძე

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**ტორპედო-ხობი 1:0**

1:0 ქუთათელაძე (25)

ტორპედო: კუჭუხიძე, ხარაბაძე, ბიბილაშვილი, ჩხარტიშვილი, ვაჩიბერაძე, ბ. ჩხეტიანი (60. ზაქარაშვილი), დანელია, ლ. კირკიტაძე, გურული, ქუთათელაძე (65. ცაგარეიშვილი), იმედაძე (72. ჩიხლაძე).

სათადარიგოები: მიგინეიშვილი, თევდორაძე, კუხიანიძე, ქათამაძე

მწვრთნელი: იოსებ ბზიკაძე

ხობი: ჭურღულია, ბ. ბუკია, კვირკველია, გ. გოგუნია, ფირცხალავა, ჩარგაზია, კ. გოგენია, ჩიტაია, გაგუა, ცობეხია, გ. ლომაია.

სათადარიგოები: გელაშვილი, ლეფსაია, ალანია, ჩაჩიბაია, მ. შონია, გრიგოლია

მწვრთნელი: ლევან ნოდია

გაფრთხილება: ცობეხია, ბ. ჩხეტიანი, გ. გოგენია, ბიბილაშვილი

გაძევება: ბ. ბუკია, ჭურღულია

არბიტრი: ლ. სილაგავა

**ბაია-მეშახტე 3:0**

1:0 ჩანგელია (18), 2:0 რაფავა (63), 3:0 ქირია (65-პენ)

ბაია: ზარქუა, ექონია (59. ნ. შონია), პაჭკორია, გ. ჟვანია, ქვარცხავა, სიხარულია (70. კაჭარავა), გუგუჩია, ჩანგელია (55. რაფავა), კ. შონია, ქირია, აფაქიძე.

სათადარიგოები: მაქაცარია, ვართაგავა, კაკუშაძე, სვირავა

მწვრთნელი: ვალერი გულორდავა

მეშახტე: მემარნიშვილი, გოგუა, მაჩალაძე, დონაძე, ბოჭორიშვილი, ჯიშიაშვილი, კუტალია (86. ხაბურძანია), გიზო სიჭინავა, გოდერიძე, ლ. ჯოხაძე, ჯ. ავალიშვილი (69. რ. კალანდაძე).

სათადარიგო: თევზაძე

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

გაფრთხილება: გიზო სიჭინავა

არბიტრი: მ. ურუშაძე

### პირველი ლიგა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 29 | 21 | 2 | 6 | 56-23 | 65 |
| 2. ბაია | 29 | 19 | 6 | 4 | 57-18 | 63 |
| 3. მარტვილი | 29 | 18 | 6 | 5 | 45-22 | 60 |
| 4. ტორპედო | 29 | 13 | 3 | 13 | 30-21 | 42 |
| 5. კოლხეთი (ფ) | 29 | 12 | 6 | 11 | 40-37 | 42 |
| 6. ჭიათურა | 30 | 12 | 3 | 15 | 38-48 | 39 |
| 7. ხობი | 29 | 11 | 3 | 15 | 29-44 | 36 |
| 8. ბათუმი | 29 | 9 | 8 | 12 | 33-42 | 35 |
| 9. გურია | 29 | 9 | 5 | 15 | 36-49 | 32 |
| 10. ზესტაფონი 2 | 29 | 7 | 6 | 16 | 25-42 | 27 |
| 11. მეშახტე | 29 | 3 | 4 | 22 | 17-60 | 13 |

XXIII ტური

24 მაისი, კვირა

გურია-მარტვილი
კოლხეთი-ზესტაფონი 2
მეშახტე-ხობი
ტორპედო 2008-ბაია
ბათუმი-სამტრედია

*ჭიათურა ისვენებს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# ქიქაველიშვილმა ოპერაცია გაიკეთა

## ხელოვნურსაფრიანი მოედნის ბრალიაო...




**დავით ქიქაველიშვილმა** აზერბაიჯანი ნაადრევად დატოვა. ბაქოს „სტანდარდის" ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა დაშავდა და თბილისში ოპერაცია გაიკეთა.

„აპრილში, ლენქორანის „ხაზართან" შეხვედრისას, ფეხი ამტკივდა. თუმცა, პრობლემა არ გამოვიკვლიე და კიდევ სამი შეხვედრა გამაყუჩებლით ვითამაშე. ტკივილი რომ გამიძლიერდა, აღმოჩნდა, რომ მენისკის ოპერაცია მქონდა გასაკეთებელი. ორი კვირის წინ, თბილისში მარცხენა ფეხზე ორივე მენისკის ოპერაცია გამიკეთეს. აზერბაიჯანში ეს საკითხი კარგადაა მოგვარებული - მთლიანი თანხა კლუბმა გაიღო".

დათო ტრავმას ხელოვნურსაფრიან მინდვრებს მიაწერს - აზერბაიჯანში ბუნებრივი საფარი მხოლოდ ერთეულ კლუბებს აქვთ.

„აზერბაიჯანის ფეხბურთში დიდი ფული ჩაიდო და მაგარი სტადიონები და ინფრასტრუქტურა გააკეთეს. თუმცა, კლუბთა უმრავლესობამ ახალი მოედნების ნაცვლად, ხელოვნური საფარი დააგო. ამან კი ბევრი ფეხბურთელი უკვე დააზარალა. ხშირია წელის უმიზეზო ტკივილი, მუხლის პრობლემა, კუნთების დაჭიმვით კლუბებში უამრავი ფეხბურთელია დაშავებული და როგორც ჩანს, ეს ყველაფერი სწორედ ხელოვნურსაფრიანი მოედნების ბრალია. ასეთმა საფარმა იცის მსგავსი ტრავმები. ჩემს პრობლემასაც სწორედ ამას მივაწერ".

დათომ ჯერ კიდევ არ იცის, დარჩება კლუბში თუ არა: „ტრავმის გამო, ნაადრევად წამოვედი და ჩემი და კლუბის თანამშრომლობაზე ვერ დავილაპარაკეთ. სეზონი დამთავრდება და მერე დავილაპარაკებთ. ჯერ კი არ ვიცი, გავაფორმებ კონტრაქტს თუ არა".

აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბოლო ტურებში „სტანდარდის" კაპიტანი **ლევან სილაგაძე** გახლდათ.

„ეს იყო თავად ხელმძღვანელობის იდეა, რადგან ლევანმა თავისი საქციელებითა და პიროვნული თვისებებით ყველას პატივისცემა დაიმსახურა. კლუბის პრეზიდენტის, მწვრთნელის და ფეხბურთელების საერთო აზრი იყო, რომ ლევანი ყველაზე მეტად იმსახურებდა კაპიტნის სამკლავურს. უცხოეთში რომ კაპიტნობას ჩაგაბარებენ, ეს ბევრს ნიშნავს. ის ძალიან კარგ ფორმაშია".

**მერაბ მამულაშვილი**

ალიარება



ამირან მუჯირი (მარცხნივ) და თორნიკე აფციაური

# მუჯირი საუკეთესო ფეხბურთელია

აზერბაიჯანში კლუბების მწვრთნელებმა და კაპიტნებმა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი და მწვრთნელი დაასახელეს. გამოკითხვა ორმა აზერბაიჯანულმა გამოცემამ, „აზერისპორტმა" და „ზერკალომ" ჩაატარა. შედეგად სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ჩვენი თანამემამულე, „ბაქოს" შემტევი ნახევარმცველი **ამირან მუჯირი** დაასახელეს. მუჯირის საუკეთესოობას ხმა მისცეს „ხაზარის" მთავარმა მწვრთნელმა **იგორ პონომარიოვმა**, „ყარაბახის" თავკაცმა **გურბან გურბანოვმა**, „მულანის" მთავარმა მწვრთნელმა **ვლადისლავ გადიროვმა**, მოიკ-ის თავკაცმა **გახრამან ალიევმა**, კაპიტნებიდან **რამინ ნასიბოვმა** („სიმურგი") და **ნადირ ნაბიევმა** („თურანი").

მუჯირმა სულ 6 ხმა მოაგროვა, კონკურენტთაგან ორ ხმაზე მეტი არავის მიუღია, ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ ვეტერანმა ქართველმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. მწვრთნელთა შორის „ბაქოს" მაკედონიელმა თავკაცმა **ჯოკიჩა ხაჯიევსკიმ** იმარჯვა 9 ხმით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ახალი თაობა

# პირველი ქართველი მადრიდის ატლეტიკოში

## საბურთალო ესპანეთში მეორე მოთამაშეს უშვებს

ვინიცის, 1995 წელს მადრიდის „ატლეტიკოში" რომ გადასულიყო, **გიორგი ქინქლაძის** კარიერა როგორ წარიმართებოდა. მაშინ ქართული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს **ხესუს ხილი** თავის კლუბში იწვევდა. ქართველი ვირტუოზის გადაბირებით ხილი ძალიან იყო დაინტერესებული, მაგრამ გიორგი ბრიტანეთის გზას დაადგა.

ორიოდე წლის წინ, მადრიდის „ატლეტიკოს" საბავშვო გუნდში ვარჯიშობდა **ზაზა ბერიძე**. თუმცა, მან ტრავმა მიიღო და მისი შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია.

მოკლედ, შესაძლებლობის მიუხედავად, დღემდე მადრიდში „რეალზე" არანაკლებ პოპულარულ კლუბში დღემდე ქართველს არ უთამაშია. თუმცა, მალე „ატლეტიკოს" კარი ქართველისთვის გაიღება.

გიორგი ნემსაძის სახელობის საფეხბურთო სკოლის ბაზაზე დაარსებული კლუბი „საბურთალო" საერთაშორისო კავშირებითა და გაქანებით, პატივისცემას იმსახურებს - **გიორგი ჭანტურიას** „ბარსელონას" 17-წლამდელთა გუნდში გაშვების შემდეგ, კლუბი ესპანეთში კიდევ ერთ ნიჭიერ მოთამაშეს უშვებს. ლაპარაკია საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისა და „საბურთალოს" წევრ **მამუკა კობახიძეზე**, რომელიც ცენტრალური და მარჯვენა მცველის პოზიციაზე წარმატებით თამაშობს. სხვათა შორის, ის უკანახაზელისთვის უჩვეულო შედეგიანობით გამოირჩევა - ლამის ყოველ მეორე შეხვედრაში ჭაბუკთა ლიგაში „საბურთალოს" გოლებით ეხმარება.

„მამუკა კობახიძე ესპანურ კლუბში ერთი კვირით მიიწვიეს და ვიმედოვნებთ, რომ თავს კარგად წარმოაჩენს. მიხარია, რომ ჩვენი კლუბი ფეხბურთელების ძლიერ ევროპულ კლუბებში გაშვებას ახერხებს, სადაც გაზრდისა და შემდგომი დაწინაურების დიდი შანსი აქვთ. გარდა იმისა, რომ მსგავსი დაინტერესება „საბურთალოს" სწორად მუშაობაზე მეტყველებს, ისევ ქართული ფეხბურთის ინტერესს პასუხობს", - გვითხრა „საბურთალოს" გენერალურმა დირექტორმა **კახა ჭუმბურიძემ**.

„საბურთალო" მოთამაშეებს იტალიაშიც უშვებს. ორი თვის წინ გაუწყებდით, რომ „ემპოლიში" სტაჟირებაზე ამ კლუბის თავდამსხმელი **დათი ხოჭოლავა** იმყოფებოდა.

„დათის იტალიელები კიდევ დააკვირდებიან. აპენინებზე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები მალე გაემგზავრება. ქალაქ ჩიპრანოში საერთაშორისო ტურნირზე ჩვენი 17-წლამდელები მიიწვიეს, რომელსაც ჩვენი მთავარი მწვრთნელი, გიორგი დევდარიანი ავარჯიშებს. საქართველოს გარდა, ტურნირში მონაწილეობენ „კალიარის" 17-წლამდელთა გუნდი, ჩიპრანოს იუნიორთა და ირანის ნაკრები. შეხვედრები 26, 27 და 28 მაისს გაიმართება. ხოჭოლავაზე დასაკვირვებლად, „ემპოლის" წარმომადგენლები ამ ტურნირს საგანგებოდ გაემგზავრებიან. თუმცა, საამისოდ, კობახიძემ ჯერ ნაკრების ძირითადში მოხვედრა უნდა დაიმსახუროს, თამაშის შემთხვევაში კი თავისი შესაძლებლობები გამოამჟღავნოს", - ამბობს ჭუმბურიძე.

რადგან ნიჭიერ ქართველებზეა ლაპარაკი, აქვე გეტყვით, რომ კობახიძესთან ერთად, მადრიდის „ატლეტიკოში" ჩარიცხვის შანსი კიდევ ერთ ქართველს აქვს - მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „ტრუდოვოი რეზერვის" 16 წლის ქართველი თავდამსხმელ **რომეო გელენიძეს**.

ეს ამბავი ფეხბურთელმა თავად გვითხრა. ესპანელთა გარდა, რუსეთში მცხოვრები ქართველით ორი იტალიური კლუბი, „ბრეშა" და „მილანი" დაინტერესდა. საერთოდაც, უკვე ბევრი ქართველი ახალგაზრდა მოექცა უცხოელ სელექციონერთა ყურადღების ცენტრში. **ლევან ელიზბარაშვილს** „პარმა" იწვევდა, უარი თქვა, მაგრამ წასვლის შანსი კვლავაც გაუჩნდა, ოღონდ სხვა კლუბში.

„შეფილდ იუნაიტედის" ფარმკლუბის კაპიტანია 18 წლის **სანდრო ვაშაკიძე**; პორტუგალიური გრანდის, ლისაბონის „ბენფიკას" იუნიორთა კლუბში საქართველოს უზრდიან **ბაქარ მირცხულავას**; ამავე კლუბში ელოდნენ ზუგდიდის „ბაიას" შემტევ ნახევარმცველ **ნიკა ძალამიძეს**, მაგრამ მიზეზთა გამო, ვერ გაემგზავრა - ის სხვა ვარიანტის სიმცირეს არ უჩივის.

მოსკოვის „სპარტაკის" დუბლებშია იმედის მომცემი **ჯანო ანანიძე**, „ემპოლის" რეზერვში ოსტატდება თავდამსხმელი **ირაკლი შეყილაძე**, „ბარსელონაშია" **გიორგი ჭანტურია**. კიდევ ბევრს ვერც ვიხსენებ.

თქვენი არ ვიცი და, მე ამ ახალგაზრდების ძალიან მეიმედება. ტალანტები უდავოდ გვყავს. მთავარია, მათ მაინც გაიკვალონ გზა დიდი ფეხბურთისკენ. ამ თაობას, რამდენიმე წელიწადში, ნაწილობრივ მაინც შეუძლია ქართული ფეხბურთის წუმპიდან ამოყვანა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# ქართველთა ევროშანსი ძალიან მცირეა



დავით ოდიკაძე

გუშინ უნგრეთის თასის პირველი ფინალური მატჩი გაიმართა, ქართველთა „დიორი ეტომ" „ჰონვედს" უმასპინძლა. მასპინძელთა რიგებში სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ **დავით ოდიკაძე** და **რატი ალექსიძე**. უკვე მე-17 წუთზე რატიმ ყვითელი ბარათი მიიღო, გაფრთხილებას ვერც მისი თანამემამულე გადაურჩა - მეორე ტაიმის დასაწყისშივე ოდიკაძეც გააფრთხილეს. 71-ე წუთზე სტუმრებმა „ეტო" კონტრშეტევაზე გამოიჭირეს. ოდიკაძის შეცდომით **აბრაჰამმა** ისარგებლა და „ჰონვედი" დააწინაურა, სამ წუთში მწვრთნელმა ოდიკაძე შეცვალა. მატჩის ბოლო წუთზე ალექსიძის თავური მასპინძელთა ყველაზე სახიფათო მომენტი იყო სტუმართა კართან, თუმცა „ჰონვედი" გადარჩა. „ეტო" 0:1 დამარცხდა. 26 მაისს ბუდაპეშტში საპასუხო შეხვედრაა, „ეტოს" საევროპო შანსები შემცირდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა


სამუელ ეტოო ბარსელონადან აზარგებას არ გამორიცხავს

ბარსელონა

# ეტოოს არსენალი უმიზნებს

## კატალონიელები ფეხს ითრევენ და პარალელურად ვილიას აგენტს ელაპარაკებიან

ესპანეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურილა დარჩა. მალე საკლუბო სეზონი მთელ ევროპაშიც დამთავრდება და ვარსკვლავები ნანატრ შვებულებაში გავლენ, თუმცა სანამ არდადეგები დაიწყება, ფეხბურთელების ერთი ნაწილი სამომავლო საკითხების გარკვევას შეეცდება. დაგვეთანხმებით, წამყვანი ევროპული გრანდების ფეხბურთელებს დამფასებლები არასოდეს მოაკლდებათ. მათ შორისაა **სამუელ ეტოოც**. კამერუნელმა ფორვარდმა რამდენიმე კვირის წინ განაცხადა, გამორიცხული არ არის, „ბარსელონიდან" წავიდე და კარიერა სხვა გუნდში გავაგრძელოო. ეტოოს ამ განცხადებამ ბევრ კლუბს აღუძრა მადა. სამუელთან თანამშრომლობის სურვილი „არსენალსაც" გაუჩნდა. როგორც ჩანს, ლონდონელები იმან გაათამამა, რომ აფრიკელი ფორვარდი პრემიერლიგაში თამაშის სურვილს მრავალი წელია გამოთქვამს....

„დიარიო მარკას" კორესპონდენტმა **ხოსე ფელიქს დიასმა** ეს ინფორმაცია პირველმა მოიპოვა. როგორც გაირკვა, მადრიდელ ჟურნალისტს „მეთოფეთა" მთავარ მწვრთნელთან, **არსენ ვენგერთან** არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონია. დიასმა ინგლისური კლუბის დამრიგებლისგან პირადად შეიტყო, რომ „არსენალის" ხელმძღვანელობა ეტოოს გადასაბირებლად სერიოზული ბრძოლის დაწყებას აპირებს. ლონდონელებს თურმე საერთოდ არ აშინებთ, რომ ეტოო „ბარსელონის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია. მათ ოპტიმიზმს დიდი ფული განაპირობებს. არსენ ვენგერის მტკიცებით, ინგლისელებმა ტრანსფერის გასაჩარხად დიდი თანხა გამოყვეს. ისინი უშუალოდ ეტოოს მადის დაკმაყოფილებაზეც ფიქრობდნენ და გადაწყვიტეს, სამუელს ბრიტანეთში გატარებული ერთი სეზონის სანაცვლოდ 9.3 მილიონი ფუნტი გადაუხადონ. მეტი თვალსაჩინოებისთვის გეტყვით, რომ ტრანსფერის გაჩარხვის შემთხვევაში ეტოო „არსენალის" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. მოკლედ, ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო იმაში დასარწმუნებლად, რომ სამუს „მეთოფეები" ზღაპრულ გასამრჯელოს ჰპირდებიან.

კატალონიელები „დიარიო მარკაში" გამოქვეყნებულ ინფორმაციას სიხარულით ნამდვილად არ შეხვედრიან, თუმცა ისინი, რა თქმა უნდა, აცნობიერებენ, რომ სერიოზული დაინტერესების შემთხვევაში იძულებულები გახდებიან, მოლაპარაკება დაიწყონ. **ჩიკი ბეგირისტაინი** ამთავითვე აცხადებს, ეტოოს შეძენის მსურველ ნებისმიერ კლუბს, არც მეტი არც ნაკლები, 43 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. დაგვეთანხმებით, ეს ძალიან დიდი თანხაა, მით უემეტს, ახლა, როცა მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს. თუმცა თუ იმავე ხოსე ფელიქს დიასს დავუჯერებთ, „არსენალისთვის" ამ თანხის გადახდა პრობლემა არ იქნება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ალბიონელები ვაჭრობას არ დაიწყებენ და პირენეელების მიერ დასახელებულ თანხას პირდაპირ გადაიხდიან. მათ საკუთარი გეგმა აქვთ, მაგრამ მადრიდელი ჟურნალისტი ინგლისელთა მიერ გამოყოფილი თანხის მოცულობას ერთადერთი მიზეზის გამო არ აკონკრეტებს, მას ვენგერმა სთხოვა, ინფორმაცია არ გაეხმაურებინა. ამიტომ, სენიორ დიასი ზოგადად ამბობს, რომ ალბიონელები „ბარსელონას" მიერ დასახელებულ 43 მილიონ ევროს თავისუფლად შესწვდებიან. ამის შესახებ ჩვენმა ესპანელმა კოლეგამ „რადიო მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

შესაძლოა, „არსენალს" მართლაც ჰქონდეს 43 მილიონის გადახდის თავი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, სიმდიდრე სულაც არ ნიშნავს, რომ ინგლისელები სულელებივით მიცვივდებიან და ამხელა ფულს პირველივე დღეს გადაიხდიან. ბუნებრივია, ისინი კატალონიელებთან სერიოზულ ვაჭრობას გააჩაღებენ. როგორც ყოველთვის, გადამწყვეტი სიტყვა ამჯერადაც თავად ფეხბურთელს ეკუთვნის. სამწუხაროდ, მრავალი მცდელობის მიუხედავად, ამ საკითხთან დაკავშირებით ეტოოსთან დალაპარაკება ვერც ერთმა ჟურნალისტმა ვერ შეძლო. თუ სამუელი ვირზე შეჯდება, მას ვერაფერს გადააფიქრებინებ.

### რა სურს ვილიას?

ესპანეთში ეჭვი არავის ეპარება, რომ **დავიდ ვილია** მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე „ვალენსიას" დატოვებს და სხვა კლუბში გააგრძელებს კარიერას. ესპანელ ფორვარდს თანამშრომლობა ყველაზე ადრე „რეალმა" შესთავაზა. სხვათა შორის, მადრიდელები მას ჯერ კიდევ 2007 წლის დეკემბერში შეეხმიანნენ, მაგრამ „ლამურებმა" მაშინ ვილიას გაყიდვა არ ისურვეს, ახლა კი მისი ტრანსფერი გარდაუვალია. საკითხავი მხოლოდ ის არის, რომელ გუნდს დარჩება დავიდი. როგორც მოსალოდნელი იყო, მისი გადაბირების სურვილი „ბარსელონამაც" გამოთქვა. ამის შესახებ, გუშინ კატალონიის რადიო ლაპარაკობდა. ბარსელონელმა ჟურნალისტებმა პირდაპირ ეთერში სატელეფონო ჩართვით ჩიკი ბეგირისტაინი ალაპარაკეს. „ბარსას" გენერალური დირექტორის განცხადებას თქვენს სამსჯავროზეც გამოვიტანთ:

*„ვილია ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ესპანელი ფორვარდია. „ბარსელონა" კი საუკეთესო ფეხბურთელებისადმი იტერესს ყოველთვის იჩენს. გულწრფელად შემიძლია მოგახსენოთ, რომ ჩვენ მისი შეძენა გვსურს. რა თქმა უნდა, ამ მიზანს იოლად ვერ მივაღწევთ, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ბევრჯერ მითქვამს, რომ ჩვენს გუნდს რთული მოლაპარაკებების გამარჯვებით დასრულების დიდი გამოცდილება აქვს. მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. მჯერა, ყველაფერი კარგად დასრულდება და ვილია მომავალ სეზონში „კამპ ნოუზე" ითამაშებს".*

კატალონიის რადიოს წამყვანმა ბეგირისტაინს შეახსენა, რომ დავიდის გადაბირების სურვილი პირველად მადრიდის „რეალმა" გამოთქვა. აღმოჩნდა, რომ სენიორ ჩიკის დედაქალაქელთა კონკურენცია ოდნავადაც არ აშინებს:

*„რა მოხდა, რომ ვილიას ყიდვა „რეალსაც" სურს. დავიდი ისეთი მაღალი დონის ფორვარდია, მასთან თანამშრომლობის სურვილი ნებისმიერ დიდ გუნდს გაუჩნდება. უკვე მოგახსენეთ, რომ მიზანს იოლად ვერ მივაღწევთ. სხვათა შორის, როცა ამას ვამბობდი, „რეალთან" კონკურენციასაც ვგულისხმობდი. მე მადრიდელების არ მეშინია. „ბარსელონა" მზადაა, „ვალენსიის" ფორვარდს საუკეთესო პირობები შესთავაზოს. ცხადია, სამეფო კლუბის მესვეურებიც სერიოზულად იბრძოლებენ. ვნახოთ, ამ ბრძოლას ვინ მოიგებს".*

ესპანური მედიისთვის ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე დღის წინ ბარსელონაში ვილიას მენეჯერი, **ხოსე ლუის ტამარგო** იმყოფებოდა. ჟურნალისტებმა ის „ბარსას" ოფისიდან გამოსვლისას შენიშნეს. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ დავიდი „კამპ ნოუზე" გადაბარგების შესაძლებლობას სერიოზულად განიხილავს. მას მხოლოდ „რეალში" თამაში რომ სურდეს, ბუნებრივია, საკუთარ მენეჯერს კატალონიაში არ გაგზავნიდა, მაგრამ თუ საკითხს სხვა კუთხიდან შევხედავთ, მივხვდებით, რომ დავიდისთვის არც „ბარსაა" პრიორიტეტი. „ვალენსიის" სუპერფორვარდი, ალბათ, იმ გუნდში გადავა, რომელიც საუკეთესო პირობებს შესთავაზებს. ამის თქმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ გუშინ ვილია მადრიდში იმყოფებოდა. ფეხბურთელს მისი ვიზიტი არავისთვის გაუმხელია. დაუჯერებელია, მაგრამ „დიარიო მარკას" ფოტოკორესპონდენტი დედაქალაქის ქუჩაში მას სრულიად შემთხვევით წააწყდა და ფოტოც გადაუღო. ვილიას მადრიდში ჩასვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მაშინვე ითქვა, რომ „ლამურების" ვარსკვლავი დედაქალაქში **ფლორენტინო პერესთან** მოსალაპარაკებლად ჩავიდა.

### ტევესი თუ ბენზემა?

ამასობაში, „დიარიო სპორტში" ისეთი ინფორმაცია გამოქვეყნდა, რომ სულ დავიბენით. მაშინ, როცა ჩიკი ბეგირისტაინი კატალონიის რადიოს პირდაპირი ეთერით ვილიას მოსალოდნელ ტრანსფერზე საუბრობდა, ბარსელონურმა გაზეთმა **კარლოს ტევესით** დაინტერესების შესახებ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა. კატალონიური გამოცემა პუბლიკაციას იმის შეხსენებით იწყებს, რომ ბეგირისტაინის ერთ-ერთი უპირველესი სამიზნე **კარიმ ბენზემაა**. სხვათა შორის, „ლიონის" ფრვარდისადმი სიმპათიებს ესპანური გრანდის გენერალური დირექტორი არასოდეს მალავდა. ამ საქმის გასარკვევად ის საფრანგეთშიც კი იმყოფებოდა. მართალია, მაშინ ლიონიდან კონკრეტული პასუხი არ ჩამოუტანია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მოლაპარაკებების ჩაშლის შესახებაც არავის დაუძრავს სიტყვა. მიუხედავად ამისა, „დიარიო სპორტი" სრული სერიოზულობით აცხადებს, რომ „ბარსა" „მანჩესტერს" ტევესის გაყიდვას სთავაზობს, თანაც საკმაოდ სოლიდურ თანხად. კატალონიელი კორესპონდენტების მტკიცებით, ეს თანხა 23 მილიონ ევროს შეადგენს.

ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ, რომ ტევესს მანჩესტერულ კლუბში პრობლემები აქვს. მიმდინარე სეზონში მან არაერთი ჩინებული ორთაბრძოლა ჩაატარა, მაგრამ არგენტინელს ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად თამაში სურს. ეს მიზანი მისთვის მიუღწეველია, ამიტომ კარლოსმა „ოლდ ტრეფორდიდან" წასვლა მტკიცედ გადაწყვიტა...

რეალი

# წმენდა დაიწყო? მიატოვიჩი გაუშვეს

## შესაძლოა, გუტიმ რობერტო კარლოსის ბედი გაიზიაროს

ჯერ კიდევ იანვარში „ფენერბაჰჩეს" ხელმძღვანელობა **ხოსე მარია გუტიერესს** დაუკავშირდა და თურქეთში გადაბარგება შესთავაზა. მაშინ ესპანელი ნახევარმცველის ბედი გაურკვეველი იყო. ინტენსიურად ვრცელდებოდა ხმები იმის შესახებ, რომ მას სამეფო კლუბის დატოვება მოუწევდა. ამით გათამამებულმა თურქებმა გუტის სამწლიანი კონტრაქტი და იმაზე გაცილებით დიდი ხელფასი შესთავაზეს, ვიდრე მადრიდის „რეალის" სალაროდან იღებდა. რამდენიმე გარემოების გამო, ზამთარში ტრანსფერი არ შედგა. ესპანელმა მთელი სამყაროს გასაგონად განაცხადა, რომ კარიერის „სანტიაგო ბერნაბეუზე" დასრულება სურდა. შესაბამისად, ყველამ იფიქრა, რომ „ფენერბაჰჩე" ასპარეზიდან სამუდამოდ გაქრებოდა...

თუმცა ვარაუდი არასწორი აღმოჩნდა. გუშინ თურქული კლუბის მესვეურებმა გუტით დაინტერესების ფაქტი კიდევ ერთხელ გაახმაურეს. პირობები უწინდებურად მომგებიანი და საინტერესოა - სამი წელი სტამბოლში და 20 პროცენტით გაზრდილი გასამრჯელო. მადრიდელს თურქებისთვის ოფიციალური პასუხი არ გაუცია, თუმცა ესპანელი ჟურნალისტები გვარწმუნებენ, რომ მისი აგენტი „ფენერბაჰჩეს" წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს უახლოეს მომავალში დაიწყებს. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ გუტი ისევ „რეალში" დარჩენის სურვილითაა შეპყრობილი... მაგრამ ფართო არჩევანი და საინტერესო ალტერნატიული ვარიანტები ცხოვრებას ყოველთვის აიოლებს.

■ ■ ■

გუშინ, გვიან ღამით სამეფო კლუბის დირექტორატის რიგგარეშე სხდომა გაიმართა. პრესისთვის „რეალის" მაღალჩინოსნების მოულოდნელი შეხვედრის მიზეზი თავდაპირველად უცნობი იყო, თუმცა დაახლოებით, ორ საათში ყველაფერი გაირკვა. დირექტორატი კლუბში არსებულ მიმდინარე პრობლემებზე სასაუბროდ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად შეიკრიბა. შეხვედრიდან გამოსულმა მაღალჩინოსნებმა საზოგადოებას გაუმხილეს, რომ კლუბის გენერალურ დირექტორს, **პრედრაგ მიატოვიჩს** უნდობლობა გამოუცხადეს და თანამდებობიდან დაითხოვეს. მის ნაცვლად **კარლოს ბუსერო** იმუშავებს. ამ თანამდებობას ის, ბუნებრივია, რიგგარეშე არჩევნებამდე დაიკავებს. გამარჯვებული პრეზიდენტი კი აღნიშნულ პოსტზე მისთვის მისაღებ ადამიანს დანიშნავს. მიატოვიჩს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადეს, თუმცა ყველას ესმის, რომ ეს უბრალო თავაზიანობის ჟესტი იყო. სინამდვილეში კი ჩერნოგორიელის მუშაობით დირექტორატი უკიდურესად უკმაყოფილო იყო. შეგახსენებთ, მიატოვიჩი „რეალში" **რამონ კალდერონთან** ერთად მივიდა.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**


პრედრაგ მიატოვიჩი

# პერესმა მოურინიოს დაურეკა?

ესპანეთიდან ფრიად საყურადღებო ინფორმაცია მოვიდა - ფლორენტინო პერესი, რომელიც „რეალის" საპრეზიდენტო პოსტზე ყველაზე რეალური კანდიდატია, ჟოზე მოურინიოს დაუკავშირდა და სამსახური შესთავაზაო, - ამას გვამცნობენ „მარკა" და „ასი". მართალია, ჟოზეს დღევანდელი ნავსაყუდელი არანაკლებ პრესტიჟული და შემოსავლიანია, მაგრამ „რეალს" მაინც თავისი ცდუნება აქვს.

მოურინიოსთვის პირველი იტალიური სეზონი წარმატებული აღმოჩნდა - „ინტერმა" ზედიზედ მეოთხედ მოიგო სკუდეტო, თუმცა ჩემპიონთა ლიგის ტიტულის გარეშე დარჩა. კონტრაქტის მიხედვით, ჟოზეს „ინტერთან" კიდევ 3 წელიწადი აკავშირებს. დღევანდელ ფეხბურთში რას არ ნახავ და გაიგებ კაცი, მაგრამ მაინც ნაკლებად სავარაუდოა, მოურინიომ „ინტერი" მიატოვოს და მადრიდში გადაბარგდეს.

პერესი ახალი „რეალის" შენებას იწყებს, შესაბამისად, მას ახალი მწვრთნელიც სჭირდება. მაგრამ რამდენად თანხვდება ერთმანეთს სამეფო კლუბისა და „განსაკუთრებული კაცის" საფეხბურთო ფილოსოფიები, ეს ცალკე საკითხია...

ილია ნიკოლაიშვილი


ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები



მანუელ ნოიერი გერმანიის ეროვნულ ნაკრებში პირველად გამოიძახეს

# ლიოვის არჩევანი: ნოიერი და... ბრაზილიელი კაკაუც

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** თქვა, აზიაში მხოლოდ იმ ფეხბურთელებს წავიყვან, რომელთაც ნამდვილად აქვთ პერსპექტივა, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ითამაშონო და აი, სამშაბათს გუნდის შემადგენლობაც დაასახელა. ბუნდესნაკრებში რამდენიმე ახალი სახეა: მეკარე **მანუელ ნოიერი, კრისტიან ტრეში, კრისტიან გენტნერი** და **კაკაუ**. და კიდევ ერთი საყურადღებო ამბავი - ბუნდესგუნდში ბრუნდება ახოვანი ცენტრალური მცველი **რობერტ ჰუთიც** („მიდლსბრო").

აზიაში ნაკრებს ვერ გაჰყვება **მიროსლავ კლოზე**, რომელიც, მართალია, გამოჯანმრთელდა, მაგრამ ფორმა ჯერ ვერ აღიდგინა. გამოძახებული არ არის კაპიტანი **მიხაელ ბალაკიც**, რომელმაც ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში უნდა ითამაშოს. ლიოვი „რეალის" მცველ **კრისტოფ მეტცელდერის** ხმობას გეგმავდა, მაგრამ რეალელმა ტრავმა მიიღო. დაპირებისამებრ, იოგიმ არ გამოიძახა 21-წლამდელთა ნაკრების წევრები - **მარკო მარინი, ანდრეას ბეკი, სერდარ ტასკი, სამი ხედირა** და **მესუთ იოზილი**. ფეხბურთელთა ეს ჯგუფი გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატისთვის სჭირდება.

სამაგიეროდ, ეროვნულ ნაკრებთან ერთად იქნება „შალკეს" მეკარე **მანუელ ნოიერი**. ლიოვის თქმით, ახალგაზრდა კიპერის გამოძახება ლოგიკურია, რადგან ის იმ ოთხ მეკარეს შორისაა, რომელთაც ბუნდესგუნდის მეკარეთა მწვრთნელი **ანდრეას კიოპკე** მუნდიალისთვის მოიაზრებს.

ლიოვის სიაში არ არიან **ტიმ ვიზე, რენე ადლერი, სიმონ როლფესი, შტეფან კისლინგი** და **პატრიკ ჰელმესიც**. მიზეზი გასაგებია - ეს ფეხბურთელები 30 მაისს გერმანიის თასის ფინალში ითამაშებენ. აქედან გამომდინარე, „შალკეს" საყრდენ ნახევარმცველ **ჯერმეინ ჯონსს** იმედი ჰქონდა, რომ ლიოვი მას აზიაში იახლებდა, მაგრამ იოგიმ ის განაცხადს მიღმა დატოვა. ჯონსს ბუნდესნაკრებში 2008 წლის 19 ნოემბრის შემდეგ აღარ უთამაშია. აღსანიშნავია, რომ გერმანელთა დამრიგებელმა ჯონსი ევროპის ჩემპიონატზეც არ წაიყვანა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იოგის აზიაში ისეთი ფეხბურთელები მიჰყავს, მუნდიალზე თამაშის პერსპექტივა რომ აქვთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლიოვი „შალკეს" საყრდენ ნახევარმცველს გერმანიის ნაკრების კანდიდატად აღარ მოიაზრებს.

ევროპის ვიცე-ჩემპიონი 29 მაისს შანხაიში ჩინეთს ეთამაშება, 2 ივნისს კი დუბაიში საემიროებს დაუპირისპირდება. აღსანიშნავია, რომ ბუნდესნაკრებს ჩინეთში გაჰყვება ლეგენდარული **ოლივერ კანიც**, რომელიც იქ უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ბოლოს კი გერმანიის ეროვნული გუნდის სააზიო შემადგენლობა:

მეკარეები - **რობერტ ენკე** (ჰანოვერი), **მანუელ ნოიერი** (შალკე);

მცველები - **არნე ფრიდრიხი** (ჰერტა), **ანდრეას ჰინკელი** (სელტიკი), **რობერტ ჰუთი** (მიდლსბრო), **ფილიპ ლამი** (ბაიერნი), **მარსელ შეფერი** (ვოლფსბურგი), **კრისტიან ტრეში** (შტუტგარტი), **ჰაიკო ვესტერმანი** (შალკე);

ნახევარმცველები - **კრისტიან გენტნერი** (ვოლფსბურგი), **თომას ჰიტცლშპერგერი** (შტუტგარტი), **მარსელ იანსენი** (ჰამბურგი), **ბასტიან შვაინშტაიგერი** (ბაიერნი), **პიოტრ ტროხოვსკი** (ჰამბურგი), **ტობიას ვაისი** (ჰოფენჰაიმი);

თავდამსხმელები - **კაკაუ** (შტუტგარტი), **ლუკას პოდოლსკი** (ბაიერნი), **მარიო გომესი** (შტუტგარტი).

გოტფრიდ ლენცი

ინტერვიუ

ხავიერ ძანეტი

# გაჩერებას არ ვაპირებ, ლიგის დროც დადგება

**ხავიერ ძანეტიმ „ინტერის" კაპიტნის რანგში ზედიზედ მეოთხედ აღმართა იტალიის ჩემპიონისადმი განკუთვნილი თასი. აპენინებზე სკუდეტოს ყოველთვის განსაკუთრებული ფასი ჰქონდა და ასეა ახლაც. არგენტინელი ფეხბურთელი ამაყობს მიღწეულით და აღნიშნავს, რომ მისთვის, მიმდინარე სეზონში მოპოვებული ოქრო მაინც განსაკუთრებულია. მეოთხე ტიტული ზედიზედ, ეს ამბავი თაობიდან თაობას გადაეცემა, განაცხადა ჟურნალისტთან საუბარში ძანეტიმ. ეს საუბარი კი „პინეტინაზე" შედგა. ხავიერს საწვრთნელ ბაზაზე „კორიერეს" ჟურნალისტი ესტუმრა.**

**- გილოცავთ ჩემპიონობას!**

- გმადლობთ. ჩემი მხრივ, მინდა ეს ტიტული ყველა იმ ადამიანს მივულოცო, ვისაც „ინტერის" გაჩემპიონება გაეხარდა. გულშემატკივრები მთელი სეზონის განმავლობაში ჩვენთან ერთად იყვნენ და მუდამ გვამხნევებდნენ. სწორედ მათ მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო და დავპირდე, რომ თავს არც მომავალში დავზოგავთ. მოტივაციის ნაკლებობას არ ვუჩივით და ტიტულები კვლავაც გვწყურია.

**- პრეზიდენტს, მწვრთნელს და თანაგუნდელებს არ მიულოცავთ?**

- მათ პირადად მივულოცე და პრესის მეშვეობითაც სიამოვნებით მივულოცავ. მორატიმ ეს ჯილდო დაიმსახურა, რადგან ეს კაცი „ინტერზე" უზომოდ გახლავთ შეყვარებული. ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გუნდმა წარმატებებს მიაღწიოს და საბედნიეროდ, ეს გამოსდის კიდეც. ბევრი იშრომა მოურინიომაც და ძალიან მიხარია, რომ დაუფასდა. თანაგუნდელების მისამართით კი მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია. თითოეული მათგანი მთელი სეზონის განმავლობაში მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ვერ ვიხსენებ თამაშს, რომელშიც თავი დავზოგეთ.

**- იქნებ მოურინიოს თემა განვავრცოთ. რამდენად დიდია მისი როლი გაჩემპიონებაში?**

- მწვრთნელის გარეშე გუნდი ნამდვილად ვერ გახდება ქვეყნის ჩემპიონი. მესმის თქვენი კითხვის ქვეტექსტი. ბევრი ამბობს, რომ „ინტერი" ისედაც ხდებოდა ჩემპიონი და ამ ტიტულის მოსაგებად მოურინიოს მოსვლა არ იყო საჭირო. ამ აზრის მქონე ადამიანებს ვერაფრით დავეთანხმები. ჟოზემ გუნდი უფრო გააძლიერა, რაც სამომავლო წარმატებების გარანტიაა. დღევანდელ „ინტერს" გაცილებით დიდი შანსი აქვს ჩემპიონთა ლიგის მოგების, ვიდრე თუნდაც შარშანდელს. ამით იმის თქმა არ მსურს, რომ მანჩინი ცუდი სპეციალისტია, უბრალოდ მოურინიომ ახალ სიმაღლეზე აიყვანა გუნდი. ამაში, ვფიქრობ, გულშემატკივრებიც დამეთანხმებიან.

**- რთული სეზონი იყო?**

- ძალიან რთული. ეს იყო წინაღობებით აღსავსე გზა, რომელიც წარმატებით დავძლიეთ. „ინტერის" წინააღმდეგ მთელი საფეხბურთო იტალიაა გაერთიანებული და ამაში გასაკვირი არაფერია. როდესაც გუნდი მუდმივად იგებს, მას ბევრი მტერი ჰყავს. იყო დრო, როდესაც ყველა „იუვენტუსის" წაფორხილებას ელოდებოდა, დღეს კი ამ დღეში ჩვენ ვართ. როდესაც მოედანზე გავდივარ, ვგრძნობ, რომ ჩვენი ქომაგების გარდა, ყველა მოწინააღმდეგეს გულშემატკივრობს. ბუნებრივია, ასეთ პირობებში იოლი სეზონის იმედი არც უნდა გქონდეს. სამწუხაროდ, ჩემპიონთა ლიგაზე კვლავ ხელი მოგვეცარა, სამაგიეროდ სკუდეტო მოვიგეთ და სეზონს ტრიუმფალურად ვასრულებთ.



**- რა მოსდის გუნდს ჩემპიონთა ლიგაზე?**

- ძნელი სათქმელია. უნდა ვაღიარო, რომ ამ ტურნირში თამაში განსაკუთრებით გვიჭირს. იღბალი გჭირდება, რომ წარმატებას მიაღწიო, რაც, ეტყობა, ჩვენ არ გვაქვს. „მანჩესტერთან" თამაში ძალიან რთული გამოდგა. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ მომდევნო ეტაპზე მაინც ინგლისელები გავიდნენ. ჩემი ღრმა რწმენით, „ოლდ ტრეფორდზე" სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩავატარეთ, მაგრამ შემდგომ ეტაპზე გასასვლელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მგონი, არ ღირს იმაზე საუბარი და ვარაუდების გამოთქმა, როდის შევძლებთ ლიგის მოგებას. მოვიგებთ მაშინ, როდესაც ამის დრო მოვა. მჯერა, რომ ეს დღე აუცილებლად დადგება.

**- ბოლო პერიოდში „ინტერი" არცთუ სტაბილურად თამაშობს. რისი ბრალია?**

- საკადრო პრობლემების. რატომღაც ისე მოხდა, რომ სეზონის ფინიშზე რამდენიმე ფეხბურთელი ერთად დაშავდა. ამას დავუმატოთ ადრიანოს პრობლემებიც. ბრაზილიელს მინდა გავუგო, მაგრამ ეს არ გამომდის. დღემდე ვერ ვხვდები, როგორ შეიძლება ადგე და უბრალოდ წახვიდე გუნდიდან, თანაც შუა სეზონში. მადლობა ღმერთს, მარიო ბალოტელიმ მისი შეცვლა ღირსეულად მოახერხა. ასე რომ არ მომხდარიყო, სერიოზულ უსიამოვნებაში გავყოფდით თავს. თანაც, საბედნიეროდ, თავიდანვე დიდი ფორა ავიღეთ და ამ არასტაბილურობას ჩვენი საჩემპიონო შანსებისთვის საფრთხე არ შეუქმნია. ამაში ლომის წილი მიუძღვის მოურინიოს, ვინც მარიოს სწორი ფუნქცია მოუძებნა და საშუალება მისცა, საუკეთესო თვისებები წარმოეჩინა. ბალოტელი ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა, მაგრამ ჯერ გაზრდა სჭირდება. დარწმუნებული ვარ, მომავალში კიდევ უფრო დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

**- ვინ გაგიცრუათ იმედები ამ სეზონში?**

- ისევ და ისევ ადრიანომ. ამ ადამიანს დღემდე პატივს ვცემ, მაგრამ ვფიქრობ, არასწორად მოიქცა. მისი წვლილი სკუდეტოს მოპოვებაში დიდია, თუმცა ჯობდა სეზონის ბოლომდე მაინც დარჩენილიყო გუნდში და ჩემპიონობა ჩვენთან ერთად ეზეიმა. იმედგაცრუებაზე საუბარს, ჯობია ის ვთქვათ, ვინ გამაოცა სასიამოვნოდ. პირველი ვინც თავში მომივიდა, სანტონი გახლავთ. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდაა, მაგრამ მოედანზე თავს ჩინებულად გრძნობს. გამოვარჩევდი სალი მუნტარის. ამ ფეხბურთელს ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა და როგორც შემდეგ გამოჩნდა, სრულიად უსაფუძვლოდ. ნახევარდაცვაში მის მხარდამხარ მიწევს თამაში და შემიძლია თამამად ვთქვათ, რომ მისი დარი მებრძოლი ფეხბურთელი, იშვიათად შემხვედრია.

**- და მაინც, ვინ იმსახურებს წლის ინტერელის წოდებას?**

- გამორჩევა კარგი საქმე არაა, მაგრამ მგონი არავის ეწყინება თუ ორ ფეხბურთელს მაინც გამოვყოფ. ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ჟულიო სეზარი. პირველი, შეტევის უდავო ლიდერია, მეორე კი კარის უსაფრთხოების მთავარი გარანტი. სეზარმაც და იბრაჰიმოვიჩმაც სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარეს და ლომის წილი დაიდეს სკუდეტოს მოპოვებაში. თუმცა, ისე არ მინდა გამომივიდეს, რომ სხვებს ნაკლებად ვაფასებდე. ყველას თავისი როლი ჰქონდა, რაც პირნათლად შეასრულეს.

**- სკუდეტოს ყოველ წელს იგებთ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომავალ სეზონში თქვენი პრიორიტეტი ჩემპიონთა ლიგა იქნება?**

- ამ კითხვას ყოველ წელს მისვამენ და მეც მუდმივად ერთსა და იმავეს ვპასუხობ. ჩვენთვის ორივე ტურნირი ერთნაირად მნიშვნელოვანია. გულშემატკივრებისთვის სკუდეტო ძალიან ფასეულია და არ გვაქვს უფლება, ის მეორე პლანზე გადავწიოთ. „ინტერი" დიადი გუნდია, რომელშიც ძალიან ბევრი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი თამაშობს. ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ ყველა ფრონტზე წარმატებისთვის ვიბრძოლოთ. შეიძლება, რომელიმე მოკრძალებული ამბიციების მქონე გუნდმა გამოკვეთოს პრიორიტეტი, მაგრამ არა „ინტერმა", ეს გამორიცხულია.

**- პაოლო მალდინი კარიერას ასრულებს, რას იტყოდით მასზე?**

- კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. პაოლო დიდი ფეხბურთელია, რომლის მსგავსიც ათწლეულებში ერთხელ იბადება. ის ყოველთვის იყო მისაბაძი მაგალითი და იქნება მომავალშიც. ძალიან გამიხარდა, როდესაც ჩვენმა ტიფოზებმა მას პატივი მიაგეს. მალდინის თითოეული ინტერელი აფასებს და რაც მთავარია, თავად პაოლო სცემს პატივს მის ნებისმიერ მეტოქეს.

**- თქვენც მის მაგალითზე მიდიხართ...**

- კარიერის დასრულება „ინტერში" მსურს, რადგან ეს გუნდი ჩემთვის ყველაფერია. „ნერაძურის კაპიტნობა უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. იმედია, გულშემატკივრებს კარიერის დასრულების შემდეგაც ვემახსოვრები.

ლაშა ნიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი



სილვინიომ შეიძლება მადრიდს მიაშუროს

# ობიექტივშია სილვინიო

## ...მანჩესტერს კი ტევესისა და აგუეროს გაცვლის იდეა აქვს

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ „ბარსელონას" ბრაზილიელ მცველ **სილვინიოს** კარიერის კატალონიურ გრანდში გაგრძელება აღარ სურს. მან ხელმძღვანელობას წასვლის საკითხი კატეგორიულად დაუყენა. აღსანიშნავია, რომ ბარსელონელები ოკეანისგაღმელის გაშვების წინააღმდეგი სულაც არ არიან. ისინი ამბობენ, რომ სატრანსფერო საკითხებზე მუშაობას დიდი სიამოვნებით შეუდგებიან. ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, ასპარეზზე „ატლეტიკოს" ხელმძღვანელები გამოვიდნენ. **მიგელ ანხელ ხილ მარინმა** კატალონიელებთან მოლაპარაკებები პირადად წამოიწყო. ის მზადაა, ბრაზილიელის სანაცვლოდ 2.5 მილიონი ევრო დღესვე გადაიხადოს.

თუმცა „ბარსელონას" მესვეურებს ეს თანხა სასაცილოდაც არ ჰყოფნით. **ჟოან ლაპორტას** სილვინიოს ტრანსფერი თავის დროზე 18 მილიონი ევრო დაუჯდა. მადრიდელთა წინადადებაზე დათანხმება, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ საკმაოდ ძვირად ღირებულ ფეხბურთელს უფასოდ შეელევიან. ცხადია, ისინი 2.5 მილიონ ევროს არ დათანხმდებიან, თუმცა ისიც ნათელია, რომ წასასვლელად განწყობილი ფეხბურთელის სანაცვლოდ იმავე თანხას ვერ მიიღებენ, რაც მის სანაცვლოდ წლების წინ გადაიხადეს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „ბარსა" 10 მილიონ ევროს ითხოვს. მადრიდელები კი ამდენის გაღებას არ აპირებენ. შესაძლოა, ხილ მარინი უახლოეს დღეებში ბარსელონას გაემგზავროს.

ამასობაში, „ატლეტიკოს" ოფისში მანჩესტერიდან ფაქსი მივიდა. „იუნაიტედის" მესვეურები „როხიბლანკოსთვის" ყველაზე მტკივნეულ თემას შეეხნენ. მათ **სერხიო აგუეროს** შეძენის სურვილი გააცხადეს. მოარული ხმების თანახმად, ინგლისელები ესპანელ კოლეგებს ფანტასტიკურ პირობას სთავაზობენ - 21 მილიონი ევრო და **კარლოს ტევესი** კუნის სანაცვლოდ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მადრიდელებმა აგუეროს სარფიანად გაყიდვის შესაძლებლობაზე არაერთხელ თქვეს უარი. აქედან გამომდინარე, ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" საწადელს მიაღწევს, თუმცა ხომ გაგიგიათ, ცდა ბედის მონახევრეაო...

**ილია ნიკოლაიშვილი**

არსენალი

# ვენგერი რჩება

19 მაისს, საღამოს, „ემირიტსზე" **არსენ ვენგერმა** სპეციალური პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც გადაჭრით განაცხადა, რომ ის „არსენალის" დატოვებას არ აპირებს და ხმები მისი აზარგების შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება. შუა კვირაში ესპანური და ინგლისური პრესა შეთანხმებულივით წერდა, **ფლორენტინო პერესი** სამეფო კლუბში დანიშნული რიგგარეშე არჩევნების მოგების შემთხვევაში, ფრანგს „რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტს შესთავაზებსო. ხმებს აძლიერებდა ისიც, რომ თავად ვენგერმა პერესის მიერ წარმოდგენილ გეგმას „საინტერესო" უწოდა. არსენმა დაადასტურა, რომ ის დაინტერესდა აღნიშნული გეგმით, მაგრამ „არსენალის" მიტოვება წამითაც არ უფიქრია. *„გულშემატკივრებს სანერვიულო არაფერი აქვთ. საკითხი, ვრჩები თუ არა ლონდონში, ჩემთვის კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას,* - განაცხადა ვენგერმა პრესკონფერენციაზე. - *დიახ, „არსენალში" ვრჩები. თუკი მომავალში ჩემი გეგმები შეიცვალა, პირველ რიგში, ამას მე გამცნობთ. დღეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილია".*

არსენ ვენგერმა დირექტორთა საბჭოს სრული შემადგენლობის მორალური მხარდაჭერა მიიღო. თუმცა იყო რამდენიმე ფაქტორი, რის გამოც დირექტორებმა მას გული დასწყვიტეს. პირველი - ახალი ფეხბურთელების შესაძენად ოფიციალურად გამოყოფილი თანხის 7 მილიონით შემცირება, რაზეც ჩვენი გაზეთი უკვე წერდა; და მეორე - გასულ კვირას არსენ ვენგერი, **დევიდ ფიზმენი** (ერთ-ერთი გავლენიანი დირექტორი და კლუბის მეწილე), **პიტერ ჰილ-ვუდი** (პრეზიდენტი), **კენ ფრაიარი** (დირექტორი) და **დევიდ მაილსი** (მდივანი) გულშემატკივართა ასოციაციის აქტიურ წევრებს შეხვდნენ. ფანები ძალზე უხერხულ შეკითხვებს სვამდნენ. არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანს ვენგერის მხარდაჭერა ხმამაღლა არ დაუფიქსირებია. პასუხების გაცემა თითქმის მთლიანად ფრანგს მიანდვეს. ბუნებრივია, ასეთმა დამოკიდებულებამ მოსიე არსენი სერიოზულად გაალიზიანა. ორშაბათის სხდომაზე კლუბის დირექტორებმა სწორედ ეს დამოკიდებულება მოინანიეს და მწვრთნელს მხარი ერთხმად დაუჭირეს. ბუნებრივია, მათ ასეთ საქციელს გამართლება არ აქვს, თუმცა ვენგერმა სიტუაციის ბოლომდე დრამატიზება არ მოინდომა. გასაკვირია, მაგრამ „არსენალის" თავგამოდებულმა გულშემატკივრებმა ვენგერს **ემანუელ ადებაიორის** გაყიდვა და მიღებული ფულით შემადგენლობის გაძლიერება ურჩიეს. „არსენალის" ტელეარხზე გულშემატკივრებთან შეხვედრა გუშინწინ აჩვენეს, თუმცა ყველაფერი უკვე დამონტაჟებული იყო. რასაკვირველია, მიხვდებოდით, რომ არხის პერსონალმა ვენგერის მიმართ დასმული ყველაზე მწვავე შეკითხვები გადაცემაში არ ჩართო. რამდენიმე საათიანი საუბარი „მეთოფეთა" პრობლემებზე რეჟისორებმა 45 წუთში ჩაატიეს.

ამრიგად, ზაფხულზე ვენგერს დასახარჯად სულ რაღაც 13 მილიონი გირვანქა ექნება, რაც „არსენალის" კალიბრის გუნდისთვის ნამდვილად ცოტაა. მით უფრო, რომ დევიდ ფიზმენმა რამდენიმე კვირის წინ მას ტრანსფერებისთვის 30 მილიონის გამოყოფა აღუთქვა. ორშაბათს ვენგერს სამსაათიანი შეხვედრა ჰქონდა კლუბის აღმასრულებელ დირექტორ **ივან გაზიდისთან.** მათი შეხვედრა სამომავლო გეგმების განხილვას მიეძღვნა. გაზიდისს აინტერესებდა, რამდენად რეალური იყო მხარეებს შორის გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტა მწვრთნელის ინიციატივით. ვენგერმა პირველად სწორედ აღნიშნულ შეხვედრაზე უარყო მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარების პერსპექტივა.

დირექტორთა საბჭოს სხდომაზე განიხილეს კიდევ ერთი საინტერესო საკითხი - პერსპექტივაში მოსიე არსენისთვის კლუბის მმართველთა შორის ადგილის შეთავაზება. ვენგერი ამაზე ჯერჯერობით ნამდვილად არ ფიქრობს. მისი განცხადებით, კლუბისთვის უმჯობესი იქნება, თუკი მწვრთნელი კონცენტრაციას მთლიანად გუნდს დაუთმობს. ვენგერის თქმით, „არსენალს" ნიჭიერი თაობა ეზრდება და იმისთვის, რომ ფეხბურთელების პროფესიული ზრდა უწყვეტ რეჟიმში წარიმართოს, ბევრად უფრო მშვიდი გარემოა აუცილებელი. ვენგერი კლუბის ხუთწლიან უტიტულო სერიაში დამნაშავედ თავადაც გრძნობს თავს, მაგრამ იმაშიც დარწმუნებულია, რომ დიდი წვლილი კლუბის აქციონერებსაც მიუძღვით, რომლებიც გუნდზე არსებულ მძიმე წნეხს კიდევ უფრო ამძიმებენ. რა თქმა უნდა, ყველა მიხვდა, რომ ამ შემთხვევაში „აქციონერებში" ვენგერმა კლუბის ერთ-ერთი მეწილე, რუსი ოლიგარქი **ალიშერ უსმანოვი** იგულისხმა, ვინც ცოტა ხნის წინ ფრანგი სპეციალისტის დაუნდობელი კრიტიკით გამოვიდა. ვენგერს ეშინია, რომ უსმანოვსა და ამერიკელ **სტენ კროენკეს** შორის კლუბის წილისთვის ფარულად ატეხილი ომი გუნდზე უარყოფითად აისახება. მან იმედი გამოთქვა, რომ ზაფხულისთვის სიტუაცია შედარებით დაწყნარდება და უმსხვილესი აქციონერები თავიანთ ამბიციებს გუნდის ინტერესებს არ გადააყოლებენ. აღსანიშნავია, რომ კროენკე „არსენალის" ყველაზე მსხვილი აქციონერი გახლავთ, მაგრამ „ემირიტსიზე" იშვიათად ჩნდება. ის აქციათა სოლიდურ პაკეტებს ფლობს ამერიკული ფეხბურთის კლუბ „სენტ ლუის რამსში", საკალათბურთო „დენვერ ნაგეთსსა" და ჰოკეის კლუბ „კოლორადო ეველანშში". შესაბამისად, ლონდონში ფეხბურთზე დასასწრებად იშვიათად იცლის. განსხვავებული სიტუაციაა უსმანოვთან დაკავშირებით. ის სხვა სოლიდურ სპორტულ ორგანიზაციაში წილს არ ფლობს, რაც საშუალებას აძლევს, „ემირიტსზე" გამართულ ყოველ თამაშს საკუთარი ლოჟიდან თვალი ადევნოს.

ვენგერის მთელი იმედები გუნდის უმთავრეს ვარსკვლავებს - **სესკ ფაბრეგასს, რობინ ვან პერსისა** და **ანდრეი არშავინს** უკავშირდება. არსენის გათვლით, „მეთოფეებმა" 2011 წლამდე უნდა მოახერხონ ისეთი კალიბრის გუნდის ჩამოყალიბება, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" ღირსეული კონკურენცია გაუწიონ.



არსენ ვენგერს ყველა ფრონტზე უწევს ბრძოლა

**შალვა ბიბილაშვილი**



გარი კუკი (მარცხნივ) და ხალდუნ ალ მუბარაქი

მანჩესტერ სიტი

# ქალაქელებმა გეგმები დაალაგეს

„მანჩესტერ სიტის" პრეზიდენტმა **ხალდუნ** ალ **მუბარაქიმ** გუნდის მთავარ მწვრთნელ **მარკ ჰიუზს** მომავალი წლისთვის კონკრეტული მიზნები დაუსახა. მისი თქმით, „სიტი" ვალდებული იქნება, პრემიერლიგაში, მინიმუმ, ექვსეულში მოსახვედრად იბრძოლოს. სხვა შედეგი არადამაკმაყოფილებლად ჩაითვლება. ამასთან, მან ყველა გააფრთხილა, რომ მესაკუთრეები ტრანსფერებში ფულის გადაყრას არ აპირებენ. შეგახსენებთ, რომ პრემიერლიგის 37-ე ტურში „ტოტენჰემთან" „უაით ჰართ ლეინზე" წაგების შემდეგ „ქალაქელებმა" მომავალ წელს ევროპაში თამაშის ყველანაირი შანსი დაკარგეს. კლუბის ბოსებმა უელსელი მწვრთნელი ბოლო ტურის მატჩამდე გააფრთხილეს, თუ რას ელიან მისგან მომავალ წელს. „სიტის" სატრანსფერო მადაზე, როგორც წესი, ლეგენდები დადის. რამდენიმე დღის წინ სპეციალური სტატიაც კი შემოგთავაზეთ, სადაც ყველა იმ ფეხბურთელის გვარი იყო თავმოყრილი, ვისაც „სიტი ოფ მანჩესტერზე" გადაბარგებას უწინასწარმეტყველებენ. აი, მორიგი ჭორიც: მარკ ჰიუზს „მილანიდან" **რონალდინიოს** შეძენა უნდა. ბრაზილიელი ფენომენი, ფეხბურთელი, რომელიც ერთ დროს მსოფლიოს აზანზარებდა, „როსონერის" ძირითადშიც კი ვეღარ ხვდება. ბუნებრივია, იტალიური და ინგლისური პრესისთვის ეს საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა იმის დასაწერად, რომ მას „სან სიროს" დატოვება სურს.

*„მანჩესტერ სიტიში" გადასვლა ჩემს გეგმებში არ შედის. იმის მიუხედავად, რომ „მილანში" საკმარისი სათამაშო პრაქტიკა არ მაქვს, თავს ბედნიერად ვგრძნობ. სხვაგან წასვლაზე, ჩემს ცხოვრებაში რადიკალურ ცვლილებებზე სულაც არ ვფიქრობ",* - განაცხადა ბრაზილიელმა.

ამ დღეებში მარკ ჰიუზი ხალდუნ ალ მუბარაქსა და კლუბის აღმასრულებელ დირექტორ **გარი კუკს** შეხვდა. მხარეთა შორის დიალოგი რამდენიმე საათს გაგრძელდა, რის შემდეგაც ალ მუბარაქმა კლუბის ოფიციალურ საიტზე სპეციალური განცხადება გააკეთა:

*„ვფიქრობ, ადამიანები მე, როგორც ბიზნესმენს, ჭკუადამჯდარ და რეალურად მოაზროვნე პიროვნებად მიცნობენ. ამიტომ ვაცხადებ, რომ ჩვენი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, იმის გათვალისწინებით, რაც უკვე გავაკეთეთ შემადგენლობის გასაძლიერებლად, რასაც ამ ზაფხულს გავაკეთებთ, სავსებით რეალური უნდა იყოს პრემიერლიგის პირველ ექვსეულში მოსახვედრად. ეს მიზანი ჭკუასთან ახლოს უნდა იყოს. ახალი მოთამაშეების გადმოსაბირებლად ფული, რასაკვირველია, გამოიყოფა. გუნდში გრძელი სათადარიგოთა სკამი გვჭირდება. ამ მიზნისთვის ჩვენს გეგმებში უკვე ყველაფერი გათვლილია. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში არაერთხელ ვესაუბრე მარკსა და გარის. შესაბამისად, მშვენივრად ვიცი, რას ფიქრობენ ისინი ჩვენს გეგმებზე. ჩვენ უკვე კონკრეტულად განვიხილეთ ის პოზიციები, რომელიც, ჰიუზის თქმით, გაძლიერებას საჭიროებს. სწორედ ამ მიმართულებით ვაპირებთ სიარულს. ამასთან, ორივემ მშვენივრად იცის, რომ კლუბის მესაკუთრეები ფულის უაზროდ ფლანგვას არ აპირებენ. ყველას მოგვეხსენება, რომ გუნდის გასაძლიერებლად ასეთი ფორმულა და მეთოდი არ მუშაობს. შეუძლებელია, იყიდო 22 ახალი ფეხბურთელი და მომდევნო წელს მოიგო პრემიერლიგა. მიზნის მისაღწევად სამუშაო სისტემის შექმნა და დახვეწაა აუცილებელი. საჭიროა ხარისხიანი მენეჯმენტი და ხარისხიანი ინფრასტრუქტურა. დიახ, ეს ის პრიორიტეტებია, რომელიც უკვე გამოკვეთილია. თუკი ეს გვექნა, ახალი ფეხბურთელებიც მოვლენ და ბუნებრივია, შედეგიც გვექნება".*

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# ანჩელოტი უკვე ვაჭრობს

„ტაიმსი"ის გამოცემაა, რომელიც არ ეპუება არც ერთ განცხადებას, რომელიც **კარლო ანჩელოტის** „ჩელსიში" გადაბარგებას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ მხარეებს შორის დიალოგი ინტენსიურად მიმდინარეობს. თუმცა ორშაბათის ნომერში გაჩნდა ცნობა, რომ იტალიელმა ლონდონელებთან პრინციპულად დასვა საკითხი მომავალ თანაშემწესთან დაკავშირებით. გამოცემის მტკიცებით, კარლეტოს კლუბში მისი ამჟამინდელი თანაშემწის **ფილიპო გალის** წაყვანა სურს, რაზეც „არისტოკრატების" ხელმძღვანელობა ჯერჯერობით თანხმობას არ აძლევს. ლონდონში არ სურთ, რომ ანჩელოტი „ჩელსიში" „თავისი გუნდით" მივიდეს. მოგეხსენებათ, „სტემფორდ ბრიჯზე" საკუთარი ამალა არც **გუუს ჰიდინკს** მიუყვანია, იქამდე ეს არც **ავრამ გრანტს** გაუკეთებია. **პიტერ კენიონი** აპენინელ სპეციალისტს თანაშემწეებად **რეი უილკინსისა** და **პოლ კლემენტის** კანდიდატურებს სთავაზობს. ამასთან, მისი სურვილია, რომ მეკარეთა მწვრთნელად ძველებურად **კრისტოფ ლოლიშონი** დარჩეს.

როგორც „ტაიმსის" მიმომხილველი **მეტ ჰიუზი** წერს, გალის დანიშვნაზე საბოლოო თანხმობა შეიძლება გაიცეს კიდეც, რადგან ფილიპო მშვენივრად საუბრობს ინგლისურად. ის „უოტფორდშიც" გამოდიოდა (2001/02-ის სეზონში), გუნდში, რომელსაც მაშინ **ჯანლუკა ვიალი** წვრთნიდა. შესაბამისად, მისთვის ინგლისური ფეხბურთის ავან-ჩავანი მეტ-ნაკლებად ცნობილია. ანჩელოტის გეგმით, უილკინსი და ლოლიშოტი თანამდებობაზე დარჩებიან, ხოლო კლემენტი ისევ დუბლებში მუშაობას უნდა დაუბრუნდეს. „როსონერის" დამრიგებელს გუნდში თავდაპირველად თანამემამულეების, **მაურო ტასოტისა** და მეკარეთა მწვრთნელ **ვილიამ ვეკის** მიყვანაც სურდა. როგორც ჩანს, ის მიხვდა, რომ ასეთ საკადრო რევოლუციაზე ლონდონში არ დათანხმდებოდნენ და ეს მოთხოვნა უკან წაილო.

სხვათა შორის, ფილიპო გალი ამ დღეებში საკმაოდ საინტერესო ისტორიაში გაეხვია. პაპარაცებმა ის ერთ-ერთ მილანურ რესტორანში **მარკო ვან ბასტენთან** ერთად დალანდეს. მარკომ და ფილიპომ რესტორნის სამზარეულოს ფანჯრიდან(!) გაქცევით უშველეს თავს.



კარლო ანჩელოტი

ვარსკვლავი

# სერბი ფორვარდის ოდისეა

**მატეა კეჟმანი** 1979 წლის 12 აპრილს ბელგრადში დაიბადა. გაზრდით ის ჩერაკის რაიონში იზრდებოდა, უბანში, სადაც ეზოს ფეხბურთი ადგილობრივი ბავშვებისთვის ერთადერთი თუ არა, უმთავრესი გასართობი საშუალება იყო. მატეა ბავშვობიდან **ივიცა ილიევთან** ერთად იზრდებოდა. ეს უკანასკნელი თავის დროზე სერბული სპორტის უმთავრეს იმედად მიიჩნეოდა. ივიცა ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა **სავო მილოშევიჩმა** მისი ღირსეული მემკვიდრე უწოდა. „პარტიზანში" მომავალი პარტნიორები ჯერ კიდევ სკოლის ნაკრების ღირსებას იცავდნენ ერთად.

მატეა და უფროსი ძმა **იგორ კეჟმანი** ქუჩაში ხშირად ჩხუბობდნენ. ჩვენი სტატიის გმირში სწორედ იუნიორულ წლებში ყალიბდებოდა მებრძოლი სული. ფეხბურთელის კარიერა ბელგრადის „ზემუნში" დაიწყო, კლუბში, სადაც მისმა მამამ **ზლატკო კეჟმანმა** გაატარა კარიერა. თუმცა კლუბის ხელმძღვანელებმა ტალანტი დროულად ვერ შეამჩნიეს. მატეა 17 წლის ისე გახდა, რომ უფროსებთან ერთად თამაშის შანსი ერთხელაც არ მისცემია. ეს ხდებოდა იმ ფონზე, როცა ფეხბურთელი თანატოლთა შორის ჩატარებულ ტურნირებში, როგორც მეგავარსკვლავი, ისე გამოიყურებოდა. კეჟმანიც ადგა და, პიროტის „რადნიჩკიში" გადაბარგდა. ბულგარეთის საზღვართან მდებარე პატარა ქალაქში ფეხბურთელმა მომავალი მეუღლე **ემილია** გაიცნო. ისინი დაოჯახებისთვის ძალიან პატარები იყვნენ. სწორედ ამ მიზეზით მათ რომანს მალევე დასრულებას უწინასწარმეტყველებდნენ. მოშურნეთა გულის გასახეთქად ისინი დღესაც ერთად არიან. რაც შეეხება პროფესიულ კარიერას: 1997/98 წლების სეზონში მან თითო წრე გაატარა „ლოზნიცასა" და „სარტიდში". 18 წლის ბიჭმა სეზონში ჩატარებულ 34 შეხვედრაში 18 გოლი გაიტანა, რის შემდეგაც ბელგრადის „პარტიზანის" ყურადღება მიიპყრო.

თქვენი ნებართვით ყურადღებას ერთ რამეს მივაპყრობთ. ტერიტორიულად და მოსახლეობით მცირე ქვეყნებში ყოველთვის არის 2-3 კლუბი, რომელიც სხვებს ფინანსური თვალსაზრისით ბევრად აღემატება. ასე მაგალითად: პორტუგალიაში ასეთი კლუბები არიან „ბენფიკა", „პორტუ" და „სპორტინგი"; შოტლანდიაში - „რეინჯერსი" და „სელტიკი"; ჩეხეთში - „სპარტა" და „სლავია"; სერბეთშიც სწორედ ასეთი სიტუაციაა. ქვეყანაში ორი გამოკვეთილი საფეხბურთო გრანდია - „ცრვენა ზვეზდა" და „პარტიზანი". ამ უკანასკნელმა სერბი ამომავალი ვარსკვლავი სიხარულით გადაიბირა. მით უფრო, რომ ფეხბურთელი პატარაობიდანვე სწორედ „პარტიზანის" დიდი გულშემატკივარი გახლდათ. კეჟმანი „პარტიზანის" ისტორიაში შევიდა - არა მხოლოდ იმიტომ, რომ ახალგაზრდა თავდამსხმელმა 54 შეხვედრაში 33 გოლი გაიტანა და 21 წლის ასაკში სერბეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მან ორი სეზონის განმავლობაში „ცრვენა ზვეზდასთან" პრინციპულ დაპირისპირებაში აბსოლუტურად ყველა შეხვედრაში გაიტანა მინიმუმ ერთი გოლი მაინც. არადა, გარწმუნებთ, ბელგრადული დერბი თავისი ემოციურობით ნამდვილად არ ჩამოუვარდება რომაულ და თუ გნებავთ, ვლაზგოურ დერბებს. ზემოთაც მოგახსენეთ, რომ მატეა პირველობის საუკეთესო სნაიპერი გახდა. 1999/2000 წლების სეზონში მან 28 გოლი გაიტანა და სერბული ფეხბურთის ისტორიაში შევიდა, როგორც ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ბომბარდირი.

ფეხბურთელის სანაკრებო კარიერა 2000 წლის ზაფხულზე დაიწყო. ევროპის ჩემპიონატამდე მან თითოჯერ გამოიჩინა თავი ჩინეთისა და ჰონგ კონგის ნაკრებების წინააღმდეგ. ბელგიასა და ჰოლანდიაში გასამართავ ტურნირს ის კარგ ხასიათზე შეხვდა. თუმცა ჩემპიონატმა მას იმედის გაცრუების გარდა არაფერი მოუტანა. **ვუიადინ ბოშკოვის**



შეგირდებმა მართალია, ჯგუფური ეტაპი გადალახეს, მაგრამ ჯერ ერთი, ვაი ამ გადალახვას (საეჭვოდ შეტრიალებული მატჩით ესპანეთის ნაკრებთან) და მეორე: პლეი ოფში ასპარეზობის გამო - ისინი მასპინძელ ჰოლანდიას დაეტაკნენ და 1:6 განადგურდნენ. ჩვენმა გმირმა ჩემპიონატზე სულ ორი შეხვედრა ჩაატარა. სლოვენიასთან შეხვედრაში (3:3) ის მინდორზე 82-ე წუთზე შევიდა და ბუნებრივია, თავი ვერაფრით გამოიჩინა. ნორვეგიელებთან (1:0) კი ისევ შეცვლაზე შევიდა და ზუსტად 44 წამში მინდვრიდან გააძევეს.

იმავე ზაფხულს ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოსკოვის „სპარტაკთან" ორრაუნდიან ორთაბრძოლაში ფინალური ეტაპის საგზური დათმო. თავად მატეა კეჟმანი ნამდვილად საუკეთესო იყო „პარტიზანის" შემადგენლობაში. პრესა აჭრელდა ცნობებით, მოსკოველებს სერბი ვარსკვლავის შეძენა სურთო. საბოლოოდ ყველაფერი ისე მოხდა, რომ კლუბები სატრანსფერო ფასზე ვერ შეთანხმდნენ. კეჟმანის ყიდვა მოისურვა „მილანმაც". „როსონერის" ფულის პრობლემა ნამდვილად არ ჰქონდა, მაგრამ იტალიაში კარიერის გაგრძელებაზე ფეხბურთელმა უარი თქვა, რადგან იცოდა, რომ **ანდრეი შევჩენკოსთან** ჭიდილში ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის ნაკლები შანსი ჰქონდა. საბოლოოდ, 14 მილიონ ევროდ კეჟმანი „ეინდჰოვენში" გადაბარგდა. პსვ-ში მას უმძიმესი ამოცანა დაეკისრა. 22 წლის ფეხბურთელს „მანჩესტერში" გადასული **რუუდ ვან ნისტელროოი** და „ასტონ ვილაში" გაყიდული **ლუკ ნილისი** უნდა შეეცვალა. საინტერესოა, რომ „ეინდჰოვენის" მესაკუთრე „ფილიპსს", გარდა ზემოთ აღნიშნული თანხისა, ბელგრადის სტადიონზე განათების თანამედროვე სისტემა უნდა დაემონტაჟებინა, მაგრამ აღნიშნული დაპირება ჰოლანდიელებმა სულ მალე დაივიწყეს.

პსვ-ში მატეას საქმეები თავიდანვე მშვენივრად აეწყო. მას გოლი ერედივიზიონის თითქმის ყოველ ტურში გაჰქონდა. ფეხბურთელის ბენეფისი კი „ალისფერ ეშმაკებთან" შეხვედრაში (3:1) შედგა. მან, გოლის გარდა, ინგლისელებთან დაპირისპირებაში საგოლე პასიც მიითვალა. ფეხბურთელი თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში მასხრად იგდებდა **გარი ნევილსა** და **მიკაელ სილვესტრს**. მეორე დღეს გაზეთები ჩვენი გმირის ქებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ:

*„თამაშის მანერით კეჟმანი ყველაზე მეტად ფილიპო ინძაგის ჰგავს. იტალიელივით სწრაფი და მოძრავია. მისი საყვარელი წერტილი თამაშგარეს ზღვარზე მდებარეობს. უყვარს საჯარიმოში მოქმედება, სადაც ფლობს რა შესანიშნავ საგოლე ალღოსა და მეურვისგან გათავისუფლების ნიჭს, უარესად დამაჯერებლად მოქმედებს".*

სერბმა ვარსკვლავმა „ეინდჰოვენში" ოთხი წელიწადი გაატარა. ის სამჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი, ამდენჯერვე შეიქნა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, ხოლო 2002/03-ის სეზონში ერედივიზიონის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელების გარდა, ევროპის „ოქროს ბუცის" პრიზიც მიიღო. ამ წელს მის ანგარიშზე 32 მატჩში გატანილი 35 გოლი იყო. სულ მან პსვ-ს შემადგენლობაში 122 თამაშში თავი 105-ჯერ გამოიჩინა. ჰოდა, სულაც არ იყო გასაკვირი, რომ ფეხბურთელმა საკუთარი თავის გამოცდა ჰოლანდიის ფარგლებს გარეთ გადაწყვიტა. კეჟმანით „ჩელსი" დაინტერესდა. „სტემფორდ ბრიჯზე" გადასვლა მისთვის საფეხბურთო სიმწიფის გამოცდა უნდა ყოფილიყო... **არიენ რობენისა** და მატეა კეჟმანის ოდინდელი მრისხანე დუეტის აღდგენამ მოსალოდნელი შედეგი ვერ გამოიღო. 2004/05 წლების სეზონში მან პრემიერლიგის 25 შეხვედრაში მხოლოდ 4 გოლის გატანა მოახერხა. ერთადერთი, რითაც მან თავი „გამოიჩინა", თავდამსხმელისთვის შეუფერებლად ბევრი ყვითელი ბარათი იყო. **ჟოზე მოურინიომ** კეჟმანი ტრანსფერზე დააყენა. მომდევნო სეზონი მან უკვე მადრიდის „ატლეტიკოს" მაისურათი დაიწყო. „როხიბლანკო" ერთადერთი კლუბი აღმოჩნდა, რომელიც მისთვის ლონდონური ხელფასის გადახდას დათანხმდა. **რომან აბრამოვიჩის** ეპოქის „ჩელსისთვის" კეჟმანის გასხვისება გარკვეულწილად ისტორიულიც აღმოჩნდა - „ატლეტიკომ" თავდამსხმელში იმაზე 300 ათასი გირვანქით მეტი გადაიხადა, ვიდრე ფეხბურთელის ყიდვა ლონდონელებს დაუჯდათ. ეს კი პირველი წარმატებული ტრანსფერი იყო **პიტერ კენიონისთვის**.

2005/06 წლების სეზონში „ჩელსის" მაგივრად ახლა „ატლეტიკოს" ბოსებს შეუწუხდათ გული სერბში ტყუილად გადახდილი ფულის გამო. 30 შეხვედრაში კეჟმანმა 8 გოლს ძლივს მოუყარა თავი. მადრიდელებმა ის თურქულ „ფენერბაჰჩეს" გადაულოცეს. „ფენერის" შემადგენლობაში ფეხბურთელს „ჩელსიზე" ჯავრის ამოყრის შანსი მიეცა, მაგრამ ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. მეტიც... **ზიკომ** ის შეხვედრის 72-ე წუთზე უსახური თამაშის გამო შეცვალა, ლონდონში კი ძირითად შემადგენლობას აღარც გააკარა და მხოლოდ ბოლო 30 წუთი ანდო. სიმართლე ითქვას, მატეა თურქულ გრანდში შედარებით უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ სტამბოლელებმა ის ერთი წლით „პარი სენჟერმენს" ათხოვეს. ვერც აღნიშნული გარიგება იქცა ფეხბურთელის გამოფხიზლების წინა პირობად. ის ვერც პარიზული კლუბის ძირითად შემადგენლობაში ხვდება.

10 კლუბი 12 წელიწადში... არ არის ცუდი ოდისეა. საინტერესოა, რომელი პორტში ჩაუშვებს კეჟმანი ღუზას მომავალ სეზონში...

**გვერდი მოამზადა**
**შალვა ბიბილაშვილმა**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ჩოგბურთი

# ანა როლან გაროსს იწყებს და იგებს



19 წლის **ანა ტატიშვილი** (177) პირველად გამოდის „როლან გაროსის“ ტურნირზე. მოგეხსენებათ, საფრანგეთის ღია პირველობა პარიზში იმართება და ის „დიდი სლემის“ სერიის წლის მეორე ტურნირია. ტურნირის საპრიზო ფონდი უზარმაზარია - 15,2 მილიონი ევრო. ძირითადი ბადის თამაშები 24 მაისს იწყება და მთავარი ვარსკვლავებიც მაშინ ჩაერთვებიან ბრძოლებში მანამდე საკვალიფიკაციო ბატალიების დროა - საქართველოს პირველი ჩოგანიც რეიტინგით საკვალიფიკაციო ტურნირში მოხვდა. ქართველს კენჭისყრამ თითქოს არ გაუმართლა - ანას გამოცდილი იტალიელი ჩოგბურთელი **მარია ელენა კამერინი** (98) შეხვდა. 27 წლის კამერინი მეშვიდედ თამაშობს როლან გაროსზე, ერთხელ მას ძირითადი ბადის მეორე რაუნდში გაუღწევია, კამერინი ახლა ასეულის ბოლოშია, თუმცა ერთ დროს მსოფლიოს 41-ე ჩოგანიც იყო, მას კარიერაში ანაზე 15-ჯერ მეტი აქვს ნაშოვნი ჩოგნის ცემით. კამერინი მე-2 ნომრად იყო განთესილი საკვალიფიკაციო ბადეში.

და აი, ტურნირის პირველი სენსაცია: ქართველმა ორ სეტში 6:4, 7:6 (1) დაამარცხა მეტოქე და მეორე წრეში გავიდა. ბრძოლა კი მართლაც კარგი აღმოჩნდა, ანამ თავიდანვე ყოჩაღად დაიწყო, პირველ სეტში ის 3:1-ს, შემდეგ კი 4:2-ს იგებდა. მერე ერთიანად გაანიავა უპირატესობა, იტალიელმა გაათანაბრა ანგარიში - 4:4 და მოწოდებაც მისი იყო. სწორედ აქ გადაწყდა პირველი სეტის ბედი - ანამ მეტოქის მოწოდებაც მოიგო და თავისიც - 6:4. მეორე სეტი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, ჯერ კამერინმა აართვა მეტოქეს მოწოდება, შემდეგ ორჯერ - ანამ, ბოლოს კამერინმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება და საქმეც ტაი-ბრეიკამდე მივიდა. პირველი მოწოდება იტალიელმა მოიგო, 1:0 დაწინაურდა, სულ ეს იყო, ამის შემდეგ ანამ ზედიზედ შვიდჯერ (!) ჩაუგდო ფავორიტს ბურთი და ტაი-ბრეიკის 7:1 მოგებით შემდეგ ეტაპზე გავიდა. მატჩი ზუსტად 2 საათსა და 2 წუთს გაგრძელდა. მხოლოდ ამ ერთი გამარჯვებით ანამ 3,9 ათასი ევრო მიითვალა.

საკვალიფიკაციო ბადის მეორე წრეში ანას მეტოქე 22 წლის გერმანელი **კარმენ კლაშკა** (191) იქნება, რომელმაც პირველ წრეში ფრანგ **ფლორენს ჰარინგს** (296) მოუგო - 7:5, 6:3.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კალაშნიკოვა მილევსკაიას პირისპირ

18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (324) წარმატებით ასპარეზობს ხარკოვის (უკრაინა) საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $), სადაც მე-5 ნომრადაა განთესილი. მეორე წრეში ოქსანამ სამ სეტში აჯობა რუს **მარინა შამაიკოს** (484) - 6:2, 3:6, 6:2 და მეოთხედფინალში გავიდა. ტურნირის ამ ეტაპზე ჩვენებურს სერიოზული გამოცდა ელის, მას პირველ ნომრად განთესილი ბელარუსი **ქსენია მილევსკაია** (268) დაუპირისპირდება. წყვილთა თანრიგში ოქსანა და მარინა შამაიკო მე-2 ნომრად არიან განთესილები, მათ პირველი ეტაპი უკვე გადალახეს.

ანთალიის (თურქეთი) საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) მერვედფინალში მოიგო მე-8 ნომრად განთესილმა **მანანა შაფაქიძემ** (723), მან ებრაელი **ორიან ბენ ჰაიმი** ჩამოიცილა გზიდან - 6:3, 6:3. მეოთხედფინალში მანანა მე-4 ნომრად განთესილ რუს **ნადეჟდა გუსკოვას** (447) შეხვდება. შაფაქიძე წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალშიცაა გასული ბელარუს **ვოლჰა დუკოსთან** (635) ერთად.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი



ლეგიონერი

# ბოისა ფინალისკენ მიიწევს

როგორც ჩანს, **ვლადიმერ ბოისამ** სათავისო გუნდი იპოვა. იგი ხორვატიის "ზადარში" თებერვალში გადავიდა, გუნდს იოლად მოერგო, ძირითად შემადგენლობაშიც ჩაჯდა და ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა. რაც მთავარია, ვოვამ შეტევაში თამაში ერთიორად გააუმჯობესა. მან ხორვატიის რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში 25 ქულა რომ ჩააგდო, უკვე გითხარით, ნახევარფინალის პირველ მატჩში, "ზაგრებთან", მართალია, მხოლოდ 10 ქულა მიითვალა, მაგრამ შეტევაში მაინც ზუსტი იყო: 2-დან 2 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი გამოიყენა. მეტსაც გეტყვით, ბოისა თანაგუნდელებისთვის 6 შედეგიანი გადაცემის გარდა 4 მოხსნას გამორჩა. "ზადარის" ქართველმა ფორვარდმა ყოველივე ეს 24 წუთში მოასწრო. მატჩის სნაიპერი ვოვას თანაგუნდელი **დამირ რანჩიჩი** გახდა, 19 ქულა ჩააგდო.

ახლა არანაკლებ მთავარზე: ნახევარფინალური სერიის პირველ მატჩში "ზადარმა" "ზაგრებს" უმასპინძლა და დამაჯერებლად გაიმარჯვა – 89:67. ზადარელებმა მატჩის ბედი მესამე პერიოდში გადაწყვიტეს, რომელიც 31:17 მოიგეს.

სერიის მეორე მატჩი ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში 23 მაისს გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ალპინიზმი

# გუჯაბიძის ასვლა საეჭვოა

19 მაისს გამცნეთ, რომ ექსპედიციამ, რომლის შემადგენლობაშიც ქართველი ალპინისტი **ბიძინა გუჯაბიძე** იყო, დედამიწის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი მანასლი (8163 მ) დაიპყრო. მიღებული ინფორმაციით, მწვერვალს ოთხმა ალპინისტმა მიაღწია - ბიძინა გუჯაბიძემ, ექსპედიციის ხელმძღვანელმა **ალექსეი ბოლოტოვმა, გლებ სოკოლოვმა** და **სერგეი დუგანოვმა**. ცნობას მთამსვლელთა მეგობარი, გამოჩენილი რუსი ალპინისტი **სერგეი ბოგომოლოვი** ავრცელებდა, რომელსაც ხშირი კონტაქტი (SMS-ებით) ჰქონდა ექსპედიციის წევრებთან, კერძოდ **ალექსანდრ ლუტოხინთან**. ის სასიხარულო SMS-იც (იხ. რუსული ტექსტის ასლი) მან ლუტოხინისგან მიიღო, რომელიც იმ დროისთვის თურმე აღარ მონაწილეობდა ექსპედიციაში და, ბუნებრივია, პირველწყარო ვერ იქნებოდა. მეორე დღეს, 19 მაისს პირველმა „სპორტ ექსპრესმა“ შეიტანა ეჭვი იმაში, რომ მწვერვალზე ოთხივე ალპინისტი ავიდა, ამ გამოცემის მტკიცებით, ბიძინა გუჯაბიძეს მანასლუ არ დაულაშქრავს.

სიმართლის დასადგენად თავად სერგეი ბოგომოლოვს დავუკავშირდი, რომლისგანაც ეს პასუხი მივიღე: *„გამარჯობა, ნიკოლოზ, ჩემ მიერ გადამოწმებული ინფორმაციის მიხედვით მწვერვალამდე მიაღწიეს ბოლოტოვმა, სოკოლოვმა და დუგანოვმა, ბიძინამ მეორე ბანაკამდე ააღწია და შემდეგ ქვემოთ გაბრუნდა. ეს ინფორმაცია გადავამოწმე ალექსანდრ ლუტოხინთან, რომელიც თავის მხრივ მანასლუს საბაზო ბანაკში დარჩენილ ევგენი ვინოგრადსკის დაუკავშირდა. მიზეზი, რის გამოც ბიძინა უკან გაბრუნდა, უცნობია. ჩამოვა და, ალბათ, თავად მოგიყვებათ“.* ჩვენც რაღა დაგვრჩენია, ქართველი ალპინისტი, ალბათ, თავად დაუსვამს წერტილს ამ გაუგებრობას, თუ ეს მართლა გაუგებრობაა...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**18.05.2009**
**Сегодня в 10:30 по непальскому времени Болотов, Соколов, Дуганов, Гуджабидзе были на ВЕРШИНЕ!**

**Подробнее:**
По сообщению Александра Лутокина, он, как и другие, уже дома.
Однако на горе остались пятеро. 14 мая все вместе раскапывали Л1 от двухметрового снега. Был момент Икс (прим. Сергея Богомолова - я их прекрасно понимаю). Вверх решили идти Алексей Болотов, Глеб Соколов, Сергей Дуганов, Бидзина Гуджабидзе.
Остальные спустились в БЛ и, оставив там для для связи Евгения Виноградского, улетели вертолётом в Катманду
Бидзина повернул вниз из Л2. Остальная тройка в ночь на 17 мая решилась на штурм, но ветер их «сдул».
Они повторили попытку в ночь на 18 мая. И вот сегодня, 18.05 2009, в 10:30 по непальскому времени они были на вершине. С чем мы их и поздравляем!

*Продолжение следует...*

ხელბურთი

# თევზაძე მეოთხეა

ზედიზედ მეორედ, **შოთა თევზაძის** "ბაკაუმ" რუმინეთის ჩემპიონატი მეოთხე ადგილზე დაასრულა. არადა, პირველი წრის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარის გუნდი პირველ საფეხურზე იმყოფებოდა. როგორც შოთამ გვითხრა, "ბაკაუს" ჩავარდნის მთავარი მიზეზი წამყვან მოთამაშეთა ტრავმებია.

რუმინეთში სეზონი დასრულდა, ჩემპიონი "კონსტანცა" გახდა, თევზაძე საქართველოში რამდენიმე დღეში ჩამოვა. "ბაკაუ", რომელსაც ოქროს მედლები არასოდეს მოუპოვებია, მომავალ სეზონშიც ჩემპიონობას შეუტევს და საამისოდ რამდენიმე ძლიერი ლეგიონერის დამატებას აპირებს. "ბაკაუში" შოთა აუცილებლად დარჩება, მთელი სეზონის განმავლობაში იგი გუნდის ძირითადი მეკარე იყო და პერსონალურად მისთვის სეზონი ნამდვილად წარმატებული აღმოჩნდა. თევზაძეს "ბაკაუსთან" ერთწლიანი კონტრაქტი აქვს დარჩენილი და შეთავაზების შემთხვევაში, არც ხელშეკრულების გახანგრძლივების წინააღმდეგი იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ჭანტურია თასის მფლობელია

საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **რევაზ ჭანტურია** მაკედონიის თასის მფლობელია. გათამაშების ფინალში მისმა "მეტალურგმა" სკოპიეს მეორე გუნდს, "ვარდარს", 29:26 სძლია. სამწუხაროდ, ფინალურ მატჩში რეზოს არ უთამაშია, რადგან ნახევარფინალში ტრავმა მიიღო. ნახევარფინალურ შეხვედრაში მან ხუთი გოლი გაიტანა. ქართველმა მთელი სეზონი სტაბილურად ჩაატარა.

კიდევ კარგი, ტრავმა სერიოზული არაა, ჭანტურია ვარჯიშს რამდენიმე დღეში განაახლებს, თუმცა მაკედონიაში სეზონი უკვე დასრულებულია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სპორტი რელიგიურ დღესასწაულებზე

# მეთხუთმეტედ ქურმუხობაზე





ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის (პრეზიდენტი **დიმიტრი დუნდუა**) ინიციატივით კახის რაიონში (აზერბაიჯანი) ქურმუხობის დღესასწაულზე მეთხუთმეტედ გაიმართა სპორტული შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, საჯილდაო ქვის აწევასა და მკლავჭიდში. საასპარეზოდ სხვადასხვა ასაკის ასამდე სპორტსმენი შეიკრიბა, მათ შორის — 28 აზერბაიჯანელი. მასპინძლებთან ერთად თბილისელი, ყვარლელი, ლაგოდეხელი, გორელი, საგარეჯოელი, ფასანაურელი და საჩხერელი ათლეტებიც ცდიდნენ ძალებს. საგულისხმოა, რომ სახელოვანი ძიუდოისტის **ნესტორ ხერგიანის** ვაჟმა **ირაკლიმ** (30 კგ) ქურმუხობაზე მეორედ იყოჩაღა — ქართულ ჭიდაობაში ყველა მეტოქეს სძლია. დანარჩენ წონებში, ასევე, პირველ ადგილებზე გავიდნენ: **გიორგი მუმლაძე** (35, ლაგოდეხი), **ლევან ბაბალაშვილი** (40, ქოთოქლო), **დანიელ ფოლადაშვილი** (45, კახი), **ზურაბ ფაქელაშვილი** (50, ყვარელი), **გიორგი სოხაძე** (55, ყვარელი), **შენგელი ოთარაშვილი** (60, ალათემური), **ოთარ ლობჟანიძე** (65, ლაგოდეხი), **ბექა ბერიაშვილი** (70, თბილისი), **მერაბ ხარაული** (75, გორი), **არსენა ნაცვლიშვილი** (80, ყვარელი), **პაატა ლვინიაშვილი** (აბსოლუტური, გორი).

საჯილდაო ქვის (140 კგ) აწევაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **მახარე ტარტარაშვილი** (კახი), 2. **ელგუჯა სადღომელაშვილი** (საჩხერე), 3. **დავით ტარტარაშვილი** (კახი).

მკლავჭიდელები სამ წონით კატეგორიაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. 60 კილოში ტოლი არ ჰყავდა ლაგოდეხელ **გიორგი სოხაძეს**, 70 და 80 კილოში კი **ლევან ბულულაშვილმა** და მახარე ტარტარაშვილმა (ორივე — კახი) დაიკავეს პირველი ადგილები.

— ღია სარბიელზე ორთაბრძოლები საინტერესოდ წარიმართა, — გვითხრა დიმიტრი დუნდუამ. — როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. სასიამოვნოა ისიც, რომ ქურმუხობის დღესასწაულზე გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეთა გეოგრაფია თანდათან ფართოვდება. დარწმუნებული ვარ, მომდევნო ტურნირებზე კახში მთელი საქართველო შეიკრიბება.

ჩვენი ასოციაციის ინიციატივით 21 მაისს ქუთაისში კოლია ქვარიანის მეორე მემორიალს გავმართავთ ქართულ ჭიდაობაში, მკლავჭიდსა და ლახტში. 6 ივნისს ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში „სამებობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით, ქართულ ჭიდაობაში, მკლავჭიდში, ლახტში, საჯილდაო ქვის აწევასა და დოღში გვაქვს შეჯიბრებები დაგეგმილი. ორი წლის წინ, როცა ახალსოფელში პირველად გავმართეთ ამგვარი ღონისძიება, სიღნაღელმა ახალგაზრდებმა გვთხოვეს, ნინოობის დღესასწაულზე ბოდბეშიც მოგვეწყო მსგავსი ტურნირი. ცხადია, მაშინვე მივმართეთ სიღნაღის რაიონის გამგეობას სათანადო წინადადებით. სამწუხაროდ, დადებითი პასუხი დღემდე ვერ მივიღეთ. ამჟამინდელმა გამგებელმა გვაუწყა, რომ მაისის მიწურულს პიკასოს დღეებს ვატარებთ და ახლა თქვენთვის არ გვცხელა, საგაისოდ კი ვნახოთო.

გენიალური მხატვრის დღეების საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს, მაგრამ ნინოობა ხომ ჩვენი წმიდათაწმიდა დღესასწაულია და მას ეროვნულ სახეობებში შეჯიბრებებიც დაამშვენებდა.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი



მირანდა მიქაძე



გიორგი მარგველაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

# მიქაძე და მარგველაშვილი არგენტინისკენ...

დასრულდა ოცწლამდელთა საქართველოს ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა შორის. ბოლო ტურმა, როგორც ველოდით, ძალიან საინტერესოდ ჩაიარა. იმათ, ვისაც მოგებაც კი არაფერში წაადგებოდათ, ადრიანადვე დაასრულეს ტური - მეტოქეებს ყაიმზე შეუთანხმდნენ. ამის გამო იყო, რომ სტარტიდან ერთი საათის გასვლის შემდეგ დარბაზი ლამის განახევრდა; კიდევ ერთ საათში კი მხოლოდ რამდენიმე წყვილი დარჩა. ცხადია, ბოლომდე მედლებისა და ჩემპიონობისთვის მებრძოლნი შემორჩნენ. გოგონათა შორის, იცით, რომ სამი მონაწილე აცხადებდა პრეტენზიას პირველობაზე; ვაჟთა შორისაც ამდენივე იყო მოცილე, მაგრამ აქ **გიორგი მარგველაშვილი** მდევრებს ნახევარი ქულით უსწრებდა. გოგონებიდან დავიწყოთ, სადაც **მირანდა მიქაძეს, ქეთი ნანალაშვილს** და **სოფიკო გურამიშვილს** 6-6 ქულა ჰქონდათ. კოეფიციენტით ნანალაშვილი ლიდერობდა, მეორე იყო მიქაძე. თუ სამივე იმარჯვებდა, ჩემპიონი ქეთი ხდებოდა. ალსანიშნავია ისიც, რომ ფავორიტებს შავებით უწევდათ თამაში: ნანალაშვილი **თეონა მესხს** ხვდებოდა, მიქაძე - **თინათინ ბერიძეს**, ხოლო გურამიშვილი - **ქრისტინე მჟავიას**. ორიოდ საათის შემდეგ მიქაძის უპირატესობა გამოიკვეთა - პაიკით დაწინაურდა, თუმცა მოგების გარანტია არ არსებობდა, რადგანაც ბერიძეს არცთუ მცირე კონტრშეტევითი პოტენციალი გააჩნდა. უპირატესობას იოლად მიაღწია გურამიშვილმაც და მალე ხარისხიც მოიგო, რაც მის საბოლოო წარმატებას ნათელს ხდიდა. ასეც გამოვიდა და ლიდერთაგან პირველმა სოფომ ჩაიწერა სასურველი ქულა. გურამიშვილმა მოგებით მესამე ადგილი დაიბევა და თუ მეტოქეები წაიბორძიკებდნენ, მეტსაც შესწვდებოდა. მირანდამ არა, მაგრამ ნანალაშვილმა კი დაასხა გურამიშვილისა და მირანდას წისქვილზე წყალი: დებიუტის შემდეგ არცთუ ცუდი პოზიცია მიიღო, - ორი კუს უპირატესობაც ჰქონდა, მაგრამ რატომღაც თამაშის გამწვავებას მოერიდა, რის გამოც მესხმა შავების მეფე და ფიგურები შეზღუდა, განვითარების საშუალება მოუსპო და თავად გადავიდა შეტევაზე. შეტევა ზუსტად წარმართა თეონამ და გაიმარჯვა კიდეც. ნანალაშვილი ფინიშამდე ოთხი ტურით ადრე ერთი ქულით უსწრებდა მდევრებს და ვიფიქრეთ, რომ აღარც გაუშვებდა უპირატესობას, მაგრამ ასე არ მოხდა და როგორც ხედავთ, მარცხით დაასრულა ჩემპიონატი. ნანალაშვილის მარცხით სარგებლობა ლა ჰქონდა დარჩენილი მიქაძეს, რომელმაც პაიკის უპირატესობა კიდევ უფრო მეტ მატერიალურ სარგებელში გადაზარდა და გაიმარჯვა. ეს კი მის გაჩემპიონებას ნიშნავდა. მირანდას ძალიან კი გაუხარდა, - ბოლო დროს ჭადრაკს სათანადო დროს ვერ ვუთმობ, - უმაღლეს სასწავლებელში ჟურნალისტიკას ვეუფლებიო, გვითხრა, მაგრამ მისთვის ამგვარი წარმატება უცხო სულაც არ არის, - პირიქით - ასაკობრივ ჩემპიონატებში მეექვსედ იპირველა, ხოლო ოცწლამდელთა შორის ეს მისი მეოთხე ტრიუმფია! ასეთი შედეგიანობა ნამდვილად გასაკვირი და სარეკორდოა ქართველთათვის. აუცილებელია ალვნიშნოთ, რომ მიქაძემ ოცწლამდელთა ტურნირი პირველად 14 წლის ასაკში მოიგო! ნიჭი რომ აქვს მირანდას, ფაქტია, მაგრამ უმაღლესი ოსტატის დონეს რომ მიაღწიოს, მეტი მუშაობა სჭირდება დებიუტებსა და ფსიქოლოგიურ მდგრადობაზე. სწორედ ამ მხრივ ყურადღების გამახვილება ურჩია მას დახურვის ცერემონიაზე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გიორგი გიორგაძემ**.

პარადოქსულად კი ჩანს, მაგრამ ჩემპიონი ვაჟებშიც ის გახდა, ვინც ბოლო დროს ნაკლები ინტენსივობით ემზადებოდა ჭადრაკში, - უმაღლესი სასწავლებელი ერთგვარი შემაფერხებელი ფაქტორია გიორგი მარგველაშვილისთვისაც, - ტურნირებზე ველარ დადის ჩვეული სიხშირით და ვერც ჭადრაკს უთმობს დროის უმეტეს ნაწილს. გიორგიმ ბოლო ტურში თეთრებით ყაიმი ითამაშა **ზურაბ ჯავახაძესთან**, თუმცა გარკვეულ უპირატესობას კი ფლობდა. საჭიროების შემთხვევაში ალბათ გაიმარჯვებდა, მაგრამ კონკურენტებმა ადრიანად და თანაც მისთვის სასარგებლოდ დაასრულეს პარტიები და ძალების ხარჯვა აღარ გახდა აუცილებელი: **დავით ბენიძემ** თეთრებით მარცხი იწვნია **დავით ლომსაძისაგან**, ხოლო **ლუკა პაიჭაძემ** და **დავით ჯოჯუამ** ადრიანადვე მოაწერეს ხელი ზავს. სიმართლე ითქვას, პაიჭაძე-ჯოჯუას შორის ფიცხელ ბრძოლას ველოდით, მაგრამ რომ ვერ ვნახეთ, ვიკითხეთ კიდეც, თუ რა იყო მიზეზი. ვერც ერთმა ვერ ვიპოვეთ მოსაგები გზები და ყაიმზეც ამიტომ შევთანხმდითო, - ამ არგუმენტით დაკმაყოფილდა ჩვენი ცნობისმოყვარეობა.

საბოლოოდ ქულის გაყოფამ უფრო ჯოჯუას არგო - 6 ქულით და უკეთესი კოეფიციენტით მეორე ადგილზე გავიდა, პაიჭაძე კი მეოთხეა ასევე 6 ქულით. მესამეზე **შოთა აზალაძე** გავიდა, რომელსაც **ლევან ბრეგაძესთან** დიდი ბრძოლა გადახდა: თეთრებით მოთამაშე ბრეგაძემ დებიუტი საკმაოდ საინტერესოდ გაითამაშა და უპირატესობაც მოიპოვა, - ხარისხით დაწინაურდა. მიუხედავად ამისა, შოთამ შეძლო კონტრშეტევის ორგანიზება და ნახევარი ქულა გადაარჩინა.

ტურნირის დახურვა დიდი პომპეზურობით არ გამოირჩეოდა, თუმცა ამის მოლოდინი არც ყოფილა. გამარჯვებულებს და პრიზიორებს დიპლომები და მედლები გადაეცათ; ჩემპიონებმა კი თასებიც მიიღეს. ამ ასაკში ევროპის ჩემპიონატები არ ტარდება, ამიტომ მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურები გათამაშდა. მსოფლიოს ჩემპიონატს ამ შემოდგომით არგენტინა უმასპინძლებს. გამარჯვებულთა გასახარად გიორგი გიორგაძემ საკმაოდ კარგი სიტყვა წარმოთქვა: *„ჭადრაკის ფედერაცია ყოველმხრივ ეცდება, მიქაძეს და მარგველაშვილს სათანადოდ მომზადებაში დაეხმაროს - მოუწყოს საწვრთნელი შეკრება და მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელთან მუშაობის საშუალებაც მისცეს“*. ცხადია, ეს დიდი შეღავათია და თუ მოხერხდება, ჩვენებურთა წარმატების ალბათობა ბევრად მოიმატებს. პრეზიდენტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არგენტინულ ჩემპიონატზე წარმატებას და ხელშეწყობის მიზნით მოჭადრაკეებს მწვრთნელსაც თან გააყოლებს, რაც არცთუ მცირე თანხა ჯდება. გიორგაძე იმედოვნებს, რომ საჭირო თანხა გამოიძებნება და მირანდა და გიორგი წარმატებულად მოივლიან ლათინურ ამერიკას.

**ზვიად შათირიშვილი**

ხელბურთის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ხელბურთელი და მწვრთნელი, სპორტის ოსტატი

**ჯემალ ნიკურაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სუმოს სამყარო

ნაცუ ბაშო (10-24 მაისი)

# წყვილად მო[illegible]

**ლევან ცაგურიამ (კოკაი)** მაისის ბაშოს მე-11 დღეს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, მან ღონით აჯობა მონღოლ „ციურ მგელ“ **შოტენროს**, უშუალო კონკურენტს. კოკაის ბალანსი 6-5 გახდა, ახლა მას დარჩენილი 4 ორთაბრძოლიდან 2-ის მოგება ესაჭიროება, რათა ელიტაში ადგილიც შეინარჩუნოს და რეიტინგშიც დაწინაურდეს.

მოიგო 21 წლის **ლევან გორგაძემაც (ტოჩინოშინი)**, მან მონღოლი „არწივი“ **ტამავაში** დაჯახების შემდეგ დაიჭირა და სანამ ის დოჰიოს მიღმა არ გაიყვანა, ხელი არ გაუშვა. ტოჩინოშინის საქმე უკეთაა, 7-4 ბალანსი აქვს და მოგებაც ჰყოფნის დადებითი ბალანსის დასაბუთებლად. ამის მიღწევა მას დღესვე შეუძლია, თუ კიდევ ერთ მონღოლს „წითელ ურჩხულ“ **ასასეკირიუს** აჯობებს.

გუშინ ძალიან ბევრს წყვეტდა მონღოლი ოძეკი **ჰარუმაფუჯის** და იაპონელთა ამომავალი ვარსკვლავის **კისენოსატოს** ბრძოლა. ჰარუმაფუჯიმ მოიგო და კისენოსატოს საჩემპიონო შანსები მნიშვნელოვნად შეუმცირა. ჰარუმაფუჯი და დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** ჯერაც დაუმარცხებლები არიან ბაშოზე. მეტიც, ჰაკუჰოს უკვე 31 ორთაბრძოლაა, არ წაუგია. სხვათა შორის, გუშინ მონღოლს ძალზე გაუჭირდა ოძეკი **კოტოოშუს** ძლევა, შერკინება წუთ-ნახევარს გაგრძელდა, რაც სუმოს მასშტაბით მარათონულია. დღეს საჭიდაოდ გამოვა მესამე დივიზიონში მოასპარეზე **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**, რომელსაც 3-2 ბალანსი აქვს. მისი მეტოქე მე-12 მაკუშიტა **დაიუბუა**.





### XI დღე

| | |
|---|---|
| კიმურაიამა (მ 16) -კასუგაო (ძ 4) | 1:0 (ოშიტაოში) |
| ვაკაკოიუ (ძ 2) -ბუშუიამა (მ 15) | 0:1 (ოშიდაში) |
| **კოკაი** (მ 14) -შოტენრო (მ 15) | 1:0 (იორიკირი) |
| მიაბიამა (მ 11) -ჰოკუტორიკი (მ 13) | 1:0 (ცუკიოტოში) |
| ტაკამისაკარი (მ 12) -იამამოტოიამა (მ 9) | 0:1 (იორიკირი) |
| **ტოჩინოშინი** (მ 13) -ტამავაში (მ 8) | 1:0 (იორიკირი) |
| ივაკიამა (მ 8) -კაკიძოე (მ 14) | 1:0 (იორიკირი) |
| ასასეკირიუ (მ 7) -დეჯიმა (მ 12) | 0:1 (იორიკირი) |
| კოტოშოგიკუ (მ 6) -ტოიოჰიბიკი (მ 11) | 0:1 (იორიკირი) |
| შიმოტორი (მ 10) -იოშიკაძე (მ 5) | 1:0 (ოკურიდაში) |
| ტოჩინონადა (მ 5) -ფუტენო (მ 10) | 0:1 (იორიკირი) |
| ტოკიტენკუ (მ 9) -არანი (მ 4) | 1:0 (იორიკირი) |
| ტაკეკაძე (მ 2) -ტოიონოშიმა (მ 3) | 1:0 (სოტოგაკე) |
| ჰომაშო (მ 1) -ტამანოშიმა (მ 3) | 0:1 (იორიკირი) |
| კაკურიუ (კ) -კიოკუტენჰო (მ 2) | 1:0 (კატასუკაში) |
| ტოჩიოძანი (კ) -გოეიდო (ს) | 1:0 (იორიტაოში) |
| ჩიოტაიკაი (ო) -ამინიშიკი (მ 1) | 0:1 (ჰიკიოტოში) |
| კისენოსატო (მ 4) -ჰარუმაფუჯი (ო) | 0:1 (ტოტარი) |
| კოტოოშუ (ო) -ბარუტო (ს) | 1:0 (უვატედაშინაგე) |
| კაიო (ო) -ასაშორიუ (ი) | 0:1 (იორიკირი) |
| ჰაკუჰო (ი) -კოტომიცუკი (ო) | 1:0 (იორიკირი) |

### XII დღე

ჰოკუტორიკი (მ 13), 3-8-მოკონამი (ძ 1), 8-3
ტოსაიუტაკა (ძ 1), 7-4-დეჯიმა (მ 12), 5-6
ტაკამისაკარი (მ 12), 7-4-ტოიოჰიბიკი (მ 11), 8-3
კიმურაიამა (მ 16), 4-7-შიმოტორი (მ 10), 3-8
ტოკიტენკუ (მ 9), 6-5-ბუშუიამა (მ 15), 6-5
კაკიძოე (მ 14), 5-6-იამამოტოიამა (მ 9), 6-5
ივაკიამა (მ 8), 7-4-**კოკაი** (მ 14), 6-5
ასასეკირიუ (მ 7), 4-7-**ტოჩინოშინი** (მ 13), 7-4
კოტოშოგიკუ (მ 6), 7-4-შოტენრო (მ 15), 7-4
ფუტენო (მ 10), 4-7-იოშიკაძე (მ 5), 3-8
კისენოსატო (მ 4), 9-2-მიაბიამა (მ 11), 8-3
ტამანოშიმა (მ 3), 4-7-ტოჩინონადა (მ 5), 4-7
ტამავაში (მ 8), 5-6-ტოიონოშიმა (მ 3), 2-9
ტაკეკაძე (მ 2), 2-9-არანი (მ 4), 4-7
კაკურიუ (კ), 6-5-ამინიშიკი (მ 1), 4-7
ჰომაშო (მ 1), 0-11-ტოჩიოძანი (კ), 4-7
კიოკუტენჰო (მ 2), 4-7-გოეიდო (ს), 5-6
კოტოოშუ (ო), 7-4-ჩიოტაიკაი (ო), 5-6
ბარუტო (ს), 3-8-ჰარუმაფუჯი (ო), 11-0
ჰაკუჰო (ი), 11-0- კაიო (ო), 8-3
კოტომიცუკი (ო), 7-4-ასაშორიუ (ი), 10-1

### ლიდერები

**11-0: ჰაკუჰო, ჰარუმაფუჯი**
**10-1: ასაშორიუ**
**9-2: კისენოსატო**
**8-3: კაიო, მიაბიამა, ტოიოჰიბიკი**

### მეტოქეები



**კოკაი ივაკიამას** წინაალმდეგ: 18 ორთაბრძოლა, 11 მოგება, 7 წაგება, ბოლო მოგება 2009 წლის მარტის ბაშოზე.

**ივაკიამა** (7-4): აღმოსავლეთის მე-8 მაეგაშირა

33 წლის, ყოფილი კომუსუბი, 184 სმ, 175 კგ.

**ტოჩინოშინი ასასეკირიუს** წინააღმდეგ: 2 ორთაბრძოლა, 1 მოგება, 1 წაგება, ბოლო მოგება 2009 წლის მარტის ბაშოზე.

**ასასეკირიუ** (4-7): აღმოსავლეთის მე-7 მაეგაშირა

27 წლის, ყოფილი სეკივაკე, 185 სმ, 144 კგ.





### ჰონორარები, ჰონორარები...

სუმოში გამორჩეულ ორთაბრძოლებს ჰყავთ სპონსორები, რომლებიც გამარჯვებულ რიკიშის თანხით აჯილდოებენ. სპონსორს შეუძლია მინიმალურად ერთი კენშო დააწესოს ბრძოლის ჰონორარად. ერთი კენშო 60 ათასი იაპონური იენია (დაახლოებით 500 დოლარი). შეგახსენებთ, რომ ეს მხოლოდ სპონსორების მიერ დაწესებული ჰონორარებია. სუმოისტთა სახელფასო სისტემაზე ხვალ ვისაუბრებთ. ჰაკუჰო 154 კენშოთი დაწინაურდა მაისის ბაშოზე.

| მდგომარეობა 10 დღის შემდეგ | | |
|---|---|---|
| 1. ჰაკუჰო | 154 კ. | 84,7 ათასი $ |
| 2. ასაშორიუ | 104 | 57,2 ათ. |
| 3. ტაკამისაკარი | 40 | 22,0 ათ. |
| 4. ჰარუმაფუჯი | 38 | 20,9 ათ. |
| 5. კისენოსატო | 22 | 12,1 ათ. |
| 6. კაიო | 18 | 9,9 ათ. |
| 7. კოტოოშუ | 17 | 9,3 ათ. |
| 8. გოეიდო | 16 | 8,8 ათ. |
| 9. კოტოშოგიკუ | 16 | 8,8 ათ. |
| 10. ჩიოტაიკაი | 14 | 7,7 ათ. |

### სუმოს წესებიდან

**იოკოძუნა** - იოკოძუნას პოზიცია სუმოს იერარქიაში უნიკალურია. ბოლო 300 წლის განმავლობაში (რაც წელიწადში 6 ბაშო იმართება) მხოლოდ 62 რიკიშის ხვდა იოკოძუნობის პატივი. იოკოძუნას დაქვეითება არ შეიძლება მაშინაც კი, თუ ის ცუდად გამოვა ტურნირზე. მაგრამ თუკი ის ცუდად გამოსვლას გააგრძელებს, უნდა დაანებოს სუმოს თავი. იოკოძუნად არჩევა ურთულესი პროცესია, რიკიში ოძეკი მაინც უნდა იყოს და მან ზედიზედ ორი ბაშო მაინც უნდა მოიგოს, რომ მისი აღზევების საკითხი დადგეს დღის წესრიგში. ამის შემდეგ სუმოს ასოციაციამ უნდა მიიჩნიოს, რომ ის ღირსია იოკოძუნას ტიტულის ტარების. სუმოს ასოციაცია ითვალისწინებს ყველაფერს - პიროვნულ ხასიათს, დისციპლინას, სუმოისტის მებრძოლ სულს.

### დღის ამბავი

დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ** საკმაოდ რთული ხასიათის სუმოისტია, მას ხშირად მოსდის კონფლიქტი მედიასთან. ასე იყო ამჯერადაც - რამდენიმე იაპონურმა გაზეთმა გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც ასაშორიუ **კიოკუტენჰოსთან** ბრძოლის შემდეგ „კოკუგიკანის“ ლაზარეთში შემოწმებაზეა. ასაშორიუ ფოტოზე დედიშობილაა აღბეჭდილი. მეორე დღეს ბრძოლის წინ ასაშორიუმ ჟურნალისტებს მიმართა: *„ასეთი სურათების დაბეჭდვა ნორმალურია? მიპასუხეთ ერთი! თქვენგან, ბიჭებო, ათასი სიბინძურე მომითმენია, მაგრამ ახლა ძალიან გაბრაზებული ვარ“*. ბრძოლის შემდეგ მან უკვე აღარ ისურვა კომენტარის გაკეთება და ლაზარეთისკენ გაეშურა. ასაშორიუს გზად რამდენიმე ჟურნალისტი დაედევნა, ასაშორიუ მოტრიალდა და ისინი გააფრთხილა: *„არ წამომყვეთ, ბიჭებო, არ გადაიღოთ ფოტოები“*. მუქარამ გაჭრა. ჟურნალისტებმა მაინც შეიტყვეს ასაშორიუს ვიზიტის მიზეზი, წინადღეს მას ტემპერატურა ჰქონია აწეული, ექიმმა **იოშიდამ** განაცხადა, რომ ასაშორიუს ტემპერატურა 36 გრადუსამდე დაეცა, ის იმდენად კარგადაა, რომ გაბრაზების ხასიათზეა და უფრთხილდითო.

### დღის ილეთი

გუშინ ამ ილეთით მოიპოვა მე-11 გამარჯვება ოძეკი **ჰარუმაფუჯიმ**, მან **კისენოსატო** დაამარცხა. **ტოტარი** ხშირად მას შემდეგ იხმარება, რაც ორივე მეტოქე მიწოლით ან მოკლე დარტყმებით ცდილობს გამარჯვებას. ერთ-ერთი სუმოისტი იჭერს მეტოქის ხელს (ხშირად მაჯის მიდამოებში), დგება მის პარალელურად, თავისუფალი ხელით ქვემოდან ჩასჭიდებს მის დაჭერილ ხელს და წინ და ქვემოთ მიაწვება, რის შედეგადაც მეტოქე დოჰიოზე ეცემა.

**ტოტარი** (ხელით დაგდება)



**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# ქართული სპორტის ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყველაფერი მსოფლიო ჩემპიონატების შესახებ

საქართველოს სპორტსმენებიდან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ატარებს 124 სპორტსმენი, რომლებსაც მოპოვებული აქვთ 221 ოქროს მედალი.

**ყველაზე მეტი ოქროს მედლების მფლობელები არიან:**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ნინო სალუქვაძე | 7 |
| 2. | ერეკლე გურჩიანი | 7 |
| 3. | ნონა გაფრინდაშვილი | 5 |
| 4. | მაია ჩიბურდანიძე | 5 |
| 5. | ლევან თედიაშვილი | 5 |
| 6. | ლერი ხაბელოვი | 5 |
| 7. | გიორგი კოლუაშვილი | 5 |
| 8. | ალექსანდრე გაზოვი | 5 |
| 9. | ზაურ ცხადაძე | 5 |
| 10. | ბორის კოკორევი | 5 |
| 11. | რომან რურუა | 4 |
| 12. | დავით ჭელიძე | 4 |
| 13. | გიგა ხაჩიძე | 4 |
| 14. | ლევ ვაინშტეინი | 3 |
| 15. | გივი კარტოზია | 3 |
| 16. | როსტომ აბაშიძე | 3 |
| 17. | ტარიელ ჟლენტი | 3 |
| 18. | კახი კახიაშვილი | 3 |
| 19. | ანა დოლონაძე | 3 |
| 20. | რუსუდან ხოფერია | 3 |
| 21. | ვახტანგ ჯავახაძე | 3 |
| 22. | ჯონდო მუზაშვილი | 3 |
| 23. | ვეფხია სამხარაძე | 3 |

24 სპორტსმენს მოპოვებული აქვს მსოფლიო ჩემპიონის 2-2 მედალი, ხოლო 77 - ს თითო-თითო.

**ყველაზე მეტი მედლები მსოფლიო ჩემპიონატებზე მოიპოვეს:**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ე. გურჩიანმა | 14 (7ოქ, 4ვერ, 3 ბრ) |
| 2. | ბ. კოკორევმა | 10 (5 - 4 – 1) |
| 3. | ნ. სალუქვაძემ | 9 (7 – 1 – 1) |
| 4. | ა. დოლონაძემ | 9 (3 - 2 - 4) |
| 5. | ა. ჩოხელმა | 9 (1 - 2 - 6) |
| 6. | ა. გაზოვმა | 8 (5 - 0 - 3) |
| 7. | თ. იმნაიშვილმა | 8 (1 - 1 - 6) |
| 8. | ვ. სამხარაძემ | 7 (3 - 4 - 0) |
| 9. | ნ. გაფრინდაშვილმა | 6 (5 - 1 - 0) |
| 10. | მ. ჩიბურდანიძემ | 6 (5 - 1 - 0) |
| 11. | ლ. თედიაშვილმა | 6 (5 - 1 - 0) |
| 12. | ლ. ხაბელოვმა | 6 (5 - 0 - 1) |
| 13. | გ. კოლუაშვილმა | 6 (5 - 0 -1) |
| 14. | დ. ჭელიძემ | 6 (4 - 2 - 0) |
| 15. | ზ. ცხადაძემ | 6 (5 - 0 -1) |
| 16. | კ. კახიაშვილმა | 5 (3 - 2 - 0) |
| 17. | ჯ. მუზაშვილმა | 5 (3 - 1 - 1) |
| 18. | მ. კურდღელაშვილმა | 5 (2 - 3 - 0) |
| 19. | ვ. აფციაურმა | 5 (1 - 1- 3) |
| 20. | დ. ხახალეიშვილმა | 5 (1 - 1 - 3) |
| 21. | ნ. ნასარიძემ | 5 (0 - 3 - 2) |

სპორტის სახეობების მიხედვით მსოფლიო ჩემპიონატებზე ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ასე განაწილდა:

| | | ოქრო | ვერც. | ბრინ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბ/რ. ჭიდაობა | 28 | 8 | 13 | 49 |
| 2 | თავისუფალი ჭიდაობა | 27 | 18 | 11 | 56 |
| 3 | სამბო | 23 | 18 | 23 | 64 |
| 4 | მკლავჭიდი | 37 | 14 | 6 | 57 |
| 5 | ძიუდო | 15 | 9 | 20 | 44 |
| 6 | აკრობატიკა | 10 | 4 | - | 14 |
| 7 | ჭადრაკი | 10 | 6 | - | 16 |
| 8 | ტყვიის სროლა | 21 | 10 | 6 | 37 |
| 9 | ძალოსნობა | 7 | 7 | 2 | 16 |
| 10 | ბატუტზე ხტომა | 7 | 3 | 4 | 14 |
| 11 | სასტენდო სროლა | 6 | 7 | 10 | 23 |
| 12 | ფარიკაობა | 4 | 5 | 7 | 16 |
| 13 | სპ. ტანვარჯიში | 4 | 2 | 2 | 8 |
| 14 | მხ. ტანვარჯიში | 4 | - | 1 | 5 |
| 15 | კრივი | 2 | 3 | 4 | 9 |
| 16 | მშვილდოსნობა | 2 | 3 | 3 | 8 |
| 17 | კალათბურთი | 2 | - | 5 | 7 |
| 18 | კიკბოქსინგი | 2 | - | - | 2 |
| 19 | ველოსპორტი | 1 | 2 | 2 | 5 |
| 20 | თან. ხუთჭიდი | 1 | 2 | - | 3 |
| 21 | ხელბურთი | 1 | 1 | - | 2 |
| 22 | ტაილანდური კრივი | 1 | - | - | 1 |
| 23 | წყალბურთი | 1 | - | - | 1 |
| 24 | სუმო | 1 | - | 2 | 3 |
| 25 | მაგიდის ჩოგბურთი | - | 1 | 1 | 2 |
| 26 | ცურვა | - | - | 1 | 1 |
| 27 | ფრენბურთი | 2 | - | 1 | 3 |
| 28 | წყალში ხტომა | - | - | 1 | 1 |
| 29 | კარატე | 2 | 1 | 1 | 4 |
| | სულ | 221 | 124 | 126 | 471 |

საქართველოს ნაკრები გუნდების ყოფილი წევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონატებში და მედლები მოიპოვეს სხვა ქვეყნებისათვის.

| | გვარი სახელი | მედლები | | | რომელ ქვეყანას მოუტანეს მედლები |
|---|---|---|---|---|---|
| | | ო | ვ | ბ | |
| 1 | გაზოვი ალექსანდრე | 1 | - | 3 | ბელარუსი |
| 2 | დოლგარიოვი ანდრეი | 1 | - | - | რუსეთი |
| 3 | დოროხოვი ვლადიმერ | 1 | - | - | რუსეთი |
| 4 | დოლონაძე ანა | 3 | 2 | 4 | გერმანია |
| 5 | ვანშტეინი ლევ | 3 | 1 | - | რუსეთი |
| 6 | კახიაშვილი კახი | 3 | 2 | - | საბერძნეთი |
| 7 | კოლუაშვილი გიორგი | 5 | - | 1 | რუსეთი |
| 8 | მეკოკიშვილი არსენ | 1 | - | - | რუსეთი |
| 9 | სისაური გივი | 1 | - | - | კანადა |
| 10 | გოგშელიძე გიორგი | 1 | - | - | რუსეთი |
| 11 | ზოზიროვი ზაზა | - | 2 | - | უკრაინა |
| 12 | კოკორევი ბორის | 4 | 4 | 1 | რუსეთი |
| 13 | კოსმინინი კონსტანტინე | - | 1 | - | რუსეთი |
| 14 | გოროდენკინი ალექსანდრე | - | - | 1 | რუსეთი |
| 15 | კოვალენკო სერგეი | - | - | 1 | უკრაინა |
| 16 | ფალიანი რამაზ | 1 | - | 1 | თურქეთი |
| 17 | მოდოსიანი ვლადიმერ | 1 | — | — | უკრაინა |
| 18 | ციციაშვილი გოჩა | 1 | 1 | — | ისრაელი |
| 19 | სალდაძე გიორგი | — | — | 1 | უკრაინა |
| 20 | წურწუმია გიორგი | — | — | 2 | უზბეკეთი |
| 21 | ჩომახიძე რევაზ | — | — | 1 | რუსეთი |
| 22 | ალიფირენკო სერგეი | — | 1 | — | რუსეთი |
| | სულ | 27 | 14 | 16 | |

*დასაწყისი ლელო №52 (12731).*
*გაგრძელება იქნება*

**გურამ ძაგანია,** პროფესორი

---

კვირაცხოვლობას ჩვეულებრივი ბურთაობა გამართეს გურულებმა და მეგრელებმა კახაბერში, სადაც დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა, ზოგნი მოთამაშენი და ზოგნი კიდევ მაყურებელი. დიდ უზარმაზარ ბურთს დაატარებდნენ სამი საათიდან ხუთის ნახევრამდე და მაშინ გადასცეს ერთ კაცს, რომელმაც ეს ბურთი წაიღო და გადააგორა დანიშნულ ლელოს შუაგულზე და თან დაიძახა: „არიქა, ყმაწვილებო, ვაშა, ვაშაო, ლელო დასავლეთით მეგრელებისა და ხონელებისააო და აღმოსავლეთით გურულებისა, თათრებისა და სომხებისაო"! შეიქნა ყიჟინა, ვაშას ძახილი და ბურთი გააქანეს პირველად მეგრელებმა, და ის იყო ლელოსთან უნდა მოეტანათ, — ამ დროს გურულებმა იბრუნეს ბურთი თავიანთ ლელოსკენ, მაგრამ ბურთი ისევ მეგრელებმა და ხონელებმა გაიტაცეს. ამ დროს ბურთი გადავარდა პატარა მდინარეში, სადაც არშინის სიმაღლეზე წყალი იდგა. თქვენც არ მომიკვდეთ, წყალმა არც ერთი მხარე არ შეაშინა, ჩაცვივდნენ შიგ: მთელი ერთი საათი ბურთი წყალში იყო; ბოლოს ისევ მეგრელებმა და ხონელებმა იგდეს ხელთ, გააქანეს თავიანთ ლელოსკენ და მერე ზღვაში ჩააგდეს. თამაშმა მთელ სამ საათს გასტანა.

მოთამაშენი ცეკვა-სიმღერით და დამბაჩების სროლით დაბრუნდნენ სახლში.

**ყარამან ნარაკიძე,**
*„ივერია" №92. სამშაბათი 4 მაისი 1899 წ.*

ფოთი. პირველი მაისისთვის ფოთელებს არ დაუდგათ კარგი დარი. ჟუჟუნა წვიმამ თავისი ხელი დაატყო, მაგრამ ნაშუადღევს ბურთაობისთვის ბუნებამაც პატივი დაგვდო, ამინდმა გადაიყარა. წელს საბურთაოდ დიდი მზადება იყო. თ-დ ჯ. გურიელისგან შესანიშნავი ბურთი მივიღეთ, რომელიც სიმძიმით 20 გირვანქას იწონიდა, ამასთანავე უთვლიდა პატივცემული თავადი აქაურ მომუშავე გურულებს, რომ აბა ჰა, ბურთი მეგრელებს ლელოზედ არ გაატანინოთო. მართლაც ასე მოხდა. მოხერხებული გურულები აქაც ხერხიანად მოიქცნენ: მობურთავენი ორ გუნდად განაწილდნენ, ჯერ პირველი მცირე რაზმი შეუშვეს საბურთაოდ, როცა ამათ მეგრელები შეელალნენ, მაშინ მკვირცხლად შეუტია ახალმა ძალამ გურულებისამ და იერიშით ლელოზე ბურთი მოიტანეს. მეგრელებმა შეატყვეს თუ არა თავს სიძაბუნე, დაიწყეს ჯოხებისა და ნახერხის სროლა. ამას ცუდი შედეგი მოჰყვებოდა, რომ დროზედ პოლიცია არ ჩარეულიყო საქმეში. უკანასკნელად შეათამაშეს გურულებმა ლელოზედ ბურთი და შემდეგ დასჭრეს ნაწილ-ნაწილად, ნაჭრები ჯოხებზედ ჩამოაცვეს, დაამტვრიეს ხის ტოტები და ასე სიმღერით დადიოდნენ. დღეს გამოცდილი მობურთავენი გაიძახიან: „ერთმუჭა გურულების ასეთი გამარჯვება ათი წელიწადია არ გვახსოვსო".

*„ივერია" — სამშაბათი, 6 მაისი, 1897 წ. №87.*

---

### პირველი, პირველის პირველი...

**პირველი,** ვისაც ველოსპორტში სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა, იყო **არკადი ხაბურზანია** (1964 წ.).

**პირველმა** ქართველი მძლეოსნებიდან ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა **ნინო დუმბაძემ.** 1946 წელს მან ბადრო 44,52 მ-ზე გადააგდო.

**პირველად** წყალმხტომელები მაყურებლის წინაშე ოფიციალურად წარდგნენ 1928 წელს ბათუმში გამართული საწყლოსნო-სპორტულ დღესასწაულზე.

### იყო ასეთი შემთხვევა

## არადა, დაღამებას ელოდნენ...

1938 წელს თბილისის ლოკომოტივის ფეხბურთელთა გუნდი პირველად ეწვია ლენინგრადს. ბუნებრივია, დიდი იყო ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერების სურვილი. მეკარე სერგო შუდრას დღიურიდან: „გუნდის კაპიტანმა ნესტორ ჩხატარაშვილმა ბიჭები გაგვაფრთხილა სასტუმროში დაბინდებამდე, დღისურ დაბრუნდით, რომ თამაშის წინ კარგად დაისვენოთ. ქალაქში ექსკურსია გაგვიგრძელდა, დაღლასაც არ ვგრძნობდით. რაც მთავარია, ცა ჯერ ისევ განათებული იყო. უსაზღვროდ გაოცებულები დავრჩით, როცა გაირკვა, რომ უკვე შუაღამე ახლოვდება. თურმე ლენინგრადში „თეთრი ღამეების" დრო იდგა".

### ციტატა

ვინც ბალღებს კეთილ-გონიერად ზრდის, იგია აღმზრდელი და გამბედნიერებელი ერისა, ვინაიდგან სიყრმის დროს დათესილი კეთილი თესლი დიდობაში უხვად გამოიღებს ნაყოფს

ვაჟა

### საფეხბურთო თემაზე

1. რამდენი ქართველი ფეხბურთული ირიცხება ფრანგულ „ლი მანში"?
   - ა - ერთი
   - ბ - ორი
   - გ - სამი
2. ჩამოთვლილ ფეხბურთელთაგან რომელი თამაშობს ყაზახეთის „ატირაუს" შემადგენლობაში?
   - ა - რევაზ ბარაბაძე
   - ბ - გიორგი ფეიქრიშვილი
   - გ - ვახტანგ ფანცხავა
3. რომელ უცხოურ კლუბში თამაშობს 17 წლის ბაქარ მირცხულავა?
   - ა - „ბენფიკაში"
   - ბ - „ციურიხში"
   - გ - „რუბინში"
4. რა ჰქვია ფინეთის რანგით მეორე ლიგას, სადაც ირაკლი ციკოლია გამოდის?
   - ა - სუპერლიგა
   - ბ - პერშალიგა
   - გ - იკონენლიგა
5. რომელი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ ამირან მუჯირი, გიორგი დემეტრაძე და გიორგი ადამია?
   - ა - მაკედონიის
   - ბ - აზერბაიჯანის
   - გ - უკრაინის

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-ბ.

---




1926 წელი. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები ბაქოში

---

### თარიღი

**21-27 მაისი**

**23 მაისი.** დაიბადნენ: **ლევან მოსეშვილი** (1940) — კალათბურთი; **არჩილ ჩოხელი** (1971) სამბო, ძიუდო; **ნინო დუმბაძე** (1919-1983) — მძლეოსნობა.

**24 მაისი.** დაიბადა **გიორგი თენაძე** (1962) — ძიუდო.

**25 მაისი.** დაიბადა **სიმონ ჯაფარიძე** (1896-1929) — ალპინიზმი.

**27 მაისი.** დაიბადა **გიორგი (გულო) რცხილაძე** (1909-1968) — ტანვარჯიში.

**27 მაისი.** 1934 წ. დაწესდა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

### კალენდარი

**21-27 მაისი ქართულ სპორტში**



**21-23 მაისი. ფიგურული სრიალი.** საქართველოს პირველობა. თბილისი. სამივე ასაკი.

**21-24 მაისი. ნიჩბოსნობა.** საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. ფოთი, ჭაბუკები. ახალგაზრდები.

**21-27 მაისი. თანამედროვე ხუთჭიდი.** მსოფლიოს თასის X ეტაპი. იტალია. დიდები.

**21-27 მაისი. მეკლდეურობა.** საქართველოს ჩემპიონატი და პირველობა. საჩხერე. სამივე ასაკი.

**21 მაისიდან. ტყვიის სროლა.** მსოფლიო თასი. იტალია. დიდები.

**22-24 მაისი. სამბო.** საქართველოს პირველობა. თბილისი. 1993-94 წლებში დაბადებული ჭაბუკები.

**25 მაისიდან. ხელბურთი.** სკოლის გუნდების დასკვნითი ტურნირი. ბათუმი. ჭაბუკები, გოგონები.

**25 მაისიდან. ჭადრაკი.** თბილისის ღია საერთაშორისო ტურნირი. დიდები.

**25 მაისიდან. ჭადრაკი.** 16-წლამდელთა საქართველოს პირველობა. ფოთი. ჭაბუკები, გოგონები.

**26 მაისიდან. წყალში ხტომა.** საერთაშორისო ტურნირი. ესპანეთი. დიდები.

**27 მაისიდან. ჭადრაკი.** შ. ინწკირველის მემორიალი. თბილისი. 7-9 წლამდე ბავშვები.

## შუბოსანი და მხედარი რომის კარზე

მეფის ჩამომავლი იყო რომის კარზე დაწინაურებული „შუბოსანი და მხედარი" ამაზასპი; რომის არმიის ერთ-ერთი სარდლის პოსტზე ილვწოდა ბაკურ იბერიელი, „კაცი ყოვლად ღირსეული როგორც რწმენითა და სათნოებით, ისე სულიერი და ხორციელი სიკეთით. ვინც კი მის ახლოს მოხვდებოდა, ზოგს შუბით დაანარცხებდა, ზოგს ისრით განგმირავდა. მან გაარღვია მის წინ მჭიდროდ შეკრულ-შეერთებული მტრის წყებანი, მისგანვე შემდრკალდა უკუქცეულ მოპირისპირის შუაგულში შეიჭრა, დახერგილ გვამებს ზედ გადაევლო და თვითონ უზურპატორს გულდაგულ მიეჭრა".

სპარსელებს შიშის ზარს სცემდა ფარსმან კოლხი, რომლის „სახელის ხსენებაც აშინებდათ მათ, მისი საქმენი ანადგურებდა მათ და ასუსტებდა მათ რიცხვს. მის წინაშე ისინი ლაჩრულად გამოსჩანდნენ და მარცხდებოდნენ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



# ფედერერმა პრემიაზე უარი თქვა

მადრიდის მასტერსის ტრიუმფატორმა **როჯერ ფედერერმა** 2009 წელს, სპორტის დარგში ასტურიის პრინცის პრესტიჟული პრიზის მიღებაზე უარი განაცხადა. ამ გადაწყვეტილების მიზეზი ის გახდა, რომ შვეიცარიელი ჩოგბურთელი დათქმულ ვადაში ვერ შეძლებს ესპანეთში ჩასვლას - ფედერერს გადატვირთული გრაფიკი აქვს და თან სურს, რაც შეიძლება დიდხანს იყოს თავისი ფეხმძიმე მეუღლის გვერდით.

შეგახსენებთ, ასტურიის პრინცის პრემიაზე ფედერერის წარდგენას მხარი დაუჭირეს **რაფაელ ნადალმა**, ფორმულა 1-ის პილოტებმა **მიხაელ შუმახერმა** და **ფერნანდო ალონსომ**, კალათბურთელმა **პაუ გასოლმა**... წესების თანახმად, ნომინაციაში გამარჯვებული პირადად უნდა ესწრებოდეს დაჯილდოების ცერემონიას.

*„მინდა, მადლობა ვუთხრა რაფასა და გასოლს, მაგრამ ჩემი ესპანეთში ჩასვლა შეუძლებელია,* - განაცხადა ფედერერმა. - *პირად ცხოვრებაზეც უნდა დავფიქრდე. იმედი მაქვს, რომ მომავალ მომავალ წელს ისევ წარმადგენენ ამ პრემიაზე და ესპანეთში ჩასვლის შესაძლებლობასაც გამოვნახავ“.*

ამასობაში, როჯერ ფედერერი და მისი მეუღლე **მირკა ვავრინეცი** მადრიდში პოპულარული ამერიკელი მომღერლის **ლენი კლავიტცის** კონცერტს დაესწრნენ.

ფედერერის აზრით, მის მეუღლეს ჯერ შეუძლია მასთან ერთად ტურნირებზე მოგზაურობა. *„კარგია, რომ უახლოესი ტურნირები ევროპაში ტარდება და იქ ჩასვლა თვითმფრინავის გარეშე იქნება შესაძლებელი. ხოლო თუ თვითმფრინავში ჩაჯდომა მოგვიწევს, მაშინ ექიმებთან გავივლით კონსულტაციას“,* - ამბობს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი.



# ნავრატილოვა მაკინროის შეუწყვილდა

ტელეარხ Tennis Channel-ის კომენტატორთა რიგებს ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **მარტინა ნავრატილოვა** შეემატა. ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი ქალი ჩოგბურთელი „როლან გაროსის“ მატჩების პირდაპირ ტრანსლაციებს წარუძღვება.

*„მოხარული ვარ Tennis Channel-ზე დაბრუნებით და მოუთმენლად ველი ჯონ მაკინროისთან და გუნდის სხვა წევრებთან თანამშრომლობას. წელს, ქალთა და მამაკაცთა ტურში ბევრი საინტერესო მოვლენა ხდება და მომავალ როლან გაროსს ბევრი ინტრიგა ახლავს თან. საინტერესოა, შეძლებს თუ არა ვინმე თიხნარზე რაფაელ ნადალის ჰეგემონიის დამხობას ან რომელი ჩოგბურთელი იგდებს ხელთ ბატონობას ქალთა ტურში ჟუსტინ ანენის წასვლის შემდეგ“,* - განაცხადა ამერიკული ჩოგბურთის ლეგენდამ.

# ნადალმა ლონდონი გაინაღდა

წლევანდელი სეზონის ნახევარიც არ არის გასული და მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** უკვე გაინაღდა წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაშის უფლება, რომელსაც ახალი სახელი აქვს - ATP World Tour Finals და ის 22-29 ნოემბერს ლონდონის O2-არენაზე გაიმართება. ავსტრალიის ღია პირველობის, ინდიან უელსის, მონტე კარლოსა და რომის მასტერსების მოგების შემდეგ, ესპანელმა საკმარისი სარეიტინგო ქულები დააგროვა და ზედიზედ მეხუთედ მოხვდა წლის მთავარ ტურნირში.

*„ბედნიერი ვარ, რომ ოფიციალურად მოვხვდი ATP World Tour Finals-ზე,* - ამბობს ნადალი. - *ამ სეზონში ეს ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო. მარტო ეს შედეგი მეტყველებს იმაზე, რომ 2009 წლის სეზონი წარმატებული გამოდგა“.*



*„ლონდონი ის ქალაქია, რომელთანაც ყველაზე სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს. გასულ წელს იქ უიმბლდონი და „ქუინზ ქლაბის“ ტურნირი მოვიგე. ლონდონში გამოსვლისას, გულშემატკივრები ყოველთვის ჩემს მხარეს არიან. მოუთმენლად ველი ამ ფანტასტიკურ ტურნირს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, წარმატებული იქნება ჩემთვის“,* - განაცხადა 23 წლის ნადალმა.



# შარაპოვას გეგმები

დიდ ჩოგბურთში დაბრუნებულმა **მარია შარაპოვამ** ჟურნალისტებს თავისი უახლოესი გეგმები გააცნო. კერძოდ, უიმბლდონის წინ, რუსი ჩოგბურთელი მომზადებას ბირმინგემის ტურნირზე გაივლის, რომლის საპრიზო ფონდიც 220 ათას დოლარს შეადგენს.

*„ბალახის კორტებზე დაბრუნების პერსპექტივა ძალიან მახარებს. ბირმინგემი განსაკუთრებულია ტურნირია ჩემთვის. იქ ძალიან ბევრი გულშემატკივარი მყავს. ეს ტურნირი ორჯერ მაქვს მოგებული და ყოველთვის ვგრძნობ, რომ უხარიათ იქ ჩემი ჩასვლა. ეს უიმბლდონისთვის მზადების საუკეთესო შესაძლებლობაა“,* - მოჰყავს ჩოგბურთელის სიტყვები ESPN-ს.

როგორც იცით, მარია ამ კვირას დაბრუნდა დიდ ჩოგბურთში და ორი მატჩის მოგება მოასწრო. უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ პირველ წრეში მარიამ სამ სეტში იტალიელი **ტატიანა გარბინი** დაამარცხა, გუშინ კი ნაკლებად ცნობილი ბელარუსი **დარია კუსტოვა** გაანადგურა - მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ორ სეტში მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო მეტოქეს.

# ავსტრალია სპონსორებს კარგავს

ავსტრალიის ღია პირველობამ მეორე მსხვილი სპონსორი დაკარგა. „დიდი სლემის“ პირველ ტურნირთან თანამშრომლობის შეწყვეტის მიზეზად მსოფლიო ფინანსური კრიზისი სახელდება.

ამჯერად ავსტრალიურ სლემთან ურთიერთობა არ გააგრძელა კოსმეტიკურმა კომპანია Garnier-მ, რომელიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წარმატებით თანამშრომლობდა ავსტრალიურ მხარესთან. Garnier-მ ოფიციალურად აცნობა ტურნირის ორგანიზატორებს, რომ აღარ აპირებს კონტრაქტის გაგრძელებას.

ამიერიდან, ავსტრალიის ღია პირველობაზე აღარ იმოქმედებს სილამაზის მოძრავი სალონები, რომლის სტილისტებიც




მატჩებს შორის შესვენებებისას თმას კრეჭდნენ ან ვარცხნილობას უკეთებდნენ ჩოგბურთელებს. სტილისტთან ყოველ ასეთ ვიზიტს, Garnier-ს სპეციალისტები გულშემატკივრებისთვის ნამდვილ შოუდ აქცევდნენ.

უფრო ადრე, ავსტრალიის ღია პირველობის სპონსორობაზე უარი თქვა კომპანია GE Money-მ.

# მონფილსმა გამოჯანმრთელება მოასწრო

მსოფლიოს კლასიფიკაციის მე-11 ნომერი **გაელ მონფილსი**, რომელიც ერთი თვის წინ როლან გაროსის გამოტოვებას ვარაუდობდა, კორტზე დაბრუნდა. ფრანგ ჩოგბურთელს მუხლის ტრავმის გამო დაახლოებით თვენახევარი გაუცდა.

გაელ მონფილსმა გუშინ როლან გაროსის კორტებზე ივარჯიშა, სადაც მას პარტნიორობას კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი** უწევდა, დღეს კი ჩოგბურთელები საჩვენებელ შეხვედრას გამართავენ.

ფორმულა 1

# სასამართლომ ფედერაციის მხარე დაიჭირა

გუშინ, საფრანგეთის უმაღლესმა სასამართლომ „ფერარისთან“ დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის იმ დადგენილების შეჩერების მიზეზი, რომელიც 2010 წლის სეზონში გუნდებს საბიუჯეტო თანხების ლიმიტირებას ავალდებულებს.

იტალიური გუნდი „ფერარი“ ვეტოს უფლებით სარგებლობას აპირებდა, რომელიც მას 2005 წლის შეთანხმების თანახმად ჰქონდა მინიჭებული. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით მიმართა სკუდერიამ სასამართლოს. გუშინ, გუნდის იურისტებმა და ფედერაციამ თავიანთი არგუმენტები წარმოადგინეს, რის შემდეგაც ოფიციალური განცხადება გაკეთდა.

ასე რომ, 2010 წლის ჩემპიონატისთვის განაცხადების მიღება გეგმის მიხედვით, 22 მაისს დაიწყება.

FIA-ს პრეზიდენტი **მაქს მოსლი** უკვე გამოეხმაურა საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას და განაცხადა, რომ ის ფორმულა 1-ის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, ხოლო „ფერარის“ მხოლოდ პირადი მოტივები ამოძრავებს და სპორტის ინტერესები ნაკლებად აღელვებს.

*„არც ერთმა გუნდმა არ უნდა დააყენოს სპორტის ინტერესებზე უფრო მაღლა საკუთარი ინტერესები. ახლა, ფედერაცია, გუნდები და ჩვენ კომერციული პარტნიორები შეძლებენ მუშაობის გაგრძელებას იმისთვის, რომ ფორმულა 1-მა 2010 წელს და შემდეგ სეზონებში არნახულ პროგრესს მიაღწიოს“,* - განაცხადა მოსლიმ.

სპეციალური განცხადება გაავრცელა „ფერარიმ“, სადაც წერია, რომ იტალიური გუნდი უკან დახევას არ აპირებს და თუ მის ინტერსებს არ გაითვალისწინებენ, ის არ აპირებს ფედერაციაში საგაისო განაცხადის შეტანას.

ველოსპორტი

# რასმუსენს ციხე ემუქრება

ავსტრიულმა პოლიციამ ორი ცნობილი ველომრბოლის - ავსტრიელი **ბერნარ კოლისა** და დანიელი **მიქაელ რასმუსენის** საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. ეს სპორტსმენები აკრძალული პრეპარატების გავრცელებაში არიან ეჭვიტანილები. როგორც ავსტრიული პრესა წერს, კოლსა და რასმუსენს სისხლის გამდიდრების დოპინგი აღმოუჩინეს.

იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ამ სპორტსმენებმა ეს დოპინგი სხვა ველომრბოლებს გადასცეს, ავსტრიული კანონების თანახმად მათ ხუთ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. გამოძიება ეძებს ყველას, ვინც ეს დოპინგი გამოიყენა. პოლიციამ აკრძალული პრეპარატი კოლის მენეჯერის **შტეფან მატშაინერის** სახლში იპოვა.

რასმუსენი 2007 წელს იქნა დისკვალიფიცირებული ანტისადოპინგო სააგენტოებისთვის თავისი ადგილსამყოფელის დამალვის გამო, რაც შეეხება კოლს, ის 2008 წლის ტურ დე ფრანსზე დოპინგის გამოყენებისთვის დასაჯეს.

## ჯირო დ'იტალია

### X ეტაპი

#### კუნეო-პინეროლო. 262 კმ

1. **დანილო დი ლუკა** (იტალია, LPR Brakes - Farnese Vini) - 6.30,43; 2. **ფრანკო პელიცოტი** (იტალია, Liquigas) - +0,10; 3. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Rabobank) - იგივე დრო; 4. **კარლოს სასტრე** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - იგივე დრო; 5. **დავიდ აროიო** (ესპანეთი, Caisse d'Epargne) - +0,26; 6. **მაურისიო სოლერი** (კოლუმბია, Barloworld) - +0,29; 7. **ივან ბასო** (იტალია, Liquigas) - იგივე დრო; 8. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, „ასტანა“) - იგივე დრო... 13. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, „ასტანა“) - იგივე დრო...

#### საერთო ჩათვლა

1. **დანილო დი ლუკა** (იტალია, LPR Brakes - Farnese Vini) - 44.00,11; 2. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Rabobank) - +1,20; 3. **მაიკლ როჯერსი** (ავსტრალია, Columbia – Highroad) - +1,33; 4. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, „ასტანა“) - +1,40; 5. **ფრანკო პელიცოტი** (იტალია, Liquigas) - +1,53; 6. **კარლოს სასტრე** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +1,54; 7. **ივან ბასო** (იტალია, Liquigas) - +2,03... 18. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, „ასტანა“) - +5,28...

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# შავი მამბას სოლო

„ლეიკერსი“ ნახევარფინალური სერიის პირველ მატჩში მუდმივად ჩამორჩებოდა „დენვერს“, მაგრამ მატჩის ბოლოს, **კობი ბრაიანტის** ექვსი ზუსტი საჯარიმოს წყალობით „გამარჯვება გამოსტაცა „ნაგეტსს“.

სტუმრებმა **კარმელო ენტონის** მეთაურობით შეხვედრა 10:2 გაქცევით დაიწყეს. კობი ბრაიანტმა და **ენდრიუ ბინუმმა** სასტარტო ჩავარდნის შემდეგ მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, მაგრამ პირველ მეოთხედში (16 ქულა) და მთელ მატჩში (39 ქულა) ბრწყინვალედ მოთამაშე ენტონიმ პარტნიორების დახმარებით სხვაობა 13 ქულამდე გაზარდა. გავუსწრებთ მოვლენებს წინ და გეტყვით, რომ ამ მატჩში კარმელომ საკლუბო რეკორდი გაიმეორა. მან ზედიზედ მეოთხე მატჩში დააგროვა 30-ზე მეტი ქულა და ლეგენდარული **ალექს ინგლიშის** 1985 წლის შედეგს გაუტოლდა.

კალიფორნიელებს ნარბიც არ შეუხრიათ და შვიდ წუთში პრაქტიკულად აღადგინეს თანაფარდობა - 37:35. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ პერიოდში „ლეიკერსის“ ლიდერმა კობი ბრაიანტმა ერთი ქულაც ვერ მოიპოვა. უფრო ხშირად ის სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს თანაგუნდელების მოქმედებას.

როგორც კი „შავი მამბა“ (კობის მეტსახელი) მოედანზე დაბრუნდა, „ლეიკერსმა“ ინიციატივის ხელში ჩაგდება და წინ გასვლა სცადა, მაგრამ **ჯორჯ კარლის** შეგირდები ფხიზლად იყვნენ და „ლეიკერსს“ თამაშში გარდატეხის შეტანის საშუალება არ მისცეს. მხოლოდ პირველი ტაიმის ბოლო წამზე, **დერეკ ფიშერის** ზუსტი სამქულიანის წყალობით შეძლეს მასპინძლებმა მატჩში პირველად წინ გასვლა - 55:54. ისე ჩანდა, რომ დიდი შესვენების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილას დადგებოდა და ლოსანჯელესელები მოარჯულებდნენ ჯიუტ მეტოქეს, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა.

„ნაგეტსის“ ორი ლიდერი - ენტონი და **ჩონსი ბილაპსი კრის ანდერსენის** დახმარებით არაფერში ჩამორჩებოდნენ უფრო ტიტულოვან ოპონენტებს, ხოლო, როცა მათ ზუსტი სამქულიანით **ჯეი არ სმიტიც** წამოეშველა, ცხადი გახდა, რომ შეხვედრის ბედი ან ბოლო წამებზე, ან სულაც ოვერტაიმში გადაწყდებოდა.

მეოთხე 12-წუთეულის შუაში, კარმელოს ორი ზუსტი ტყორცნის შემდეგ, „დენვერმა“ 7 ქულით დაწინაურება მოახერხა - 89:82. მაგრამ ენტონიზე არანაკლებ ბრწყინვალედ მოთამაშე ბრაიანტისა და **ტრევორ არიზას** ძალისხმევით, სხვაობა მინიმუმამდე დავიდა, ამის შემდეგ კი ისევ ფიშერმა გამოიდო თავი, რომელმაც შორიდან გაისროლა. ამ მატჩის დარჩენილი ორი წუთის დაწვრილებით აღწერა ნამდვილად ღირს:

1.53. **კენიონ მარტინი პაუ გასოლზე** ჯარიმდება, მაგრამ ესპანელი ორ საჯარიმოს აცილებს - 97:96.

1.38. ბილაპსი დაახლოებით 8.5 მეტრიდან ზუსტად ისვრის - 97:99.

1.15. ფიშერი სამქულიანს აცილებს, მაგრამ გასოლი შეტევაში ხსნის ბურთს. პაუზე **ნენე** ჯარიმდება და ამჯერად ესპანელი ორიდან ორს აგდებს - 99:99.

1.00. **ლამარ ოდომმა** კრის ანდერსენისთვის ბურთის ართმევა სცადა და სადავო აგდების უფლება მოიპოვა, რომელიც ლეიკერსელმა მოიგო - 99:99.

0.36. ბრაიანტი საშუალო დისტანციიდან აცილებს, მაგრამ „ლეიკერსი“ შეტევაში ხსნის ბურთს. მარტინი კობიზე ჯარიმდება და ბრაიანტი ორ საჯარიმოს ზუსტად ისვრის - 101:99.

0.29. არიზამ **ენტონი კარტერის** არაზუსტი პასი ჩაჭრა - 101:99.

0.10. სმიტი ბრაიანტზე ჯარიმდება და „ლეიკერსის“ ლიდერი არც ამჯერად ცდება - 103:99.

0:06. მარტინის პასის შემდეგ ბილაპსი ნაჩქარევად ისვრის სამქულიანს და აგდებს - 103:102.

0.05. ენტონი ბრაიანტზე იღებს პერსონალურს და კობი ზედიზედ მეხუთე და მეექვსე საჯარიმოს აგდებს - 105:102.

0.03. ფიშერი სმიტზე ჯარიმდება, რომელიც პირველს აგდებს, მეორე სროლისას კი შეგნებულად აცილებს და ბურთის მოხსნას ცდილობს, მაგრამ სტუმრებს „შავმა მამბამ“ დაასწრო და „ლეიკერსმა“ ურთულესი მატჩი მოიგო - 105:103.



**დასავლეთი**

| ლეიკერსი-დენვერი | 105:103 |
| --- | --- |

23:31, 32:23, 19:22, 31:27

ლ: ბრაიანტი (40), პ. გასოლი (13+14 მოხსნა), ფიშერი (13+6 პასი), ოდომი (7+8 მოხსნა), არიზა (6+3 ჩაჭრა).

დ: ენტონი (39), ბილაპსი (18+8 პასი), მარტინი (15+8 მოხსნა), ნენე (14).

სერია: 1:0

# კლიპერსმა დრაფტი მოიგო

## სტივ ნეშზე ნადირობაა გამოცხადებული

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ დრაფტ-ლატარია ჩაატარა. 2009 წლის დრაფტზე პირველი ნომრის არჩევის უფლება „ლოს ანჯელეს კლიპერსს“ ერგო. ახალბედათა დრაფტის პროცედურა 25 ივნისს ჩატარდება.

მეორე ნომრის მფლობელი გახდა „მემფის გრიზლისი“, მესამესი - „ოკლაჰომა სიტი“. „საკრამენტო კინგზი“, რომელმაც რეგულარული ჩემპიონატი ყველაზე უარესი შედეგით (17 მოგება - 65 წაგება) დაასრულა და დრაფტის ლატარიის მოგების ყველაზე დიდი შანსი ჰქონდა, მხოლოდ მეოთხე ნომრის არჩევის უფლება ერგო.

■ ■ ■

ტელეკომპანია ESPN-ის ინფორმაციით, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხუთ კლუბს სურს „ფინიქს სანზის“ გამთამაშებლის **სტივ ნეშის** გადაბირება. ეს გუნდებია: „პორტლენდი“, „გოლდენ სტეიტი“, „ტორონტო“, „ნიუ იორკი“ და „ჰიუსტონი“.

ESPN-ის ანალიტიკოსის **მარკ შტეინის** აზრით, ვეტერანი მცველის ხელში ჩაგდების ყველაზე დიდი შანსი „პორტლენდს“ აქვს, რადგან ამ გუნდს „ფინიქსისთვის“ კარგი კომპენსაციის შეთავაზება შეუძლია. მაგალითად, სახელდება ახალგაზრდა მცველის **ჯერიდ ბეილისისა** და ფორვარდ **თრევის აუთლოს** კანდიდატურები.

რთული სათქმელია, რამდენად სანდოა ეს ინფორმაცია, რადგან „ფინიქსის“ ხელმძღვანელობას არაერთხელ განუცხადებია, რომ არ აპირებს გამოცდილი გამთამაშებლის გაშვებას.

■ ■ ■

„ჰიუსტონ როკეტსის“ გენერალური მენეჯერი **დერილ მორი** აცხადებს, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ტრეისი მაკგრეიდი** მომავალი სეზონის სტარტიდან შეძლებს „როკეტსის“ რიგებში თამაშს. როგორც იცით, ვეტერანმა კალათბურთელმა ტრავმის გამო ჩააგდო შარშანდელი სეზონი - ჯერ კიდევ თებერვალში გახდა ცნობილი, რომ ტი-მაკი სეზონის ბოლომდე გამოეთიშა თამაშს.

*„როგორც ექიმები ამბობენ, მაკგრეიდის კარგი შანსი აქვს, ახალი სეზონის დასაწყისში დაუბრუნდეს დიდ კალათბურთელს“,* - ამბობს მორი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა




კალათბურთი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# შაკი დალასში გადადის?

საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს გაზეთი The Dallas Morning News-ი. „დალას მავერიქსმა“, შესაძლოა, ლეგენდარული ცენტრით, **შაკილ ო'ნილით** გააძლიეროს შემადგენლობა. „მავერიქსის“ ხელმძღვანელობა მზად არის შაკის სანაცვლოდ „ფინიქსში“ ცენტრი **ერიკ დამპიე** და მცველი **ჯერი სტეკჰაუსი** გაუშვას. ამ ტრეიდის განხორციელების შემთხვევაში, „ფინიქსს“ სტეკჰაუსის კონტრაქტის გამოსყიდვის საშუალება და ამით ბიუჯეტში საკმაოდ დიდი თანხის გამოთავისუფლების საშუალება მიეცემა. ეს კი „სანზს“ **ამარე სტაუდმაიერის** შენარჩუნებაში დაეხმარება.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელ რეგულარულში ო'ნილის საშუალო მაჩვენებლებმა 17.8 ქულა და 8.4 მოხსნა შეადგინა.

■ ■ ■

სანამ გუნდები შაკის მომავალი კარიერის შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებენ, თავად ვეტერანი ცენტრი სირაკუზის უნივერსიტეტში ტელემაუწყებლობის კურსებს გადის. ეს უნივერსიტეტი იმით არის ცნობილი, რომ ყოფილ სპორტსმენებს კომენტატორებად ამზადებს.

„სპორტული კომენტატორების უნივერსიტეტმა“ მუშაობა გასული წლის ზაფხულიდან დაიწყო. შაკის გარდა, კურსებზე NBA-ის კიდევ ოთხი კალათბურთელი ჩაეწერა, მათ შორის **ერიკ სნოუ** და **ადრიან გრიფინი**. თავისი პირველი ინტერვიუ ო'ნილმა „დიუკის“ ყოფილ გამთამაშებელთან **გრეგ პოლუსთან** ჩაწერა, რომელმაც გასულ კვირას განაცხადა, რომ „ორენჯესის“ გუნდში აპირებს ფეხბურთის თამაშს.

ამის შემდეგ, შაკი თავად გახდა ჟურნალისტების სამიზნე. ლეგენდარულმა ცენტრმა განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს მომავალში ტელევიზიასა და რადიოში საკუთარი შოუ ჰქონდეს.

*„ვცდილობ, ყველაფერი წინასწარ დავგეგმო. მე ის ადამიანი ვარ, რომელსაც არ უყვარს სხვისი დახმარებით რაიმეს გაკეთება - მირჩევნია, თავად მივაღწიო ყველაფერს. მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, მინდა ტელევიზიასა და რადიოში საკუთარი შოუ მოვაწყო“,* - ამბობს „ფინიქსის“ ვეტერანი.

# ლიტველთა რიგებში ერთი ოკეანისგაღმელია

ევროპის 2007 წლის ბრინჯაოს პრიზიორის ლიტვის ნაკრების ხელმძღვანელობამ იმ კალათბურთელების სია გამოაქვეყნა, რომლებიც კონტინენტის წლევანდელი პირველობისთვის დაიწყებენ მზადებას. როგორც ცნობილია, წელს ევროპის პირველობა 7-20 სექტემბერს პოლონეთში გაიმართება.

აი როგორ გამოიყურება ლიტველთა გაფართოებული შემადგენლობა:

**ანდრიუშ მაჟუტისი** („ასკ-რიკა, ლატვია), **მარტინას გეჩევიჩუსი** („ლეტუვოს რიტასი“), **რეინალდას სეიბუტისი** („ბილბაო“, ესპანეთი), **გედრიუს გუსტასი** („კავალა“, საბერძნეთი), **მანტას კალნიეტისი** („ჟალგირისი“), **ტაუტვიდას ბარსტისი** („ესტიუაი“), **სტეპონას ბარბაუსკასი** („ლეტუვოს რიტასი“), **იუსტას სინიცა** („ლეტუვოს რიტასი“), **მინდაუგას კატელინასი** („მილანი“, იტალია), **პოვილას ბუტკევიჩუსი** („ჟალგირისი“), **მარტინას ანდრისკიავიჩუსი („ალიკანტე“**, ესპანეთი), **მიხაილას ანისიმოვასი** („ლეტუვოს რიტასი“), **შარუნას იასიკიავიჩუსი** („პანათინაიკოსი“, საბერძნეთი), **რიმანტას კაუკენასი** („მონტეპასკი“, იტალია), **არვიდას მაციაუსკასი** („ოლიმპიაკოსი“, საბერძნეთი), **ტომას დელინინკაიტისი** („ბუდიველნიკი“, უკრაინა), **მინდაუგას ლუკაუსკისი** („ლეტუვოს რიტასი“), **სიმას იასაიტისი** („ხუვენტუდი“, ესპანეთი), **იონას მაჩულისი** („ჟალგირისი“), **არტურას იომანტასი** („ლეტუვოს რიტასი“), **ლინას კლეიზა** („დენვერ ნაგეტსი“, NBA), **პაულიუს იანკუნასი** („ჟალგირისი“), **დარიუშ ლავრინოვიჩი** („დინამო“, რუსეთი), **კშიშტოფ ლავრინოვიჩი** („მონტეპასკი“, იტალია), **მარიონას პეტრავიჩუსი** („ლეტუვოს რიტასი“), **რობერტას იავტოკასი** („დინამო“, რუსეთი).

ფინალური ეტაპის ჯგუფურ ეტაპზე ლიტველთა მეტოქეები იქნებიან ბულგარეთი, თურქეთი და პოლონეთი.

ჰოკეი. სტენლის თასი. 1/2 ფინალი

# დეტროიტი წინ გაიჭრა




„დეტროიტისა" და „ჩიკაგოს" სერიის მეორე მატჩი უფრო დაძაბული გამოვიდა, ვიდრე პირველი, თუმცა შეხვედრის შედეგი უცვლელი დარჩა - სტენლის თასის მოქმედმა მფლობელმა ზედიზედ მეორედ მოიგო და ახლა ჩიკაგოში მომდევნო ორი მატჩის ჩასატარებლად მიემგზავრება.

ამჯერად სტუმართა წაგება მისი მცველების უხეშ შეცდომებს უნდა დაბრალდეს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შეცდომის შემდეგ, ბოლო ტურებში დეტროიტელთა საუკეთესო ჰოკეისტმა **დანიელ კლირიმ** „ჩიკაგოს" მეკარე **ნიკოლაი ხაბიბულინთან** პირისპირ გაალწია და 2:1 გახადა ანგარიში. კლირიმ წინა მატჩში დუბლი შეასრულა, იმის წინ კი „ანაჰაიმთან" სერიის მეშვიდე მატჩში გამარჯვების გოლი გაიტანა.

თამაში საინტერესო სანახავი გამოდგა - გუნდებმა შემტევი ჰოკეი აჩვენეს. უპირატესობა „დეტროიტს" ჰქონდა, თუმცა ერთით მეტი ზუსტი დარტყმა „ჩიკაგოს" დაუგროვდა. იქნებ სწორედ ამის წყალობით შეძლეს სტუმრებმა მესამე პერიოდში ანგარიშის გათანაბრება და მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა. დუბლი შეასრულა „ჩიკაგოს" ახალგაზრდა კაპიტანმა **ჯონათან ტეუვზმა**.

„დეტროიტს" ოვერტაიმში გამარჯვება „ჩიკაგოს" ყველაზე მაღალანაზღაურებადმა ჰოკეისტმა **ბრაიან კემპბელმა** (7 მილიონი დოლარი წელიწადში) მოუტანა. მან ცენტრალურ ზონაში დაკარგა შაიბა, რის შემდეგაც სამი დეტროიტელი ერთი მცველის წინააღმდეგ გავიდა და კლასიკური კომბინაციის შემდეგ, შვედმა **მიკაელ სამუელსონმა** გამარჯვების შაიბა გაიტანა.

ამ მატჩში საკლუბო რეკორდი დაამყარა „დეტროიტის" ლეგენდარულმა მცველმა **ნიკლას ლიდსტრიომმა**. შვედმა ვეტერანმა პლეი ოფში 116-ე შედეგიანი პასი გააკეთა, რითაც „დეტროიტის" კიდევ ერთი ლეგენდის **სტივ აიზერმანის** რეკორდი დაამხო.

| დასავლეთი | |
|---|---|
| დეტროიტი-ჩიკაგო | 3:2 (ო) |

1:1, 1:0, 0:1, 1:0

გოლები: 0:1 ტეუვზი-5 (პავლატი-9, ბარკერი-5), 1:1 რაფალსკი-2 (ლიდსტრიომი-9, დაციუკი-5), 2:1 კლირი-6, 2:2 ტეუვზი-6 (ვერსტეეგი-8, ბ. კემპბელი-8), 3:2 სამუელსონი-5 (ფილპულა-9, ჰუდლერი-5).

სერია: 2:0

# ფინიქსი კანადაში გადადის

## უეინ გრეტცკი უმუშევარი დარჩება



ფინიქსში გაიმართა სასამართლო პროცესი, სადაც ჰოკეის ეროვნული ლიგის ადგილობრივი კლუბის „კოიოტზის" გაკოტრების საქმე განიხილეს. თუმცა გადაწყვეტილება იმის შესახებ, მისცემენ თუ არა კლუბის ახალ მფლობელს (რომელიც აუქციონის შემდეგ გაირკვევა) გუნდის სხვა ქალაქში გადატანის უფლებას, ჯერ არ არის მიღებული. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ „ფინიქსის" ამჟამინდელმა მფლობელმა **ჯერი მოიესმა** და ლიგის ხელმძღვანელობამ ერთი კვირის ვადაში მშვიდობიანად უნდა გაარკვიონ თუ ვინ უნდა უხელმძღვანელოს გუნდს აუქციონამდე.

22 ივნისს განმეორებითი სხდომა გაიმართება, რომელზეც გაირკვევა კიდეც გუნდის სხვა ქალაქში გადასვლის საკითხი.

ამ დროისთვის „ფინიქსის" შეძენაზე პრეტენზიას ორი ბიზნესმენი აცხადებს. პირველია **ჯიმ ბალსილი**, მეორე - **ჯერი რეინსდორფი**, რომელიც ჩიკაგოში კალათბურთისა („ბულზი") და ბეისბოლის („უაიტ სოქსი") პროფესიული კლუბების მფლობელია. როგორც გაზეთი Toronto Sun წერს, იმ შემთხვევაში, თუ აუქციონს რეინსდორფი მოიგებს, ის პირველ რიგში მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაუშვებს ლეგენდარულ **უეინ გრეტცკის**, რადგან ბიზნესმენის აზრით, არ შეიძლება მწვრთნელის ხელფასი ხუთჯერ აღემატებოდეს კლუბების სხვა დამრიგებელთა საშუალო ჯამაგირს. კონტრაქტის მიხედვით, გრეტცკიმ მომავალ სეზონში 6.5 მილიონი უნდა გამოიმუშაოს, ერთი წლის შემდეგ კი - 8 მილიონი.

ჯერჯერობით უცნობია, რა თანხის გადახდას აპირებს რეინსდორფი „ფინიქსის" სანაცვლოდ, თუმცა ის უკვე გარკვეულია, რომ ბალსილის ამ საქმისთვის 212.5 მილიონი დოლარი აქვს გამოყოფილი და ამ მხრივ აშკარად ჯაბნის რეინსდორფს. თუმცა, ვინც არ უნდა შეიძინოს „კოიოტზი", თითქმის გადაწყვეტილია, რომ ეს გუნდი კანადის ტერიტორიაზე გადავა.

ცურვა

# ფედერაციამ ულტრათანამედროვე კოსტიუმები აკრძალა



საწყლოსნო სახეობების საერთაშორისო ფედერაციამ (FINA) მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მონაწილეებს 10 საცურაო კოსტიუმის გამოყენება აუკრძალა. აკრძალვას დაექვემდებარა ის კოსტიუმები, რომელთა დახმარებითაც ბოლო ორი თვის განმავლობაში მსოფლიოს რამდენიმე რეკორდი დამყარდა.

სულ FINA-მ საცურაო კოსტიუმების 348 მოდელი შეამოწმა. აქედან 202 მოიწონა, 10 აკრძალა, ხოლო 136 ფაბრიკებს დაუბრუნა და მათ 30 დღე მისცა დიზაინის შესაცვლელად. ფედერაციამ საცურაო კოსტიუმების შესწავლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ბოლო 18 თვის განმავლობაში, სხვადასხვა დისტანციაზე ასზე მეტი რეკორდი დამყარდა. სპეციალისტთა აზრით, მაღალი შედეგები ულტრათანამედროვე საცურაო კოსტიუმების გამოყენებით აიხსნება.

სულ ლაბორატორიული ტესტები 21 ფირმის პროდუქციამ გაიარა და აქედან 18 კომპანიას აუნთეს მწვანე შუქი. მათ შორის ცნობილ ფირმა Speedo-ს, რომლის მოდელის (LZR) კოსტიუმებით ჯამში 108 რეკორდი დამყარდა. რაც შეეხება კომპანია „არენას" გამოშვებულ ულტრათანამედროვე X-Glide-ს, მან შემოწმება ვერ გაიარა. შეგახსენებთ, რომ ამა წლის აპრილში სწორედ ამ კოსტიუმების დახმარებით დაამყარეს მსოფლიოს რეკორდები ფრანგმა მოცურავეებმა - **ალან ბერნარმა** (100 მეტრი) და **ფრედერიკ ბუსკემ** (50 მეტრი). თუმცა FINA-ს არ დაუზუსტებია, გააუქმებს თუ არა ამ სპორტსმენების რეკორდებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**იტალია**

| | |
|---|---|
| ლაციო-რეჯინა | 1:0 |

**ლაციო:** კარისო-6.5, დე სილვესტრი-6.5, კოლაროვი-6.5, დაბო-6.5 (57. მეგნი-6), კ. ლედესმა-6.5, ლიხშტაინერი-6.5, დიაკიტი-6.5, როზენალი-6, ფოჯა-6.5 (47. მენდიჩინო-6), სარატე-7 (64. კოზაკი-6.5), პანდევი-6.5.

**რეჯინა:** პუჯონი-6.5, ჩირილო-5.5, კ. ვალდესი-5, ლანძარო-6, კოსტა-5.5 (50. კორადი-5), კარმონა-5, ბარეტო-5, ბარილა-5, ვიჯანი-5.5 (54. ჩერავოლო-4.5), კოცა-5 (66. ადეხო-5.5), ბრიენცა-5.5.

**გოლი:** 1:0 სარატე (26)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 7-13; **ჯარიმა:** 14-16; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 19-18 (5-6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

მაყურებელი: 24 350

**შოტლანდია**

| I დივიზიონი. პლეი ოფი | |
|---|---|
| აირი-ეირდრი | 2:2 |

| II დივიზიონი. პლეი ოფი | |
|---|---|
| კოუდენბითი-სტენჰაუზმური | 0:0 |

**დანია**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ვიბორგი-აკადემისკი | 0:2 |

**ნორვეგია**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| სკეიდი-ჰამ კამი | 0:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრომაპიოკარნა-ჰამარბიუ | 0:1 |
| ჰალმსტადი-გეფლე | 0:2 |
| მალმიო-ერებრუ | 0:0 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ანგელჰოლმი-სირიუსი | 2:0 |
| სუნდსვალი-ვასალუნდსი | 2:0 |

**ფინეთი**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| კლუბი04-ტპვ ტამპერე | 1:1 |

| შვეიცარიის თასი | |
|---|---|
| იანგ ბოიზი-სიონი | 2:3 |

**საბერძნეთი**

| პლეი ოფი | |
|---|---|
| ლარისა-პანათინაიკოსი | 0:1 |
| აეკ-პაოკ | 3:1 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ნიტრა-ტრნავა | 1:1 |

| სლოვაკეთის თასი | |
|---|---|
| კოშიცე-არტმედია | 3:1 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| დრავა-პრიმორიე | 0:1 |
| ინტერბლოკი-პუბლიკუმი | 2:0 |
| კოპერი-ნაფტა | 3:0 |
| გორიცა-მარიბორი | 3:0 |
| რუდარი-დომჟალე | 2:2 |

| [illegible] | |
|---|---|
| დიორი-ჰონვედი | 0:1 |

**ჩემპიონთა ლიგა**

| აზია | |
|---|---|
| ალ აჰლი-საბა ბატრი | 3:5 |
| ალ ჰილალი-ფახთაძორი | 2:0 |
| პერსპოლისი-ალ შაბაბი | 1:0 |
| ულსანი-ნიუკასლი | 0:1 |
| ბეიჯინგი-ნაგოია | 1:1 |
| გამბა-სეული | 1:2 |
| შრივიაია-შანდონგი | 4:2 |

**კალათბურთი**

**საბერძნეთი**

| მე-3 ადგილისთვის | |
|---|---|
| არისი-მარუსი | 90:86 |

**იტალია**

| პლეი ოფი | |
|---|---|
| ბიელა-რომა | 82:77 |
| მილანი-ტერამო | 83:82 |

**ჩოგბურთი**

| ATP. კიტცბუელი | |
|---|---|
| ბეკი-ერნანდესი | 5:7, 4:6 |
| მელცერი-კალერი | 6:4, 7:5 |
| ჩელა-რამირეს იდალგო | 6:3, 6:2 |
| ჰანესკუ-გრანოლერსი | 6:1, 7:6 |
| იუჟნი-კუბეკი | 6:2, 6:4 |
| ბენეტო-მასუ | 6:1, 6:7, 7:6 |
| კოლერერი-ხანკუერა | 6:1, 6:2 |

| ATP. დიუსელდორფი | |
|---|---|
| კოლშრაიბერი-ცონგა | 6:7, 6:3, 6:3 |
| ბოლელი-მონაკო | 3:6, 7:5, 4:6 |

| WTA. ვარშავა | |
|---|---|
| ა. ბონდარენკო-დომახოვსკა | 6:3, 6:1 |
| კეოტავონგი-კრეიბასი | 3:6, 6:3, 6:1 |
| ერანი-დულგჰერუ | 4:6, 3:6 |
| ე. ბონდარენკო-ვოსკობოევა | 4:6, 6:7 |
| დენგი-ზაკოპალოვა | 0:6, 4:6 |
| შარაპოვა-კუსტოვა | 6:2, 6:0 |
| გორგესი-ოლარუ | 3:6, 6:0, 6:7 |
| ჰანტუხოვა-უ. რადვანსკა | 6:3, 6:1 |

| WTA. ვარშავა | |
|---|---|
| რეზაი-იაკიმოვა | 6:4, 6:1 |
| კოინი-მორიტა | 6:4, 0:6, 4:6 |
| კუდრიავცევა-ჰრადეცკა | 5:7, 0:6 |
| მედინა გარიგესი-ბაროისი | 4:6, 0:6 |
| კუტუზოვა-ფორეცი | 3:6, 6:3, 6:2 |
| ნიკულესკუ-ბეიგელციმერი | 5:7, 6:0, 6:4 |
| პენგი-პარმენტიე | 6:3, 7:6 |
| დულკო-კოენ ალორო | 6:4, 6:7, 4:6 |

TV პროგრამა

**21 მაისი. ხუთშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

06:50 გასული კვირის ჰიტ-ალუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბლექბერნი.
08:40 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
09:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 გასული კვირის ჰიტ-ალუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ოსერი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-ალუმი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
14:10 გასული კვირის ჰიტ-ალუმი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ბაიერნი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:15 გასული კვირის ჰიტ-ალუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული.
19:05 სასტვენი.
19:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:00 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
20:10 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
21:10 გასული კვირის ჰიტ-ალუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-რეალი.
23:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:20 გასული კვირის ჰიტ-ალუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვალენსია.
01:10 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
02:10 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
02:45 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-დეფენსორი (ურუგვაი). საპასუხო მატჩი (LIVE).
05:00 გასული კვირის ჰიტ-ალუმი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-სანდერლენდი

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

08:00 სპორტული დილა.
08:45 ცურვა.
10:20 ახალი ამბები.
10:30 ბრძოლა წესების გარეშე.
11:30 მძლეოსნობა. სეზონის სტარტის წინ. ოქროს ლიგა. გერმანია.
15:00 სპორტული დღე.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. კიტცბუელი. ავსტრია (LIVE).
18:00 კალათბურთი. კვირა NBA-ში.
19:30 ახალი ამბები.
20:00 ბრძოლა წესების გარეშე.
21:00 სპორტული ცეკვები.
22:00 სპორტული საღამო.
22:30 მძლეოსნობა. სეზონის სტარტის წინ. ოქროს ლიგა. გერმანია.
00:30 ახალი ამბები.
01:00 კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. მე-3 ადგილისთვის. ბარსელონა (ესპანეთი)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი).
03:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. შოტლანდია.

**EUROSPORT**

10:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
11:00 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. საფრანგეთი.
12:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XI ეტაპი.
12:55 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. კლასიკა.
14:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ვარშავა. რუსეთი (LIVE).
17:20 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
17:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XII ეტაპი (LIVE).
19:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
19:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. კლასიკა.
20:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. 1993-2000 წლები. ფინალები.
21:40 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
21:45 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
22:15 ბრძოლა წესების გარეშე.
01:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.
01:30 რესტლინგი.
03:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. პოლინეზია.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. პოლინეზია.
12:00 სპიდვეი. პოლონეთის გრანპრი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. ანდორა.
14:30 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. პოლინეზია.
15:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
15:30 ახალი ამბები.
16:00 სპიდვეი. პოლონეთის გრანპრი.
17:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XII ტური. ურავა-გამბა.
18:00 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. ანდორა.
18:45 ახალი ამბები.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 რესტლინგი.
22:30 პეინტბოლი. ტელეჟურნალი.
23:00 ნარდი. მსოფლიოს სერია.
00:30 მაგიდის ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი. საფრანგეთი.
01:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. ფინალი. სტამბოლი

# ბოლო თასის ადგილი შახტარშია!

**შახტარი-ვერდერი 1:1, დ.დ. 2:1**

**შახტარი:** პიატოვი - სრნა, კუჩერი, ჩიგრინსკი, რაცი - ფერნანდინიო, ლევანდოვსკი - ილსინიო (100. გაი), ჟადსონი (112. დულიაი), ვილიანი - ლუიშ ადრიანო (90. გლადკი).

**ვერდერი:** ვიზე - ფრიტცი (95. პასანენი), პრიოდლი, ნალდო, ბიონიში - ნიმაიერი (103. ციოლისი), ბაუმანი - ფრინგსი, იოზილი - როზენბერგი (78. ჰანტი), პისარო.

**გოლები:** 1:0 ლუიშ ადრიანო (25), 1:1 ნალდო (35), 2:1 ჟადსონი (97)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 13(8)-16(10); **ჯარიმა:** 18-19; **კუთხური:** 10-5; **თამაშგარე:** 2-2; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 52 000

დონეცკის „შახტარი“ ისტორიაში შევიდა, როგორც უეფას თასის უკანასკნელი მფლობელი. ნამდვილად დროული იყო ტურნირის ფორმატისა და რეგლამენტის შეცვლა, რადგან ფაქტია, რომ ბოლო წლებში უეფას თასი ძალიან უინტერესო და „მიტოვებული“ ტურნირი გახდა, ან როგორც **ფრანც ბეკენბაუერმა** თქვა - „დამარცხებულთა ტურნირი“. „შახტარის“ დაკნინება, რა თქმა უნდა, არ გვსურს, მით უფრო, რომ დონეცკელებმა უკეთ ითამაშეს, ვიდრე „ვერდერმა“, მაგრამ ფაქტია, რომ უეფას თასმა თასების მფლობელთა თასის ბედი გაიზიარა. ფინალი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, მაგრამ არა - თვალსასეირო. ვერ ვიტყვით, რომ გუშინ სტამბოლში მაღალი დონის ფეხბურთი ვიხილეთ.

დონეცკელთა მთავარმა მწვრთნელმა **მირჩა ლუჩესკუმ**, კიევის „დინამოსთან“ საპასუხო ნახევარფინალური მატჩისგან განსხვავებით, ძირითად შემადგენლობაში კორექტივები შეიტანა: **იშჩენკოს, გაისა** და **ჰიუბშმანის** (დისკვალიფიკაცია) ნაცვლად, სასტარტოში **კუჩერი, ლევანდოვსკი** და **ვილიანი** ვიხილეთ.

ბრემენელთა თავკაც **თომას შააფს** კი სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა: გუნდის ლიდერი **დიეგო** დისკვალიფიცირებული გახლდათ, ისევე, როგორც ფორვარდი **უგო ალმეიდა**, ხოლო დაცვის ბურჯი **პერ მერტეზაკერი** ტრავმირებული იყო. დიეგოს არყოფნა „ვერდერს“ შესაძლებლობების 50 პროცენტს რომ მოაკლებდა, ეს თავიდანვე ნათელი იყო და ასეც მოხდა: ბრემენელებმა შეტევაში ვერაფერი გააწყვეს. დიეგოს არყოფნაში, მისი ფუნქციების შესრულება ახალგაზრდა **მესუთ იოზილს** დაეკისრა, რომელმაც ამ ამოცანას თავი ვერ გაართვა.

გუნდები დაზვერვას მალევე მორჩნენ და იერიშები წამოიწყეს. უნდა ითქვას, რომ „შახტარი“ პირველივე წუთებში მეტოქეზე უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებდა და შესაბამისად, არც ისაა გასაკვირი, რომ პირველი რეალური საგოლე მომენტიც დონეცკელებმა შექმნეს - **ფერნანდინიოს** პასით **ლუიშ ადრიანომ** ვერ ისარგებლა. მე-6 წუთზე მისი დარტყმული **ტიმ ვიზეს** კარს მცირე მანძილით ასცდა. ამის შემდეგ, „ვერდერი“ ცოტათი გამოსწორდა და რამდენიმე ხეირიანი შეტევაც განახორციელა, მაგრამ „შახტარის“ საკმაოდ მყარი დაცვის გარღვევა გაუჭირდა. „ვერდერს“ არ ჰყავდა ფეხბურთელი, რომელიც დიეგოს მაგივრობას გაწევდა, თამაშს საკუთარ თავზე აიღებდა და **პისარო-როზენბერგის** დუეტს მზაკვრული პასებით მოამარაგებდა. იოზილი ბევრს ცდილობდა, მაგრამ ფლეიმეიქერობა არ გამოსდიოდა. ის-ის იყო, ბრემენელებმა თამაში გაათანაბრეს და უპირატესობის მოპოვებაზე დაიწყეს ზრუნვა, რომ „შახტარმა“ მოულოდნელად ანგარიში გახსნა - **რაცმა** საკუთარი ნახევრიდან გრძელი პასი გააკეთა ლუიშ ადრიანოს მისამართით, **კლემენს ფრიტცი** შეცდა, ბრაზილიელმა ფორვარდმა კი **ნალდოს** აჯობა და ძალიან რბილი, მოხდენილი დარტყმით, ვიზე უშანსოდ დატოვა.

გაშვებული გოლის შემდეგ ბრემენელები გააქტიურებას ეცადნენ, მაგრამ არადამაჯერებლად უტევდნენ და „შახტარს“ სახიფათო კონტრიერიშების განხორციელების შანსი მიეცა. ლუჩესკუს შეგირდებიდან, ყველაზე მეტად **ჟადსონი** გამოირჩეოდა, რომელმაც ბრემენელი მცველები, ფაქტობრივად, მთელი მატჩის განმავლობაში წნეხის ქვეშ ამყოფა. ჟადსონი დონეცკელთა თითქმის ყველა შეტევას ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი პასების შედეგად შეეძლოთ სხვაობის გაზრდა ჯერ ადრიანოს (28-ე წუთზე), მერე კი ვილიანს, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს.

35-ე წუთზე კი „ვერდერმა“ გოლი არაფრისგან შექმნა: ნალდომ 30 მეტრიდან უძლიერესი ჯარიმა შეასრულა, „შახტარის“ მეკარე **პიატოვი** პოზიციურად არ შემცდარა, მაგრამ ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და კარში გაუშვა. წესით, დონეცკელთა კარის დარაჯს ბურთი მუშტებით უნდა მოეგერიებინა - ყოველ შემთხვევაში, ასე მოიქცეოდა ნებისმიერი კარგი გოლკიპერი. ტაიმის მიწურულს „შახტარს“ ორი რეალური მომენტი შეექმნა, მაგრამ **ლევანდოვსკიმ** (42) და **ილსინიომ** (45+2) ვერ ივარგეს.

მეორე ტაიმი „ვერდერმა“ დაცვაზე ზრუნვით დაიწყო. ყოველ შემთხვევაში, შეტევაში უკრაინელები უფრო აქტიურობდნენ, შააფის გუნდი კი თითქოს თავის შანსს ელოდებოდა. 49-ე და 51-ე წუთებზე ვიზემ „ვერდერი“ გოლებისგან იხსნა.

ამის შემდეგ თამაში უფრო უხეში გახდა, მაგრამ გუნდებს როლები არ გაუცვლიათ - „შახტარი“ დომინირებდა, ლუჩესკუს შეგირდები კი უფრო მიზანმიმართულად იბრძოდნენ. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ ბრემენელებს ჩაგრავდნენ, მაგრამ მონდომება და შემართება მეტოქეზე მეტად ეტყობოდათ. თუმცა სახიფათო მომენტები იშვიათად იქმნებოდა. შემდეგ შანსი იყო 78-ე წუთზე, როცა პისაროს თავური პიატოვმა ჩინებული ნახტომით მოიგერია, დამატებაზე კი (მახვილი კუთხიდან) **აარონ ჰანტს** კუჩერმა დაასწრო და მომენტი განმუხტა.

ეს იყო და ეს, მეორე ტაიმში მეტი რეალური მომენტი აღარ ყოფილა. დარჩენილ დროში გუნდები პირველ რიგში საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ და ცდილობდნენ, შეცდომები არ დაეშვათ.

მატჩის სცენარი არც პირველ დამატებით ტაიმში შეცვლილა. „შახტარი“ უკეთ გამოიყურებოდა, ბრემენელები კი სოლიდურად იცავდნენ თავს. თუმცა უკრაინელებმა 97-ე წუთზე „ვერდერის“ დაცვაში მაინც იპოვეს ხვრელი: ვერცხლისწყალივით მოძრავმა **დარიო სრნამ** მარჯვენა ფლანგზე გაინავარდა და გამჭოლი პასით ჟადსონი მოძებნა, რომელმაც დაახლოებით 11 მეტრიდან გაიტანა. ვიზეს რეაქციას არ დაუგვიანია, ბურთსაც შესწვდა, მაგრამ მოგერიება ველარ შეძლო - 2:1.

„ვერდერი“ იძულებული გახდა, უკანმოუხედავად შეეტია, მაგრამ დონეცკელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეტოქეს არაფერი გააბედინეს. „შახტარის“ ფეხბურთელები საკმაოდ ჭკვიანურად ცდილობდნენ დროის გაყვანას. ბოლო წუთებში მათ ესპანელი არბიტრი **ლუის მედინა კანტალეხოც** მიეხმარა. შეცვლაზე შესულმა **ციოლისმა** 111-ე წუთზე ძლიერად დაარტყა, მაგრამ მცირე მანძილით ააცილა. ბოლო წუთზე კი პისარომ მაინც შეძლო გოლის გატანა, მაგრამ მსაჯმა მასზე წესების დარღვევა დააფიქსირა. გამეორებისას გამოჩნდა, რომ კანტალეხომ ძალზე საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო - პერუელს თამაშის წესები არ დაურღვევია.

ბრემენელთა პროტესტს შედეგი, რა თქმა უნდა, არ მოჰყოლია. კანტალეხოს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. „მუსიკოსებმა“ ბოლო ძალები მოიკრიბეს და შტურმი სცადეს, მაგრამ აშკარად ეტყობოდათ, რომ უკვე ძალიან გადაღლილები იყვნენ. თუმცა ერთხელ კიდევ შეეძლოთ დონეცკელთა კართან ხიფათის შექმნა, მაგრამ კანტალეხომ „შახტარის“ კარისკენ ჯარიმა არ დანიშნა, ხოლო ორიოდ წამში საფინალო სასტვენიც მისცა და უეფას თასის უკანასკნელ მფლობელად დონეცკის „შახტარი“ გამოაცხადა.

**მირჩა ლუჩესკუ:** *„უბედნიერესი ადამიანი ვარ. ჩემმა გუნდმა ეს გამარჯვება ასი პროცენტით დაიმსახურა. „ვერდერი“ ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ დღეს ჩვენ 120 წუთის განმავლობაში უკეთ გამოვიყურებოდით და უპირატესობა შედეგშიც ავსახეთ. „შახტარი“ ღირსეული გამარჯვებულია!“*

**თომას შააფი:** *„ფეხბურთელები ძალიან ცუდ ხასიათზე არიან. სამწუხაროდ, ვერაფერი გავაწყვეთ და შედეგი ისეთი უნდა მივიღოთ, როგორიც არის. ახლა კონცენტრაცია ამ სეზონში დარჩენილი მატჩებისკენ უნდა მივმართოთ. შაბათს „ვოლფსბურგთან“ ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გვაქვს, მერე კი გერმანიის თასის ფინალი გველის. გუნდს მთელი მატჩის განმავლობაში ძალიან ეტყობოდა დიეგოს არყოფნა. ბრაზილიელს ნახევარფინალში გაფრთხილება რომ არ მიეღო, მჯერა, ფინალს ჩვენ მოვიგებდით“.*

**გოტფრიდ ლენცი**



ჟადსონის გამარჯვების გოლი




